

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კონფლიქტების ანალიზი და მართვა

ნინო ოხანაშვილი

**„ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების
თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“**

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორისაკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი - ზურაბ დავითაშვილი



თბილისი

2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნინო ოხანაშვილი

27.07.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს იკვლევს. ნაშრომის ძირითად მიზანს საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური თეორიების, ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის და შედარებითი ანალიზის ჭრილში, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დადგენა წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია გადამოწმოს აღნიშნული თეორიების ვარაუდები ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენაში. ნაშრომში ამ თეორიული არგუმენტების გადამოწმება ხორციელდება აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები ხსნიან, რომ საგარეო დონეზე, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდა რუსეთის რეგიონალური დომინანტობის სურვილი, რათა არ დაეკარგა გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე და შესაბამისად გავლენა მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ქენეთ უოლცის ანალიზის სამი დონე, რომელიც სახელმწიფოთა შორის ომის გამომწვევ მიზეზებს ხსნის, ნაშრომში, სტიუარტ კაუფმანის ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის გამოყენებით, ქენეთ უოლცის ნეორეალიზმი გადმოტანილია შიდა დონეზე, ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ასახსნელად.

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისეთი აპრობირებული გზა, როგორც არის კვლევის თვისებრივი მეთოდი. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, კვლევის პროცესში, გაანალიზდა მეორადი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. ასევე გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების ისეთი კონკრეტული მეთოდოლოგიური ტექნიკა, როგორცაა ჩაღრმავებული ინტერვიუები საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საგარეო დონეზე, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდა რუსეთის სურვილი გაეტარებინა საკუთარი პოლიტიკური მიზნები. რუსეთის მხრიდან საქართველოში განხორციელებული ქმედებების უმთავრეს მიზანს რეგიონში დომინანტური პოზიციის დამყარება და გავლენის სფეროს შექმნა წარმოადგენდა.

შიდა დონეზე, ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს, როგორც მასების, ასევე ელიტების მიერ მართული ძალადობა. ეთნიკური ომის წინაპირობას ქმნის ეთნიკური დომინირების ისტორია, ეთნიკური სტერეოტიპები, ეთნიკური სიმბოლიკის საკითხები. თუ ეს ფაქტორები სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მტრობას უღვივებს, მასების მიერ მართული ძალადობა სავარაუდოა. ელიტები დიდ როლს ასრულებენ ამ პროცესის კატალიზირებაში, ზოგჯერ კი მიჰყვებიან მასის განწყობებს, გამოხატავენ მიზნებს, რომლებიც უკვე წახალისებულია მასის ქცევისგან; კვლევამ აჩვენა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისაწყის ეტაპზე იყო მასების მიერ მართული, ხოლო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი - ელიტების მიერ მართული ძალადობა.

ასევე, ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ხდება შიდა ჯგუფური უსაფრთხოების დილემა, რომელიც ეთნიკური გადაშენების შიშის შედეგად ამომრავებს ერთ ან ორივე მხარეს, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის და მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შიდა და საგარეო დონე ერთმანეთთან კავშირშია. ქვეყნის შიგნით არსებულმა ფაქტორებმა გავლენა მოახდინა რუსეთის ქცევაზე და პირიქით, საგარეო დონემ ხელი შეუწყო შიდა ფაქტორების გამწვავებას.

ნაშრომში მოყვანილი შედარებითი ანალიზი - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან, სწორად და თანმიმდევრულად ასაბუთებს იმ სირთულეების გამომწვევ მიზეზებს, რომელიც აღნიშნული ნაშრომის ფარგლებშია განხილული.

საკვანძო სიტყვები: რეალიზმი, კონსტრუქტივიზმი, მასები, ელიტები, უსაფრთხოების დილემა, ეთნიკური ძალადობა.

Abstract

Present research investigates the causes of the ethnopolitical conflicts. The main purpose of the research is establishing the causes of the ethnopolitical conflicts of the dominant theories of international relations and an 'international' theory of ethnic war.

In the research, these theoretical arguments are crosschecked on basis of the study and analysis of the conflicts of Abkhazia, South Osetia and Nagorno-Karabakh.

The international relations theories presented in this research explain that at the foreign level, the reason for the conflicts in Abkhazia and South Osetia is Russia's desire for regional domination in order not to lose control over the former post-Soviet republic and therefore over the South Caucasus region entirely.

The three levels of Kenneth Waltz's analysis that explains the causes of the war between the states, in the research, using Stuart Kauffman's 'international' theory of ethnic war, Waltz's theory is brought to the internal level to explain the causes of the ethnic conflicts. The aim of the research is to review assumptions of the 'international' theory of ethnic war in determining the causes of the ethnolitical conflict.

While working on the research, it has been used such approved way as qualitative method of research. In the process of the research for collecting the data and analysis, secondary sources, scientific literature were analyzed that are around the subject of the study. It has also used specific methodological techniques for data collection, such as in-depth interviews with representatives of expert circles.

As a result of the research, it was established that at the foreign level the cause of conflicts, has become a desire for Russia to fulfill its own political goals. The main objective of Russia's actions in Georgia was to establish a dominant position in the region and create sphere of influence.

As a result of the research, it was established that at internal level the cause of the ethnolitical conflict might be the violence ruled by masses', as well as the elites'. Precondition of the ethnic war is created by the history of ethnic dominance, ethnic stereotypes and issues of ethnic symbolism. If these factors foments enmity to other ethnic groups, violence ruled by the masses is likely. Elites play a major role in catalyzing this process, and sometimes follow the attitude of mass, express their goals that are already encouraged by the behavior of the masses; The research showed that the Nagorno-Karabakh conflict was controlled by the masses, and the violence was managed by the elites of Abkhazia and South Osetia. In addition, the reason for the

ethnolitical conflict is becoming the dilemma of internal group safety that motions one or other party due to fear of ethnic extinction that happened in the case of Abkhazia and South Osetia as well as in Nagorno-Karabakh.

It was established that domestic and foreign levels are linked to each other. The internal factors influenced the behavior of Russia and on the contrary, the external level contributed to the aggravation of internal factors.

Comparative analysis given in the work - the Nagorno-Karabakh conflict, correctly and consistently substantiates the causes of the difficulties, which is discussed within the scope of this work.

Key words: Realism, Constructivism, Masses, Elites, Security dilemma, Ethnic violence.

მადლობა

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი რჩევა მომცა და წვლილი შეიტანა ნაშრომის მოზადებაში.

ძალიან სასარგებლო რჩევები მივიღე საექსპერტო წრეების წარმომადგენლებისგან. ძალიან დიდი მადლობა პროფესორებს: ქ-ნ ნინო ფავლენიშვილს, რომლის გამოცდილება და რჩევები ნაშრომის დაწერაში უაღრესად გამომადგა. ბ-ნ თორნიკე თურმანიძეს, რომლისგანაც ძალიან საყურადღებო რეკომენდაციები მივიღე; ბ-ნ გიორგი გვალას, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემს პროფესიულ განვითარებაში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს - ბ-ნ ზურაბ დავითაშვილს.

ყველას გულწრფელ მადლობას ვუხდით მხარდაჭერისთვის!

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი..... | 10 |
| სამეცნიეროლიტერატურისმიმოხილვა | 18 |
| მეთოდოლოგია | 20 |
| ნაშრომის სტრუქტურა:..... | 21 |
| თავი 1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მიმოხილვა - დომინანტური თეორიები და მათი ავტორების ძირითადი პოსტულატები | 23 |
| 1.1. რეალისტური თეორიები..... | 24 |
| 1.1.1. კლასიკური რეალიზმი | 24 |
| 1.1.2. ნეოკლასიკური რეალიზმი | 26 |
| 1.1.3. ნეორეალიზმი..... | 27 |
| 1.1.3.1. თავდაცვითი რეალიზმი | 33 |
| 1.1.3.2. თავდასხმითი რეალიზმი..... | 34 |
| 1.2. ლიბერალიზმი | 40 |
| 1.3. კონსტრუქტივიზმი | 43 |
| თავი 2. კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები - საგარეო დონის ანალიზი | 48 |
| 2.1. რუსეთის ინტერესები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში | 48 |
| 2.2. რუსეთის ფაქტორი: თავდასხმითი რეალიზმი პრაქტიკაში | 63 |
| 2.3. მთიანი ყარაბაღი (შედარებითი ანალიზი - საგარეო დონე)..... | 75 |
| თავი 3. კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები - შიდა დონის ანალიზი..... | 80 |
| 3.1. ანალიზის დონეები | 80 |
| 3.1.1. ანალიზის პირველი დონე: მასების მტრობა | 80 |
| 3.1.2. მეორე დონე: ელიტების მიერ მართული ძალადობა..... | 83 |
| 3.1.3. მესამე დონე: შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა | 85 |
| 3.2. თეორიების მოლოდინებსა და ემპირიულ შედეგებს შორის თავსებადობა..... | 87 |
| 3.2.1. მასების მიერ მართული ძალადობა მთიან ყარაბაღში | 87 |
| 3.2.2. ელიტების მიერ მართული ძალადობა აფხაზეთში..... | 91 |
| 3.2.3. ელიტების მიერ მართული ძალადობა სამხრეთ ოსეთში | 97 |
| 3.3. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა..... | 99 |

| | |
|---|-----|
| 3.3.1. სტრუქტურული და კულტურული ასპექტები..... | 99 |
| 3.3.2. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა საქართველოში..... | 103 |
| 3.3.3. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა მთიან ყარაბაღში..... | 113 |
| 3.4. კონსტრუქტივიზმის ძირითადი დებულებების თავსებადობა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან მიმართებაში | 117 |
| ბიბლიოგრაფია:..... | 133 |

შესავალი

თემის მიზანი; აქტუალურობა; საკვლევო კითხვა/ჰიპოთეზა

საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებით არაერთი დისკუსია თუ სამეცნიერო დებატები იმართება. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის კონფლიქტების შესწავლის საფუძველზე საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ დებატებში.

სადისერტაციო ნაშრომი ანალიზებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებს ისტორიული თვალსაზრისით, კერძოდ კი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულ პრობლემებსა და ღრმა გავლენაზე, რომელიც ამ დაშლამ გამოიწვია ერებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიული დეზინტეგრაციის, სეპარატისტული მოძრაობებისა და სამხედრო კონფლიქტის საკითხი. იქედან გამომდინარე რომ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს გააჩნიათ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, კვლევის მიზანია იპოვოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს შედეგი. ნაშრომის მიზანია კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ანალიზი.

საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენება და შესაბამისად, სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ ეპოქას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი სიმწვავეით განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ კავკასიის რეგიონი, აფხაზეთის, ცხინვალის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებით.

სამწუხაროდ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ძალადობრივი კონფლიქტებით გამოირჩევა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის განმავლობაში. კერძოდ, კავკასია ყოფილ საბჭოთა სივრცეში და მთელ მსოფლიოში სეპარატისტული ტერიტორიების ერთ-

ერთი ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა. (Freni, 2013, p.1) მკვლევარებმა ფართოდ განიხილეს ამ კონფლიქტების მიზეზები და ყურადღება გამახვილეს სხვადასხვა ფაქტორებზე.

ნაშრომი იკვლევს კონფლიქტის გამომწვევ უშუალო მიზეზებს; განიხილავს სეპარატისტულ ტერიტორიებზე ძალადობრივი კონფლიქტის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს.

აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების გამომწვევ მიზეზად უნდა გამოიყოს ორი მთავარი ფაქტორი: შიდა და საგარეო ფაქტორი.

საგარეო დონეზე, ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რომ კონფლიქტების ხელოვნურად გაღვივება რუსეთის დიდ სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა ყოფილი საბჭოთა ტერიტორია თავისი საციცოცხლო ინტერესის სფეროდ გამოაცხადა. რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს სუპერსახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება და რეგიონული ჰეგემონობის მოპოვების სურვილი. რუსეთის მიზანია არ დაუშვას პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, არ დაკარგოს ჰეგემონი სახელმწიფოს სტატუსი აღნიშნულ სივრცეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი აქტიურად ცდილობდა შეენარჩუნებინა გავლენა რეგიონზე, შესაბამისად, დაინტერესებული იყო აღნიშნული კონფლიქტების გაღვივებით. კრემლიახდენდა სამხრეთ კავკასიაში არსებული სეპარატისტული და ნაციონალისტური ძალების მობილიზებასა და მათით მანიპულირებას; დაინტერესებული იყო ამ რეგიონში დამაბული და ფეთქებადი სიტუაცია შეექმნა. „დაყავი და იბატონე“ - მისი მოქმედების მთავარი პრინციპია. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მტრული ბანაკების არსებობა მუდმივი დამაბულობის წყარო იქნება, რაც საშუალებას მისცემს რუსეთს არასტაბილური ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და რეგიონში გავლენა და კონტროლის მექანიზმები შეინარჩუნოს. რუსეთს სურს რეგიონალური დომინანტობის შენარჩუნება და ამას ვერ შეძლებს თუ მისი გავლენა მხოლოდ თავისი ქვეყნის საზღვრებში ვრცელდება. (ოხანაშვილი, 2017, გვ.122) რუსეთის

მიზანია საკუთარი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება. გაყინული კონფლიქტების არსებობა კი შედის მის ინტერესებში. მას სურს დააბალანსოს ამერიკა და ჯერ რეგიონში ცდილობს პოზიციების განმტკიცებას.

საგარეო დონეზე, აღნიშნული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების გადამოწმების საფუძველზე დადგინდება. სადისერტაციო ნაშრომი აჩვენებს, თუ საერთაშორისო ურთიერთობების რომელი თეორია უფრო სიღრმისეულ და მრავლისმომცველ ანალიზს აკეთებს აღნიშნული კონფლიქტების კონტექსტში.

კერძოდ, განხილულ იქნება რეალიზმი და მისი მიმდინარეობები: კლასიკური რეალიზმი; ნეოკლასიკური რეალიზმი; ნეორეალიზმი; თავდაცვითი რეალიზმი; თავდასხმითი რეალიზმი; ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი. ამ თეორიების ძირითადი დაშვებების გადამოწმების საფუძველზე დადგინდება, თუ რომელ თეორიას შეუძლია ახსნას სამხრეთ კავკასიის რეგიონში განვითარებული მოვლენები. ნაშრომში შედარებით ნაკლებად ვეხები ლიბერალიზმს, რადგან აღნიშნული თეორია ამ კონფლიქტების ასახსნელად ნაკლებად შესაფერისად მიმაჩნია გამომდინარე იქიდან, რომ ლიბერალიზმის ძირითადი დებულებები კონფლიქტების დროს განვითარებულ მოვლენებთან შეუსაბამობაში მოდის.

მიზეზი იმისა, თუ რატომ ავარჩიე ზემოთ ჩამოთვლილი თეორიები შემდეგში მდგომარეობს: აღნიშნული თეორიები საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიებია და დიდია მათი ამხსნელობითი უნარი. რეალიზმი ძალიან კარგად ხსნის დიდი სახელმწიფოების ინტერესებს, რომელიც რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული ქმედებების ასახსნელად და გასაანალიზებლად ძალიან დამაჯერებელ და ყოვლისმომცველ არგუმენტებს გვთავაზობს. თავდასხმითი რეალიზმი კი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დასადგენად და მათ გასაანალიზებლად საუკეთესო თეორიაა.

რაც შეეხება კონსტრუქტივიზმს, საერთაშორისო ურთიერთობების შედარებით ახალი თეორიაა. ნაშრომის მიზანია კონსტრუქტივისტული ანალიზის გამოყენებით ახსნას ის მოტივები, რომლებიც სახელმწიფო აქტორების უკან დგანან. კონსტრუქტივისტული ჩარჩოს ჭრილში არც თუ ისე ბევრი მოვლენაა ახსნილი. ამ

თეორიის ნაშრომში გამოყენებით მომეცა საშუალება მეტეჯა რაიმე ახალი აღნიშნულ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

საგარეო ფაქტორი არის ერთ-ერთი წამყვანი ამ კონფლიქტების ესკალაციაში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ამ კუთხით მრავალი ნაშრომი დაიწერა და უკვე შედარებით ნაკლებად წარმოადგენს სამეცნიერო ცოდნისთვის ღირებულ სიახლეს, ნაშრომი უფრო მეტად აღნიშნული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შიდა დონის ანალიზზეა ფოკუსირებული. ნაშრომი უფრო მეტად აქცენტს აკეთებს იმ დინამიკაზე, რომელიც 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შიგნით მიმდინარეობდა.

1959 წელს გამოცემულ წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი“, ქენეთ უოლცმა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამი დონე გამოყო: 1. ინდივიდის დონე; 2. სახელმწიფოს დონე; 3. საერთაშორისო სისტემის დონე. აღნიშნული სამი განსხვავებული დონის მიხედვით, ქენეთ უოლცი სცემს პასუხს კითხვას, თუ რა იწვევს სახელმწიფოებს შორის ომებს (უოლცი, 2003, გვ, 29).

ნაშრომის **სიახლეს** წარმოადგენს ის რომ, ქენეთ უოლცის ანალიზის სამი დონე, გამოყენებულია შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის ახსნაში. "პირველი დონე" ფოკუსირებულია ადამიანის ბუნებაზე და მასის ქცევებზე; მეორე დონე-სახელმწიფოს ბუნებასა და ელიტის ქცევაზე და მესამე დონე ფოკუსირებულია სისტემის ბუნებაზე. ეთნიკური კონფლიქტის დროს, შესაძლოა შესწავლილ იქნეს მასის ქცევა (პირველი დონე), ელიტის ქცევა (მეორე დონე) და პოლიტიკური სისტემის წესები, რომელშიც ჯგუფები ურთიერთქმედებენ (მესამე დონე). (Kaufman, 1996, p.149)

წლების განმავლობაში, მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ ეთნიკური ჯგუფები ძალადობრივ კონფლიქტში მოქმედებდნენ ისევე, როგორც ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში. სტიუარტ კაუფმანის ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორია განიხილავს ანალიზის დონის პრობლემას. (Kaufman, 1996, p. 149) ეთნიკურ ომს მოაქვს მასების, პოლიტიკური ელიტების მტრობა და უსაფრთხოების დილემა. როდესაც სამივე ფაქტორია წარმოდგენილი, თითოეული იწვევს მეორის გამძაფრებას.

ესკალაცია შეიძლება დაიწყოს ორი გზით. ერთ-ერთი შემთხვევა მოიცავს მასის ძალადობას, რომლის დროსაც ეთნიკური მტრული დამოკიდებულება ელიტებს უბიძგებს ეთნიკურ საკითხებზე უფრო მწვავე პოზიციების მიღებას. ასეთი ქცევა ქმნის უსაფრთხოების დილემას და იწვევს ეთნიკურ ომს.

ეთნიკური ომის მეორე შემთხვევა არის ელიტის ძალადობა, ანუ ეთნიკური ომი, რომელიც წამოწყებულია ეთნიკური ჯგუფების ლიდერების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის. ამ პროცესში იყენებენ თავიანთ კონტროლის მექანიზმებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რათა ხელი შეუწყონ მტრობის გაღვივებას. შემდეგ ისინი ხელს უწყობენ ეთნიკურ ძალადობას, რათა წარმოქმნას უსაფრთხოების დილემა.

ნაშრომში მასების მიერ მართულ ძალადობად განხილულია მთიანი ყარაბაღის, ხოლო ელიტების მიერ მართულ ძალადობად აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტები. მთიან ყარაბაღის კონფლიქტში, საწყის ეტაპზე, საპროტესტო აქციები და ძალადობა არ ყოფილა ორგანიზებული ელიტების მიერ. აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების შემთხვევაში კი ელიტებმა დიდწილად შეუწყეს ხელი კონფლიქტის ესკალაციას.

ნაშრომში განხილული იქნება ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) და აფხაზეთში არსებული კონფლიქტის ისტორია - ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური დაპირისპირების დინამიკა 1989 წლიდან 2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით. განხილული იქნება კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, ესკალაცია და შედეგები.

ნაშრომი ერთი საკვლევი კითხვისგან შედგება:

1. რამ გამოიწვია აფხაზეთის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტები? (შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო დონე)

ნაშრომი შედგება შემდეგი ჰიპოთეზებისგან:

1. საგარეო დონეზე, კონფლიქტების გამომწვევი ძირითადი მიზეზი გახდა რუსეთის რეგიონული ჰეგემონობის სურვილი.

2. შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდა ელიტების/მასების ძალადობა და შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა.

ნაშრომში არაერთი ცვლადი და მათი ურთიერთმიმართება შეიძლება გამოიყოს.

გადამწყვეტ განტოლებად კი მიმაჩნია შემდეგიცვლადები:

საგარეო დონე:

დამოუკიდებელიცვლადი: რუსეთის რეგიონული ჰეგემონობის სურვილი.

დამოკიდებული ცვლადი: რუსეთის მიერ სეპარატიზმის წახალისება და მხარდაჭერა.

შიდა დონე:

დამოუკიდებელი ცვლადი: მხარეთა ელიტების/მასების ურთიერთაღქმა.

დამოკიდებული ცვლადი: კონფლიქტის ესკალაცია.

ნაშრომში შემოთავაზებულია შედარებითი ანალიზი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან. ზოგადად, ყველა კონფლიქტი უნიკალურია, რომელთა შორის არსებობს მსგავსებებიც და განსხვავებებიც. მიუხედავად რიგი განსხვავებებისა (რომლებზეც ნაშრომში იქნება საუბარი) ე.წ. “სამხრეთ ოსეთის“, აფხაზეთის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტები მსგავსი სახის კონფლიქტებია. სამივე კონფლიქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებული კონფლიქტებია;სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან დაპირისპირებას; დიდ მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში.

საკითხის მნიშვნელობა მეტად აქტუალურია გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნებისმიერი მისი მოქალაქის სანუკვარი მიზანია, რომელიც წლების მანძილზე მხოლოდ ოცნებად რჩება და, ამ კუთხით, ვერ ხერხდება მცირედი პროგრესის მიღწევაც კი. დღემდე დაურეგულირებელი კონფლიქტის შედეგია ღრმა უნდობლობის გრძნობის ჩამოყალიბება, ადამიანების დევნილობაში ყოფნის გახანგრძლივება, უსაფრთხოების პრობლემები და ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში შექმნილმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრავალი პრობლემა წარმოშვა, რომლებიც დღემდე მოუგვარებელი რჩება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები, სხვა მრავალი პრობლემის მიუხედავად, დღემდე წარმოადგენს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ წარმმართველ ვექტორს. ამიტომ, აღნიშნული კონფლიქტები უნდა წარმოადგენდნენ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მუდმივი კვლევის საგანს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის დარეგულირება. სისტემური კვლევის შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე შესაძლოა განისაზღვროს სათანადო მიდგომა მათი დარეგულირების საკითხისადმი.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია **სიახლე** და გააჩნია **სამეცნიერო მნიშვნელობა**. აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჭრილში ახსნა, ნაშრომის სიახლეს და სამეცნიერო მნიშვნელობას წარმოადგენს. ნაშრომში მოყვანილი შედარებითი ანალიზი კი, სწორად და თანმიმდევრულად დაასაბუთებს იმ სირთულეების გამომწვევ მიზეზებს, რომელიც აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში იქნება განხილული.

კონკრეტული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების კვლევისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ფაქტორი, რაც ამ კონფლიქტს უკავშირდება. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვა დონეზე არსებობს. შიდა და საგარეო ფაქტორი ერთმანეთთან კავშირშია, ერთმანეთის შემავსებელია. ეს ორი დონე არ არის ერთმანეთთან დამაპირისპირებელი. ნაშრომის მიზანია აჩვენოს, გარე ფაქტორები როგორ მოქმედებს შინა დონეზე, და პირიქით, შიდა ფაქტორები როგორ მოქმედებს გარე ფაქტორებზე.

ჩემი მიზანი არ არის ვაჩვენო თუ რომელი დონე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ნაშრომში ჩანს, რომ ორივე დონე მნიშვნელოვანია. ჩემი მიზანია ვაჩვენო როგორ მუშაობს ეს დონეები, როგორ მოდის ერთმანეთთან ინტერაქციაში.

არსებობს კვლევები რომელიც უპირატესობას ანიჭებს საგარეო დონეს, ასევე კვლევები რომელიც შიდა დონის მნიშვნელობას უსვავს ხაზს. მე ვეცდები ამ

ყველაფერს შევხედო კომბინირებულად და ვაჩვენო, როგორ ურთიერთქმედებენ ეს დონეები ერთმანეთთან. მაგალითად, რა როლი ჰქონდა გეოპოლიტიკურ შრეს კონფლიქტის წახალისებაში და შემდეგ რა როლი შეასრულა შიდა კონტექსტმა. შევეცადე უფრო ინტეგრირებული და მრავალდონიანი კვლევას გაკეთება, რადგან უფრო ორიგინალური იქნებოდა ნაშრომში ამ ორი დონის ინტერაქციის ჩვენება.

ნაშრომს გააჩნია **პრაქტიკული მნიშვნელობა**, რომელიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს აღნიშნული საკითხის ისტორიით დაინტერესებულ პირებს; ყველა მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია აღნიშნული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ისტორიული ფესვებით;

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

გამომდინარე იქიდან, რომ სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში დეტალურად მიმოვიხილავ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ამ ნაწილში მოკლედ შევხები ნაშრომში წარმოდგენილ ძირითად ავტორებს.

ნაშრომი ეყრდნობა რეალიზმისა და კონსტრუქტივიზმის სკოლის ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრებებს. ძირითადად, მიმოხილული იქნება თუკიდიდეს, ნიკოლო მაკიაველის, თომას ჰობსის, ჰანს მორგენტაუს, ქენეთ უოლცის, ჯონ მერშაიმერის, ნიკოლას ონუფის და ალექსანდრ ვენდტის ძირითადი პოსტულატები რეალიზმისა და კონსტრუქტივიზმის თეორიებთან მიმართებაში.

ნაშრომის ამ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავ გამოყენებულ ნაშრომებს და მათი ავტორების ძირითად დებულებებს.

ნაშრომში გამოყენებულის სტიუარტ კაუფმანის „ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორია.“ აღნიშნულ ნაშრომში კაუფმანი ეთნიკური ომის გამომწვევ მიზეზებად ასახელებს მასების/ელიტების ძალადობას და შიდა ეთნიკურ უსაფრთხოების დილემას.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ვილფრედო პარეტოს „ელიტათა წრებრუნვის კონცეფცია“. პარეტოს სოციოლოგიურ სისტემაში ყველაზე დიდი ყურადღება ელიტათა თეორიამ მიიპყრო, რომლის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ძალაუფლების მექანიზმი. პარეტოს აზრით, მასებისგან განსხვავებით, ელიტებს ახასიათებს სხვებში სუსტი და ყველაზე მგრძობიარე ადგილების დანახვისა და მათი საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის გამოყენების უნარი. ელიტათა წრებრუნვის კონცეფცია აღნიშნული კვლევისთვის რელევანტურია ყველაზე განსხვავებული თეორიული პოზიციებიდანაც კი.

ნაშრომის ემპირიულ ნაწილში ძირითად ავტორებად წარმოდგენილნი არიან: ტომას დე ვაალი - „შავი ბაღი,“ რონალდ ასმუსი - „მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა,“ სვეტლანა ჩერვონნაია - "აფხაზეთი პოსტკომუნისტური ვანდია," გია ნოდია - „კონფლიქტი აფხაზეთში- მიზეზები და გააზრება,“ შოთა მალაშხია - „კონფლიქტების

ანატომია“ და სხვა ავტორები და ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. აღნიშნულ ნაშრომებში წარმოდგენილია ისტორიული ჩარჩო, ის მოვლენები, რომლებიც წლების განმავლობაში ვითარდებოდა და რომლებმაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები კონფლიქტებამდე მიიყვანა. მაგრამ ნაშრომში შედარებით ნაკლებად ვეხები ისტორიული ფაქტების აღწერას, რადგან ამ თემის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. ნაშრომის მიზანია თეორიული ანალიზი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა, შესაბამისად ძირითადი ნაწილი ფაქტების თეორიულ ანალიზს ეთმობა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საკითხი როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში ნაკლებად არის შესწავლილი, განხილული და გაშუქებული.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და სხვა სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტები; აგრეთვე ინტერნეტ წყაროები.

მეთოდოლოგია

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისეთი აპრობირებული გზა, როგორც არის კვლევის თვისებრივი მეთოდი. მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის (Case-study) მეთოდს იყენებს.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, კვლევის პროცესში, გაანალიზდა მეორადი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს, რათა შექმნილიყო მეცნიერული საფუძველი კვლევის გასაგრძელებლად. ამგვარი მიდგომა, მეცნიერული თვალსაზრისით რელევანტურს ხდის კვლევის შედეგებს. ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს, რუსეთის და სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების განცხადებები და ოფიციალური დოკუმენტები, კონფლიქტის მონაწილე მხარეების ლიდერთა საჯარო გამოსვლები. ასევე, ქართული და უცხოური ბეჭდვითი პრესა, ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, სტატიები, ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები.

კვლევაში ასევე გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების ისეთი კონკრეტული მეთოდოლოგიური ტექნიკა, როგორცაა ჩაღრმავებული ინტერვიუები საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან. კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა თერთმეტმა ინტერვიუმ გარკვეულწილად ახალ კითხვებამდე და პასუხებამდე მიიყვანა კვლევა.

კვლევა ჰიპოთეზის გადასამოწმებლად ეყრდნობა სამ ქეისის - ე.წ. “სამხრეთ ოსეთის“, აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების ანალიზს და ამგვარად მოწმდება ნაშრომში იდენტიფიცირებული თეორიების მოლოდინებსა და ემპირიულ შედეგებს შორის თავსებადობა.

ნაშრომის სტრუქტურა:

სტრუქტურულად ნაშრომი სამ ძირითად ნაწილად არის დაყოფილი.

პირველი თავი ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების და მათი ავტორების ძირითადი პოსტულატების მიმოხილვას. მეორე თავი - კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების საგარეო დონის ანალიზს, მესამე თავი კი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შიდა დონის ანალიზს ეთმობა.

უფრო კონკრეტულად კი ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია: ნაშრომის პირველი თავი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა. თეორიულ ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი თეორიული დაშვებების განხილვა. განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური თეორიები და მათი ძირითადი დებულებები. კერძოდ, რეალიზმი და მისი ზოგიერთი განშტოება: თავდაცვითი რეალიზმი, თავდასხმითი რეალიზმი; ასევე ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი. ამ თეორიების ძირითადი დაშვებების გადამოწმების საფუძველზე დადგინდა, თუ რომელ თეორია შეუძლია ახსნას კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების საგარეო დონის ანალიზი. წარმოდგენილია ქრონოლოგიური ჩარჩო; განხილულია რუსეთის ქმედებები, რომელსაც ჰქონდა ადგილი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების პროვოცირებაში. კერძოდ, ნაშრომის მესამე თავში ვსაუბრობ ცხინვალის რეგიონის, აფხაზეთის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებზე.

ნაშრომის ამ ნაწილში მოწმდება საერთაშორისო ურთიერთობების გავლენიანი თეორიების ვარაუდები აღნიშნული კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით.

კვლევის მესამე თავი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შიდა დონის ანალიზს ეთმობა. კერძოდ, განხილულია სტიურატ კაუფმანის ეთნიკური ომის საერთაშორისო თეორია და მისი ვარაუდები სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებთან მიმართებაში. განხილულია მასების და ელიტების როლი. წარმოდგენილია ქრონოლოგიური ჩარჩო, რომელიც ძირითადად მოიცავს 1991-2008

წლებს; იმ პერიოდს, როდესაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა რუსეთის მიერ სეპარატისტულ რეგიონებში ჩადებული ნაღმების და რუსეთის მძლავრი იმპერიული მანქანის ამოქმედება.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი კი ეთმობა კვლევის შედეგების შეჯამებას.

თავი 1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მიმოხილვა - დომინანტური თეორიები და მათი ავტორების ძირითადი პოსტულატები

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება მე-20 საუკუნიდან იწყება და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალზედ პოპულარული ხდება.

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები. თეორიების ახსნით უნარს კონკრეტული მოვლენის გამომწვევი მიზეზების დადგენაში, ძალიან მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

თეორია არის ჩვენი შეხედულება კონკრეტული საგნის მიმართ, რომელიც გვხმარება ფაქტების დადგენასა და ლოგიკური მსჯელობის გზით მათ ახსნაში. თეორია გვხმარება პოლიტიკური ქმედებების განჭვრეტაში; ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, რა მოიმოქმედეს სახელმწიფო მოღვაწეებმა და მათი ქმედებების ანალიზის საფუძველზე ვივარაუდოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მათი მთავარი მიზანი.

თეორია ძალიან ბევრს გვიყვება საერთაშორისო პოლიტიკის ისტორიის შესახებ. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მთავარი ამოცანა არის ის, თუ რამდენად კარგად შეუძლია ახსნას მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები. (Mearsheimer, 2001, p. 3) პოლიტიკური მოვლენები ძალიან კომპლექსურია, აქედან გამომდინარე, ზუსტი პოლიტიკური პროგნოზების გაკეთება შეუძლებელია თეორიული ანალიზის გარეშე.

სოციალურმა მეცნიერებებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი თეორიები მომავლის პროგნოზირებისთვის; ეს პროგნოზი გვხმარება ინფორმაციის მიღებაში და ეს ინფორმაცია გვხმარება გავიგოთ როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში. მსოფლიო შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც „ლაბორატორია“, რომელმაც უნდა დაგვანახოს, თუ რომელი თეორია ხსნის უკეთ საერთაშორისო პოლიტიკას. (Mearsheimer, 2001, p. 4).

„კარგი თეორია“ უნდა იყოს განზოგადებადი, მომჭირნე (პარსიმონული), ანუ, აინტერესებს ერთი კონკრეტული ცვლადი; ფალსიფიცირებადი; თეორიას უნდა შეეძლოს ახალი ცოდნის გენერირება. „კარგი თეორია“ არ არის უნივერსალური, თითოეული თეორია მორგებულია ერთ კონკრეტულ სეგმენტზე. „კარგმა თეორიამ“ უნდა ახსნას, მაგალითად, არა მხოლოდ ის, თუ რამ გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი, არამედ ის, თუ ზოგადად რა იწვევს ომებს. „კარგი თეორია“ უნდა იყოს მიუკერძოებელი, შეკრული და თანმიმდევრული.

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსის, ქენეთ უოლცის აზრით, „თეორია არის ინტელექტუალური კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვხსნით ფაქტებს. მთავარი ისაა, რომ ისე დავუკავშიროთ თეორია ფაქტებს, რომ მოგვცეს ახსნის და მომავლის განჭვრეტის საშუალება“. (Waltz, 2003, p. 21)

თეორია ის საშუალებაა, რომელიც გვეხმარება სირთულეების გარკვევაში, მაგრამ უოლცის თქმით, „ნებისმიერი თეორია ტოვებს რაღაცას აუხსნელს“. (Waltz, 2003, p. 34)

1.1. რეალისტური თეორიები

1.1.1. კლასიკური რეალიზმი

რეალიზმი ერთ-ერთი დომინანტური თეორიაა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც სათავეს თუკიდიდედან იღებს.

თანამედროვე რეალისტების მიერ, კლასიკური რეალისტები - თუკიდიდე, ნიკოლო მაკიაველი, თომას ჰობსი, ხშირად მოხსენიებულნი არიან, როგორც „დამფუძნებელი მამები“, რადგან მათი იდეები პასუხობენ რეალისტურ დოქტრინას.

რეალიზმი ამტკიცებს, რომ ადამიანის ბუნებაში ჩადებულია აგრესია, კონფლიქტურობა. საერთაშორისო პოლიტიკაში არის ისეთი გარემო, სადაც სახელმწიფოების უმთავრეს მიზანს სამხედრო უსაფრთხოება და ძალაუფლებისთვის ბრძოლა წარმოადგენს. (Wendt, 1992, p. 395).

პოლიტიკური რეალიზმისთვის დამახასიათებელია - პესიმიზმი. პოლიტიკური რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკის ლოგიკა უცვლელია, ან ძალიან რთულად არის შესაძლებელი მისი შეცვლა. კლასიკური რეალიზმი მთავარ ცვლადად ადამიანის ეგოისტურ და კონფლიქტისკენ მიდრეკილ ბუნებას მიიჩნევს. მთავარი აქტორი - სახელმწიფო; საერთაშორისო სისტემა - ანარქიული; უმთავრესი ღირებულებები - ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი - თუკიდიდე, თავის ნაშრომში - „ისტორია“ , საუბრობს სახელმწიფოთა შორის უთანასწორობაზე, რომელიც არის ბუნებრივი და გარდაუვალი. სახელმწიფოებს თუ სურთ გადარჩენა, მათ უნდა შეძლონ მოცემული რეალობის შესაბამისად მოქცევა. თუკიდიდეს აზრით, თვითგადარჩენა სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. მისი თვალით დანახული საერთაშორისო პოლიტიკა შემდეგნაირია: „ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ და სუსტნი ურიგდებიან იმას, რასაც უნდა შეურიგდნენ“. (აკობია, 2006, გვ. 17)

ნიკოლო მაკიაველის მიხედვით, ადამიანი უფრო ბოროტებისკენ არის მიდრეკილი, ვიდრე სიკეთისკენ.

მაკიაველი თავის ნაშრომში - „მთავარი“, საუბრობს სახელმწიფო მოღვაწის მორალზე. ის თვლის, რომ პოლიტიკოსს უფლება არ აქვს არ გადააბიჯოს თავის მორალს, თუ სახელმწიფოს ინტერესებისთვის საჭიროა. უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან პიროვნება და სახელმწიფო მოღვაწე. ის, რასაც პიროვნება არ ჩაიდენს: ადამიანს არ უღალატებს, რელიგიურ პრინციპებს არ გადააბიჯებს, მუხანათი არ იქნება, სახელმწიფო მეთაურს, თუ მას სახელმწიფო სადავეები ხელში აქვს აღებული არ აქვს უფლება მორალის შესაბამისად იმოქმედოს.

მაკიაველი მიიჩნევს, რომ მთავარს ერთდროულად უნდა ჰქონდეს, როგორც ლომის, ასევე მელის თვისებები, რათა ეს თვისებები -სიძლიერე და საზრიანობა დაეხმაროს ხალხის ბედის სწორად წარმართვაში. მაკიაველის მიხედვით, „მთავარს უნდა ჰქონდეს უნარი, მიხვდეს, თუ საიდან უბერავს ქარი და რას მოითხოვს ბედის ცვალებადობა. აგრეთვე, თუ შესაძლებელია, არ გადაუხვიოს სიკეთის გზას, მაგრამ საჭიროების შემტხვევაში, ბოროტებაც ჩაიდინოს“. (უოლცი, 2003, გვ. 235).

ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსის მიხედვით, ადამიანის უპირველესი ინტერესი თვითგადარჩენაა. „ბუნებრივ მდგომარეობაში ყველა ადამიანი საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავს და ცდილობს ავნოს სხვას, ვიდრე თავად მას მიაყენებენ ზიანს“. (უოლცი, 2003, გვ. 99) ჰობსი თავის „ლევიათანში“ ადამიანებს ბუნებრივ მდგომარეობაში აყენებს, რომელშიც არ არსებობს სუვერენული სახელმწიფო. აღნიშნულ მდგომარეობას ჰობსი უწოდებს „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“, რომელშიც ადამიანები დაუცველები და მუდმივი საფრთხის ქვეშ არიან. ერთადერთი გამოსავალი სახელმწიფოს შექმნაა, რომელიც დაიცავს მათ, მაგრამ სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება საერთაშორისო სისტემის ანარქიულობით გამოწვეული პრობლემები, რაც გულისხმობს ცენტრალური, მსოფლიო მთავრობის არარსებობას. ჰობსი თვლის, რომ თითოეული სახელმწიფო ზრუნავს საკუთარი ძალაუფლების გაზრდაზე, აქედან გამომდინარე, მათ არ აქვთ მისი დათმობის სურვილი მსოფლიო მთავრობის სასარგებლოდ.

1.1.2. ნეოკლასიკური რეალიზმი

ჰანს მორგენტაუს რეალიზმი ცნობილია, როგორც - ნეოკლასიკური რეალიზმი. მორგენტაუმ რეალიზმი წარმოადგინა, როგორც მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების შესასწავლად. (Snyder, 2001, p. 149).

ნეოკლასიკური რეალიზმი არის მე-20 საუკუნეში, ახლებურად გააზრებული რეალიზმი, დაგროვილი ისტორიული გამოცდილების შედეგად.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მორგენტაუს ნაშრომი - „ერებს შორის პოლიტიკა“ განიხილებოდა, როგორც მთავარი ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობებში. მთავარ თემებად განიხილულია ძალა, ეროვნული ინტერესები, პოლიტიკა, როგორც ბრძოლა ძალაუფლებისთვის. მთავარი, რასაც ეხება თეორია, ეს არის პოლიტიკის ბუნება.

თანამედროვე პოლიტიკის ისტორია არის კამათი ორ სკოლას შორის, რომლებიც ფუნდამენტურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ადამიანის ბუნების, საზოგადოების და პოლიტიკის საკითხებში.

პირველი სკოლა მიიჩნევს, რომ შესაძლებელია იყოს მიღებული რაციონალური და მორალური პოლიტიკური წესრიგი, რომელიც გამომდინარეობს საყოველთაოდ მოქმედი აბსტრაქტული პრინციპებისგან.

მეორე სკოლა კი მიიჩნევს, რომ მსოფლიო, ისეთი არასრულყოფილი, როგორც ის არის, ადამიანის თანდაყოლილი ბუნების შედეგადაა. ეს თანდაყოლილი ბუნება წარმოშობს კონფლიქტებს და არ ითვალისწინებს მორალურ პრინციპებს. (Thompson, Clinton, 2005, p. 3)

ეს თეორიული შეხედულება ადამიანის ბუნების შესახებ, როგორც ის რეალურად არის და ის ისტორიული პროცესი, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს, მიღებულია თეორიისგან, რომელსაც ჰქვია რეალიზმი. რა არის პოლიტიკური რეალიზმის პრინციპი? ამ შეკითხვას პასუხს სცემს მორგენტაუს ექვსი ძირითადი პრინციპი.

ჰანს მორგენტაუ თავის ნაშრომში - „ერებს შორის პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისთვის“ აყალიბებს კლასიკური რეალიზმის ექვს ძირითად პრინციპს. მორგენტაუ თვლის, რომ პოლიტიკა ფესვგადგმულია ადამიანის ეგოისტურ ბუნებაში; საერთაშორისო პოლიტიკა სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების არენაა; პოლიტიკური რეალიზმის მთავარი კონცეფცია ძალაუფლებით განსაზღვრული ინტერესების ცნებაა; პოლიტიკოსის უმაღლესი ზნეობა და მორალი ეროვნული ინტერესებია; პოლიტიკური ეთიკა და პირადი ეთიკა არსებითად განსხვავებული კატეგორიებია; არცერთი სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საყოველთაო ზნეობრივ კანონებად; (Thompson, Clinton, 2005, p.p. 4-16).

1.1.3. ნეორეალიზმი

თუ პოლიტიკური რეალიზმის ამოსავლი წერტილი ადამიანის ბუნებაში თანდაყოლილი ნაკლოვანებებია, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკას, ნეორეალიზმი აქცენტს საერთაშორისო სისტემაზე აკეთებს და

საერთაშორისო პოლიტიკის არსის განმსაზღვრელად სისტემის თავისებურებებს მიიჩნევს.

ქენეთ უოლცი გასული საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი თეორეტიკოსია. 1979 წელს გამოქვეყნებული მისი ცნობილი და ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ ხსნის თუ რა გავლენას ახდენენ სისტემური ძალები ქვეყნებს შორის ინტერაქციაში. წიგნის დასაწყისშივე ის ხაზს უსვამს, რომ მისი თეორია, სხვა თეორიების მსგავსად, არ არის სრულყოფილი. თეორია მზად არის კრიტიკისთვის და მეტად დახვეწისთვის. (Mearsheimer 2009, P. 241)

თეორიის უდიდესი ღირებულებაა მისი უნარი ახსნას ის, თუ როგორ უნდა იმუშაოს მსოფლიო პოლიტიკამ, და არა ის, თუ როგორ მუშაობს ან მუშაობდა ის.

უოლცის თეორია ორ მთავარ ვარაუდს ემყარება. პირველი, ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორები არიან და მათ ანარქიულ სისტემაში უწევთ თანაცხოვრება, სადაც არ არის უმაღლესი, ცენტრალური ხელისუფლება. მეორე, სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი არის გადარჩენა, რაც ნიშნავს, რომ დაიცვან თავიანთი სუვერენიტეტი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები მუდმივად ზრუნავენ ძალთა ბალანსის დაცვაზე.

1959 წელს გამოცემულ წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი“, ქენეთ უოლცმა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამი დონე გამოყო: 1. ინდივიდის დონე; 2. სახელმწიფოს დონე; 3. საერთაშორისო სისტემის დონე.

აღნიშნული სამი განსხვავებული დონის მიხედვით, ქენეთ უოლცი სცემს პასუხს კითხვას, თუ რა იწვევს ომებს.

ინდივიდის დონის მიხედვით, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი ხდება ადამიანი, რომლის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი. მაგალითად, ინდივიდის დონის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ადოლფ ჰიტლერი, რომელსაც გააჩნდა აგრესიული და ამბიციური განზრახვები.

საერთაშორისო ურთიერთობების **პირველი ხედვის** თანახმად, ომის გამომწვევი მიზეზი სწორედ **ადამიანის ბუნებასა და ქცევაში** უნდა ვეძებოთ. ომებს იწვევს ადამიანების ეგოიზმი, უგუნურობა და ომები ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს. მშვიდობიანი მსოფლიოსთვის აუცილებელია ადამიანების შეცვლა, მათი ზნეობრივი შეხედულებების გარდაქმნა, რაც ომების სიხშირის საგრძნობლად შემცირებას გამოიწვევს. (უოლცი, 2003, გვ.29)

სპინოზას მიხედვით, „ნებისმიერი ქმედების მიზანი მოქმედი პირის თვითგადაჩენაა“. (უოლცი, 2003, გვ. 33) იგი თვლის, რომ მშვიდობის დამყარება ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი მიზანი უნდა იყოს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოები ერთმანეთის ბუნებრივი მტრები არიან, ერთმანეთს ფხიზლად უნდა ადევნებდნენ თვალყურს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მშვიდობისმოყვარენი არ არიან და თანამშრომლობა არ სურთ, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება სხვა სახელმწიფო გახდეს საომრად განწყობილი.

ადამიანი, რომელიც გონების კარნახით ცხოვრობს, ის შეეცდება თვითონაც გადარჩეს და სხვებსაც გაუწიოს დახმარება. მაგრამ, ჰანს მორგენტაუ „ადამიანთა ქმედებებში ფართოდ დამკვიდრებული ბოროტების საწყისს ხედავს ადამიანის დაუოკებელ ჟინში, მოიპოვოს ძალაუფლება...“. ნიბურის მიხედვით, ომის სათავე „ადამიანის სულის ბნელი და გაუცნობიერებელი წყაროებია“. (უოლცი, 2003, გვ. 36.)

პირველი ხედვა სახელმწიფოს გავლენას არ გამორიცხავს, მაგრამ აღნიშნული ხედვის მიხედვით, სახელმწიფო კი არ მოქმედებს, არამედ მასში მცხოვრები ხალხი. ისევე როგორც ვამბობთ, რომ „ჩაიდან დღეს, მაგრამ ვგულისხმობთ, რომ მასში წყალი დღეს“. (უოლცი, 2003, გვ. 94). პოლიტიკის პრაქტიკაზე დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკოსთა შეხედულებები. ამიტომ, ადამიანთა არასწორ ქმედებებს და მათ ბოროტებას მივყავართ ომამდე, ადამიანის ბუნების შეცვლა კი შეუძლებელია.

თუ პირველი ხედვის თანახმად სახელმწიფოს როლი ნაკლებად მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ურთიერთობების **მეორე დონის** - სახელმწიფო დონის მიხედვით, ომისა და მშვიდობის საკითხის შესწავლაში ყველაზე მნიშვნელოვანია **სახელმწიფოების შიდა ორგანიზაცია**.

სახელმწიფო დონის მიხედვით, თავად სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა ხდება ომის გამომწვევი მიზეზი. სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა თუ ავტორიტარული ან ტოტალიტარულია, მსგავსი პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფო უფრო მეტად არის მიდრეკილი კონფლიქტისკენ, განსხვავებით დემოკრატიული სახელმწიფოებისგან. დემოკრატიული სახელმწიფოები თავიანთი ბუნებით მშვიდობისმოყვარენი არიან და ერთმანეთში არ ომობენ; ისინი უფრო მეტად მშვიდობისკენ არიან მიდრეკილნი, ვიდრე კონფლიქტებისკენ.

ფროიდი წერს, რომ „სანამ არსებობენ ერები და იმპერიები, რომელთაგან თითოეული მზადაა, უმოწყალოდ გაანადგუროს თავისი მოწინააღმდეგე, უკლებლივ ყველა საომრად უნდა იყოს აღჭურვილი“. (უოლცი, 2003, გვ. 208). აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, შეიძლება გავაკრიტიკოთ საერთაშორისო ურთიერთობების მეორე დონე, რადგან იმის განურჩევლად სახელმწიფოები „ცუდები“ არიან თუ „კარგები“ შეიძლება გამოიყენონ ძალა.

სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ხასიათის გარდა, სახელმწიფოს დონის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვა ფაქტორებმაც. როდესაც სახელმწიფოში არსებობს შიდა პოლიტიკური პრობლემები, პოლიტიკოსებმა შესაძლოა აღნიშნული პრობლემების გადაფარვის მიზნით, მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც შიდა პოლიტიკიდან საგარეო პოლიტიკაზე მოახდენს ყურადღების გადატანას. ომმა შეიძლება განამტკიცოს მასში ჩართული სახელმწიფოების ერთიანობა. ამიტომ, სახელმწიფო, რომელსაც აქვს შიდა განხეთქილებებით გამოწვეული პრობლემები, ომის დაწყება მისთვის მომგებიანია. „სახელმწიფოს შენარჩუნებისა და მასში ამბოხის, აჯანყებისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა ქვეშევრდომებს შორის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება და მტრის გამოძებნა, რომლის წინააღმდეგაც ისინი გაერთიანდებიან“. (უოლცი, 2003, გვ. 95). ცნობილი მაგალითი რომელიც შეიძლება მოვარგოთ ამ მოსაზრებას, არის 1980-იან წლებში არგენტინა-დიდი ბრიტანეთის ომი ფოლკლენდის კუნძულების გამო, რომელიც ორივე ქვეყანაში ინტერსეში შედიოდა არსებული შიდაპოლიტიკური პროცესების გადაფარვის გამო.

აღნიშნული ორი ხედვის თანახმად, რაციონალური ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებაში და ცალკეული სახელმწიფოების ნაკლოვანებათა გარეშე ომები არ მოხდებოდა.

თუ სახელმწიფოს შეცვლაც ისეთივე შეუძლებელია, როგორც ადამიანის ეგოისტური ბუნების, გამოდის, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემას ნაწილობრივ შეუძლია მსოფლიო მშვიდობის დამყარება.

სახელმწიფო შიდა წყობის გავლენას საერთაშორისო პოლიტიკაში, საერთაშორისო გარემოს მნიშვნელობის განხილვის შემდეგ დავადგენთ.

საერთაშორისო ურთიერთობების **მესამე დონე** - საერთაშორისო სისტემის დონე ორიენტირებულია **საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე**.

ქენეთ უოლცი მიიჩნევს, რომ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების სისტემური კვლევა მშვიდობისთვის აუცილებელი პირობების დადგენის პირდაპირი გზაა.

მესამე ხედვა ყურადღებას მოქმედების გარემოზე ამახვილებს. ამ ხედვის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა იწვევს ომებს. ასევე, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ არის განაწილებული ძალა საერთაშორისო სისტემაში.

როდესაც საერთაშორისო სისტემაში უამრავი სახელმწიფოა, რომელთა შორისაც არ ფუნქციონირებს საერთო, ყველასთვის სავალდებულო სამართლის სისტემა და თითოეული სახელმწიფო საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს - ომი გარდაუვალია. ანარქიის პირობებში, სადაც არ არსებობს ერთი, ცენტრალური ხელისუფლება და როდესაც თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს საკუთარ საქმეებს, ნებისმიერ დროს შეუძლია ძალის გამოყენება საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ამიტომ ნებისმიერი სახელმწიფო მუდმივ მზადყოფნაში უნდა იყოს, რომ შეძლოს ძალას ძალა დაუპირისპიროს.

თუ კონფლიქტებს ორი ან მეტი მიზეზი იწვევს, ერთ-ერთი მათგანის გაქრობით კონფლიქტი ვერ აღმოიფხვრება. თუ ადამიანები არ არიან რაციონალურები და სახელმწიფოები დემოკრატიულები, მხოლოდ ადამიანის შეცვლა არ იქნება საკმარისი კონფლიქტების სიხშირის შესამცირებლად. ომების სიხშირეზე გავლენას

ახდენს საერთაშორისო სისტემა, გარემო; ომები ხდება იმიტომ, რომ სისტემაში არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორი.

ნეორეალიზმი სისტემური თეორიაა და უკეთ ხსნის საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენებს, ვიდრე კონკრეტული ქვეყნების საგარეო ურთიერთობებს. (Wendt, 1990, p. 12)

„თუ ადამიანის ბუნება ომის ერთადერთი მიზეზია და თუ, პირველი ხედვის მომხრე პესიმისტების სისტემათა შესაბამისად, ადამიანის ბუნება უცვლელია, მაშინ მშვიდობის იმედი არ უნდა გვქონდეს. თუ ადამიანის ბუნება ომის გამომწვევ მიზეზთაგან მხოლოდ ერთ-ერთია, მაშინ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ადამიანის ბუნება უცვლელია, ჩვენ შეგვიძლია მშვიდობისათვის აუცილებელი პირობების ძიება განვაგრძოთ“. (უოლცი, 2003, გვ.41).

ომის გამომწვევი მიზეზი ხდება ადამიანის ამბიციური და შურისმაძიებელი ბუნება; ასევე სახელმწიფოს რეჟიმი. ამ ორი დონის გარეშე ვერ განვსაზღვრავდით იმას, თუ რა ძალები განსაზღვრავენ პოლიტიკას; მაგრამ მესამე ხედვის გარეშე შეუძლებელია პოლიტიკაში მოქმედი ამ ძალების მნიშვნელობის შეფასება და შედეგების პროგნოზირება.

ამრიგად, უოლცი თავის წიგნში - „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ იკვლევს ომის გამომწვევ მიზეზებს და საბოლოოდ ასკვნის, რომ ომის გამომწვევი მიზეზი ხდება ის, რომ A სახელმწიფო ფლობს რაიმეს, რაც სურს B სახელმწიფოს. ომი ხდება B სახელმწიფოს ინტერესების გამო. ომის დამშვები მიზეზი კი ის არის, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ძალა, რომელიც B სახელმწიფოს ომზე უარს ათქმევინებს.

თითოეულ ხედვაში ის მიზეზია განსაზღვრული, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა სხვა მიზეზის გაგებას. გარკვეულწილად, ზემოთ განხილული სამივე ხედვა ასახავს სინამდვილეს. „ანალიტიკოსი, რაოდენ ერთგულიც არ უნდა იყოს იგი რომელიმე ხედვის, იშვიათად თუ ვერ ამჩნევს დანარჩენ ორს“. (უოლცი, 2003, გვ. 179).

1.1.3.1. თავდაცვითი რეალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული რეალიზმი შეკრული თეორიაა, მასში გამოყოფენ ორ მიმდინერეობას. სტრუქტურული რეალიზმის განშტოებებია თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი.

თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, განსხვავებით თავდასხმითი რეალიზმისგან, მნიშვნელოვანია არა ძალის გაზრდა, არამედ ძალის შენარჩუნება. უოლცის მსოფლიო შედგება სახელმწიფოებისგან, რომლებიც კმაყოფილდებიან თავისი ძალაუფლებით. უოლცის სამყაროში არიან „კმაყოფილი“ სახელმწიფოები, მერშიამერთან კი „მაქსიმალისტები“.

თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოს მთავარი მიზანია იყოს უფრო ძლიერი, ვიდრე მისი პოტენციური მეტოქე, რადგან ეს გადარჩენის ეთადერთი გზაა. უოლცი არც ერთ თავის ნაშრომში არ ამტკიცებს, რომ ომი მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. ის მიიჩნევს, რომ თავდასხმითი ომი ცუდი იდეაა.

უოლცი ასევე ხაზს უსვამს, რომ ძლიერმა სახელმწიფოებმა არ უნდა იზრუნონ ჰეგემონობაზე, არც რეგიონულ და არც მსოფლიო ჰეგემონობაზე, რადგან სისტემის სხვა ძლიერი სახელმწიფოები გაერთიანდებიან მის დასაბალანსებლად და შექმნიან კოალიციას. ის წერს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში „წარმატება იწვევს მარცხს“. „ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის მიერ ძალაუფლების გადაჭარბებული დაგროვება, იწვევს სხვათა წინააღმდეგობას“. ამიტომ სახელმწიფოები ვერ შეძლებენ თავიანთი მიზნის განხორციელებას. საერთაშორისო პოლიტიკა სერიოზული ბიზნესია. უოლცის აზრით, ჭკვიანი სახელმწიფო არ უნდა იყოს ზედმეტად ამბიციური და უნდა შეეცადოს მოიპოვოს „შესაფერისი ძალაუფლება“. (Waltz, 1988, p. 40)

უოლცი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებს სჭირდებათ „შესაფერისი ძალა“, მათი უსაფრთხოების საჭიროებების გათვალისწინებით. თავდაცვითი რეალისტები არ ცდილობენ გაზარდონ ძალაუფლება, მათი მთავარი მიზანი არსებული ძალთა ბალანსის დაცვა და შენარჩუნებაა. უოლცი ამტკიცებს, რომ ანარქიულ სისტემაში სახელმწიფოს მთავარი მიზანი გადარჩენაა; სახელმწიფოთა უმთავრესი მიზანი არ

არის ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდა, არამედ სისტემაში თავიანთი პოზიციების შენარჩუნება.

სახელმწიფოებს აქვთ ძალიან მნიშვნელოვანი მიზანი: იზრუნონ რომ სხვა სახელმწიფოებმა მათთან შედარებით არ გაზარდონ ძალაუფლება. დაბალანსება არის მთავარი სტრატეგია, რომელსაც სახელმწიფო იყენებს, როდესაც მოწინააღმდეგე ცდილობს ძალაუფლების გაზრდას. თავდაცვითი რეალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებმა სტატუს ქვოს შენარჩუნებაზე უნდა იზრუნონ. თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოს მთავარი მიზანი სწორედ სტატუს-ქვოს შენარჩუნებაა და თეორია აქცენტს აკეთებს ძალთა ბალანსის დაცვის მნიშვნელობაზე.

ის, რომ სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები უოლცისთვის ნიშნავს, რომ ისინი კარგად აფასებენ საფრთხეებს და ჭკვიანურად სახავენ გადარჩენის პერსპექტივებს.

ამ თეორიის აპოლოგეტები თვლიან, რომ „საერთაშორისო სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ სახელმწიფოებს აქვთ ცოტა საბაზი იმისთვის, რომ მათ უფრო მეტი ძალაუფლება მოიხვეჭონ“. (აკობია, 2003, გვ. 30).

1.1.3.2. თავდასხმითი რეალიზმი

თავდასხმითი რეალიზმის აპოლოგეტად შეიძლება დავასახელოთ ჯონ მერშაიმერი. ქენეთ უოლცის სტრუქტურული რეალიზმისგან განსხვავებული, ახლებურად ფორმულირებული, ახალი მიმართულება, რომელიც ხსნის საერთაშორისო აგრესიას, სწორედ მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმია. მერშაიმერის ძირითადი სიახლე თავის თეორიაში არის ის, რომ გვთავაზობს ახალ მნიშვნელოვან მიდგომებს საერთაშორისო პოლიტიკაში.

მერშაიმერი არ ანაცვლებს ვოლცის თეორიას, არამედ ავსებს მას რევიზიონული სტრუქტურული სახელმწიფოებისთვის თეორიულივარაუდების შემოღებით. მერშაიმერი უზრუნველყოფს თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის შერწყმას ერთ თეორიაში, რომელიც ძალთა ბალანსის თეორიის ახლებურ გააზრებას გვთავაზობს. ამ თეორიის პროგნოზები პროვოკაციული და პესიმისტურია, მაგრამ

დამაჯერებელი. თეორიის მთავარი სისუსტე ის არის, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალას და უსაფრთხოების მაქსიმალიზაციას, როგორც სახელმწიფოს ქცევის მთავარ მოტივაციას.

უოლცისგან განსხვავებით, მერშაიმერი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოსთვის ძალის გაზრდა არ არის ლიმიტირებული. ის არ ეთანხმება უოლცს იმ კითხვაზე პასუხში, თუ „რამდენი ძალა სურს სახელმწიფოს“. მერშაიმერი თვლის, რომ საერთაშორისო სისტემა უბიძგებს სახელმწიფოებს ძალის მაქსიმალიზაციისკენ და ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სიტუაციას, სადაც სარგებელი გადაწონის ხარჯებს.

მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმი პროგნოზირებს უფრო მეტ კონფლიქტს და ომს, ვიდრე უოლცის თავდაცვითი რეალიზმი. „სახელმწიფო არასდროს არის კმაყოფილი, ის ეძებს მეტ ძალას და ეს სურვილი იწვევს შეჯახებას ქვეყნებს შორის“. (Snyder, 2001, p.153).

მერშაიმერი განიხილავს მხოლოდ ძალის მაქსიმალური გაზრდის სურვილს და მის მსოფლიოში არ არსებობენ სტატუს ქვო სახელმწიფოები. ანარქიულ სისტემაში გადარჩენის შანსს სახელმწიფოებს აძლევს ძალის მაქსიმალური გაზრდა.

თავდასხმითი რეალიზმის მიზანია ახსნას თუ რატომ არის „დიდ ძალებს“ შორის ურთიერთობები კონფლიქტური. ქენეთ უოლცის მსგავსად, მერშაიმერი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურა არის გასაღები სახელმწიფოების ქცევების გასაგებად. მერშაიმერი გვთავაზობს ხუთ ვარაუდს, რომელიც მეტნაკლებად არის გაზიარებული სხვა თანამედროვე რეალისტების მიერ.

პირველი, მერშაიმერი განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად შტრიხებს. სადაც საერთაშორისო პოლიტიკა არის ანარქიული, სადაც არ არის მთავრობა, რომელსაც შეუძლია გაატაროს წესები და დასაჯოს კანონის დამრღვევები.

მეორე, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია იყოს აბსოლუტურად დარწმუნებული სხვა სახელმწიფოს განზრახვებში, რადგან განზრახვები მუდმივად იცვლება. კარგი განზრახვა შეიძლება სწრაფად შეიცვალოს ავი განზრახვით და პირიქით.

მესამე, გადარჩენა უმთავრესი მიზანია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საერთაშორისო სისტემაში.

მეოთხე, სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები. სახელმწიფოები ფიქრობენ სტრატეგიულად საგარეო პოლიტიკაზე და ისეთ სტრატეგიას ირჩევენ, რომელიც არის მაქსიმალური მათი გადარჩენისთვის.

მეხუთე, სახელმწიფოები არიან აგრესიულები. ისინი მუდმივად ზრუნავენ იყვნენ მფლობელები ისეთი სამხედრო შესაძლებლობების, რაც დააზიანებს და შესაძლოა გაანადგურებს სხვა სახელმწიფოს.

ამ ვარაუდების შეჯამებით, მერშაიმერი აკეთებს დასკვნას, რომ სახელმწიფოები მალე გაანალიზებენ, რომ ყველაზე ეფექტური გზა ანარქიაში გადარჩენის მისაღებად არის ფარდობითი ძალა და მთავარი მიზანი გახდება უძლიერესი ძალა – ჰეგემონი სახელმწიფო. ყველა სახელმწიფოს ერთდროულად არ შეუძლია გაზარდოს საკუთარი ფარდობითი ძალა და შესაბამისად, საერთაშორისო სისტემა რჩება არენად, სადაც არის მკაცრი და გაუთავებელი შეჯიბრი ანარქიულ სისტემაში. (Mearsheimer, 2001, p. 83).

"ჰეგემონის" და "პოტენციური ჰეგემონის" ცნებები ცნობილია მერშაიმერის თეორიაში. მერშაიმერი ერთმანეთისგან განასხვავებს ჰეგემონს და „პოტენციურ ჰეგემონს“. „პოტენციური ჰეგემონი“ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა რეგიონალურ სისტემაში, რომელიც იქამდე გაზრდის ძალას, სანამ მიზანს არ მიაღწევს.

სახელმწიფოს მთავარი მიზანია იყოს ჰეგემონი სისტემაში. (Snyder, 2001, p.151-152). მერშაიმერი თვლის, რომ სახელმწიფოსთვის ჰეგემონობის მიღწევა არ არის საკმარისი; ჰეგემონი სახელმწიფოები ცდილობენ არ დაუშვან სხვა - „თანატოლი კონკურენტების“ - ჰეგემონების ძალის გაზრდა ახლომდებარე რეგიონებში. ისინი შეეცდებიან შეინარჩუნონ ძალთა ბალანსი.

გლობალური ჰეგემონია პრაქტიკულად შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა თუ სახელმწიფოს აქვს "ბირთვული უპირატესობა". ამ შემთხვევაში მას აქვს შესაძლებლობა გაანადგუროს მოწინააღმდეგე და არ ეშინოდეს მისგან შურისძიების. მერშაიმერი თვლის, რომ გლობალური ჰეგემონობის მიღწევა რთულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფო მიაღწევს ბირთვულ მონოპოლიას, მაგრამ ბირთვული

მონოპოლია ძნელად მისაღწევია, რადგან სხვა სახელმწიფოები შეეცდებიან ბირთვული ძალის გაზრდას და დაბალანსებას.

ჰეგემონი მხოლოდ რეგიონალური შეიძლება იყოს. ჰეგემონი ერთადერთი დიდი ძალაა თავის სისტემაში. ამდენად, თუ რეგიონში ერთზე მეტი დიდი ძალაა, არ არსებობს ჰეგემონი. სახელმწიფოები რომლებიც აღწევენ ჰეგემონობას, ჯერ კიდევ არ არიან კმაყოფილები. ისინი შეეცდებიან რომ რეგიონში არ დაუშვან სხვა სახელმწიფოების ჰეგემონია. პოტენციური ჰეგემონები არ არიან ესეთი ძლიერები, ისინი ყოველთვის ცდილობენ მიაღწიონ ჰეგემონიას და არ გაჩერდებიან სანამ არ გაზრდიან თავიანთ ძალაუფლებას იქამდე, სანამ არ მიაღწევენ ჰეგემონობას. დიდი ძალები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო გზა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არის "ჰეგემონიის მიღწევა ახლა", რითაც აღმოფხვრის მარცხის ნებისმიერ შესაძლებლობას მომავალში.

მერშაიმერი თვლის, რომ ჰეგემონი სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს ფარდობითი ძალის მაქსიმალური გაზრდა წარმოადგენს. ჰეგემონია სისტემაში დომინირებას ნიშნავს. ჰეგემონი განსაზღვრულია, როგორც „ისეთი ძლევამოსილი სახელმწიფო, რომელიც სისტემაში მბრძანებლობს ყველა სხვა სახელმწიფოზე“. (Snyder, 2001, p. 158). მერშაიმერი განიხილავს სახელმწიფოს რეგიონულ ჰეგემონობას. რეგიონული ჰეგემონია სახელმწიფოს ძირითადი სტრატეგიული მიზანი და აქედან გამომდინარე, სწორედ რეგიონული დონე იკავებს მერშაიმერისთვის ცენტრალურ ადგილს.

თავდასხმითი რეალიზმი ფოკუსირებულია ძლიერ სახელმწიფოებზე, რადგან სწორედ ძლიერი სახელმწიფოები ახდენენ დიდ გავლენას საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე.

თითქმის ყველა რეალისტური თეორიის ცენტრალურ კონცეფციას წარმოადგენს უსაფრთხოების დილემა. უსაფრთხოების მისაღწევად უნდა გაზარდო ძალა, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვისი ძალაუფლების გავლენა. ეს თავის მხრივ სხვა სახელმწიფოებს არასაიმედო მდგომარეობაში აყენებს და უბიძგებს და აიძულებს მათაც გაზარდონ ძალაუფლება, რადგან ექმნებათ საფრთხის განცდა, რადგანაც ვერავინ ვერ გრძნობს თავს სრულიად დაცულად კონკურენტულ საერთაშორისო

გარემოში. თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით, დიდი ძალები დაინტერესებულნი არიან თავიანთი უსაფრთხოების გაზრდით და მათი ეს ქმედება საფრთხეს უქმნის სხვებს და აიძულებს საპასუხო ზომების მიღებას. მერშაიმერის მსოფლიოში არ არსებობენ სტატუს ქვო სახელმწიფოები, ყველა სახელმწიფო რევიზიონისტია. თითოეული ქვეყნის მიერ უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები, საფრთხეა სხვა სახელმწიფოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბოლოო მიზანი "უსაფრთხოებაა", მისი რეალური ქცევა ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება პრაქტიკულად განურჩეველი იყოს სუფთა აგრესიულიდან. ამ სამყაროში უსაფრთხოების საჭიროებები შეუთავსებელია; ერთდროულად ყველას არ შეუძლია გაზარდოს თავიანთი მსოფლიო ძალაუფლების წილი.

მერშაიმერი თვლის რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, სახელმწიფოები არ არიან დარწმუნებულნი ერთმანეთის განზრახვებში, გადარჩენა არის მათი უმთავრესი მიზანი, სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები და ზრუნავენ ძალაუფლების გაზრდისთვის, სწორედ იმიტომ რომ ემინიან ერთმანეთის და ზრუნავენ გადარჩენისთვის. ამრიგად, დიდ ძალებს აგრესიული განზრახვები ამოძრავებთ.

მერშაიმერი უოლცის მსგავსად, თვლის, რომ მულტიპოლარული სისტემა უფრო მეტად არის ომისკენ მიდრეკილი, ვიდრე ბიპოლარული. მულტიპოლარული სისტემა, რომელიც დაკომპლექტებულია ძლიერი სახელმწიფოებისგან - პოტენციური ჰეგემონებისგან - ყველაზე საშიში სისტემაა. (Mearsheimer, 2001, p. 3).

თავდაცვით როლში სახელმწიფოებს აქვთ რამოდენიმე სტრატეგიული არჩევანი: დაბალანსება, მიტმასნება და პასუხისმგებლობის გადაბარება (buck Passing). მერშაიმერი ამტკიცებს, რომ არჩევანს განაპირობებს სისტემის სტრუქტურა და გეოგრაფია. არსებობს სამი შესაძლო სისტემის სტრუქტურა: ბიპოლარული, დაბალანსებული მულტიპოლარული და დაუბანანსებელი მულტიპოლარული.

პასუხისმგებლობის გადაბარება (buck Passing) საერთაშორისო ურთიერთობებში ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს საფრთხეს დაუპირისპირდეს, იმ იმედით რომ ამასა სხვა სახელმწიფო გააკეთებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ან

საბჭოთა კავშირის უარი 1930-იან წლებში ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ დასაპირისპირებლად. მიუნხენის შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ წარმატებით აიცილა თავიდან გერმანიასთან შეიარაღებული დაპირისპირება, საბჭოთა კავშირთან Passing the buck ით.

დაბალანსება ნიშნავს შეინარჩუნო არსებული ძალის განაწილება. მაგალითად იმ სახელმწიფოს დაუჭირო მხარი, რომელიც გამოწვევაა რევიზიონისტი სახელმწიფოსთვის.

ზოგიერთი თეორეტიკოსი დაბალანსების საპირისპიროს განიხილავს მიტმასნების სტრატეგიას. ეს არის მოკავშირეობა ძლიერ სახელმწიფოსთან, ვიდრე დაბალანსება. განსაკუთრებით, პატარა სახელმწიფოებს არ აქვთ სხვა არჩევანი. დიდი სახელმწიფოები კი იშვიათად ირჩევენ მიტმასნების სტრატეგიას.

მიტმასნება საერთაშორისო ურთიერთობებში ხდება, როდესაც სახელმწიფო ალიანსში შედის ძლიერ სახელმწიფოსთან. აღიარებს, რომ მოწინააღმდეგე ძალა უფრო ძლიერია. ამდენად, მიტმასნება სუსტი სახელმწიფოების სტრატეგიაა. ლოგიკა ის არის რომ სუსტ სახელმწიფოს ამ გზით შეუძლია მიიღოს ის, რაც სურს. თუკი დიდეს ცნობილი დიქტატი, რომ ძლიერი აკეთებს იმას რაც სურს და სუსტი ეგუება იმას რისი შეცვლაც არ შეუძლია, მიტმასნების ძირითადი არსია. მიტმასნებას სუსტი სახელმწიფო იყენებს როდესაც ხვდება რომ დიდ ძალასთან დაპირისპირებიდან მოგებული ვერ გამოვა. დიდ ძალას შეუძლია სუსტ სახელმწიფოს შესთავაზოს პოლიტიკური სარგებელი, მაგალითად ტერიტორიული მთლიანობა, დაცვა, სავაჭრო შეთანხმებები, რათა სუსტ სახელმწიფო წახალისდეს მასთან ალიანსის შექმნით.

რეალიზმი პროგნოზირებს, რომ მიტმასნება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს სხვა შესაძლებლობა დაბალანსების, კოალიციის შექმნის და გეოგრაფიული მდებარეობა დაბალანსების საშუალებას არ იძლევა. (გარშემორტყმულია მტერებით). მიტმასნება განხილულია როგორც სახიფათო სტრატეგია, რადგან მეტოქე სახელმწიფოს ეს საშუალებას აძლევს უფრო გაძლიერდეს. მიტმასნება დაბალანსების საწინააღმდეგო ქცევაა.

ამრიგად, თავდასხმითი რეალიზმი, თავდაცვითი რეალიზმისგან განსხვავებით, აქცენტს ძალის გაზრდაზე აკეთებს. ამ თეორიის თანახმად საერთაშორისო სისტემა იმგვარადაა მოწყობილი, რომ სახელმწიფოებმა მუდმივად უნდა იზრუნოს მეტად გამლიერებაზე.

საბოლოო ჯამში, თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი იზიარებენ რეალიზმის ფუნდამენტურ იდეებს. ისეთი ფუნდამენტური საკითხები საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორცაა ომი და მშვიდობა, თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში კარგად აიხსნება.

1.2. ლიბერალიზმი

მშვიდობის დამყარება, მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამკვიდრება და ომების თავიდან აცილება იყო და რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად.

ლიბერალიზმი წარმოადგენს ძალის პოლიტიკის ალტერნატიულ ხედვას, რომელიც რეალიზმისგან განსხვავებულ პოსტულატებზე დგას.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის განვითარების ეტაპები დაიწყო რეალიზმსა და ლიბერალიზმს შორის დებატებით. რეალისტები თვლიდნენ, რომ 20-30 -ანი წლების ლიბერალიზმი იდეალისტურ პოსტულატებზე იყო დამყარებული და ვერ ახდენდა რეალობის ობიექტურ გააზრებას, რომ ის უფრო სასურველის რეალობად წარმოდგენაზე იყო ორიენტირებული.

იდეალიზმის დოქტრინის მიხედვით, ადამიანის ბუნებაში ბოროტი საწყისები არ არსებობს და მორალი, კანონი და საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების საფუძველს ქმნიან. ლიბერალები ნაწილობრივ აღიარებენ საერთაშორისო ანარქიის არსებობას. მათი აზრით, საერთაშორისო სისტემა ძალთა გადანაწილების საფუძველზე ფორმირდება, მაგრამ წესრიგი ნორმების და კანონის ძალით ყალიბდება. ლიბერალები, რეალისტებისგან განსხვავებით თვლიან, რომ სახელმწიფოები არ არიან უნიტარული აქტორები და საერთაშორისო ურთიერთობების სფერო მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს,

სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების და ა.შ. (Goldstein, 2014, p. 86).

ლიბერალების აზრით, სამხედრო ძალის გამოყენება აქტორზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ძვირადღირებული გზაა და უმჯობესია კონფლიქტების დიალოგის და დიპლომატიის გზით გადაჭრა.

თუ რეალისტებისთვის რაციონალურობის ცნება ერთი აქტორის მიერ საკუთარი ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას გულისხმობს, ლიბერალებისთვის რაციონალურობის კონცეფცია განისაზღვრება, როგორც ინდივიდუალური ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა, ზოგადი, საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის ამაღლებისთვის. ლიბერალების აზრით, ომი და ძალადობა ზიანს აყენებს ქვეყნის კეთილდღეობას და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს რაციონალურ ქმედებად.

ლიბერალიზმის მიხედვით, ქვეყნებს შორის შესაძლებელია თანამშრომლობა. რეალისტებისგან გასხვავებით, ლიბერალები საერთაშორისო სისტემაში აქტორთა პლურალიზმს აღიარებენ. ლიბერალებისთვის ადამიანის ბუნების და საერთაშორისო პოლიტიკის ოპტიმისტური ხედვაა დამახასიათებელი.

ლიბერალები თვლიდნენ, რომ საერთაშორისო სისტემაში ეთიკური და მორალური პრინციპების დამკვიდრებით შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოში მშვიდობის დამყარება. ისინი აქცენტს აკეთებდნენ კოლექტიურ უსაფრთხოებაზე, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ძალთა ბალანსის სტრატეგია. ერთა ლიგის შექმნა ლიბერალებისთვის, სწორედ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის გამოყენების მაგალითია.

ლიბერალიზმი ძირითადი განშტოებებია: დემოკრატიული მშვიდობის თეორია (რესპუბლიკური ლიბერალიზმი), ინსტიტუციონალური ლიბერალიზმი, ეკონომიკური ლიბერალიზმი.

დემოკრატიული მშვიდობის თეორია ამტკიცებს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთში არ ომობენ. კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი არადემოკრატიული სახელმწიფოების ქცევაა, რაც მათი პოლიტიკური სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

რეალისტები მიიჩნევენ, რომ ლიბერალური სახელმწიფოები ისეთივე აგრესიულები არიან, როგორც ყველა დანარჩენი. დოილის აზრით, ლიბერალური სახელმწიფო არალიბერალურის მიმართ შეიძლება იყოს აგრესიული, მაგრამ ლიბერალური სახელმწიფოები ერთმანეთში არ ომობენ. (Morse, 1970, pp. 371-390).

დემოკრატიული რეჟიმის მქონე სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ძლიერი და სუსტი ქვეყანა. ეროვნული ინტერესები და ძალთა ბალანსის პრინციპი აზრს კარგავს, თუ სახელმწიფოები მტკიცედ იცავენ ლიბერალურ პრინციპებს.

ინსტიტუციონალური ლიბერალიზმი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ინსტიტუტებს. ამ მიდგომის თანახმად, საერთაშორისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და მათ შორის ნდობის დამყარებას უზრუნველყოფენ. ნეოლიბერალები აღიარებენ ანარქიის არებობას, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ანარქიის უარყოფით ეფექტებს ამცირებენ.

ეკონომიკური ლიბერალიზმის მიხედვით, ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები ამცირებს მათ შორის კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობას. ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურად ერთმანეთზე დამოკიდებულები არიან ერთმანეთთან ომს ერიდებიან. ნორმან ენჯელსი თავის წიგნში „დიდი ილუზია“ ამტკიცებს, რომ ერთმანეთზე ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებული ქვეყნები შეეცდებიან წარმოქმნილი დავების დიპლომატიის გზით გადაწყვეტას.

ლიბერალიზმის სამივე მიმართულება საერთაშორისო კონფლიქტების თანამშრომლობით გადაჭრაზე აკეთებს აქცენტს. თუ რეალიზმის მიხედვით, ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ხელს უშლის საერთაშორისო ანარქია და ადამიანის ეგოისტური ბუნება, ლიბერალების აზრით, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, დემოკრატიული სახელმწიფოების და საერთაშორისო ინსტიტუტების რაოდენობის ზრდა ხელს უწყობს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას.

1.3. კონსტრუქტივიზმი

საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ რეალიზმი მოძველებული თეორიაა. (Waltz, 2000. p.1).

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი გავლენიანი სკოლა-კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში თანამედროვე მიდგომაა, რომელიც ნეორეალიზმის კრიტიკის ბაზაზე წარმოიქმნა და ძალიან გავლენიანი გახდა.

კონსტრუქტივიზმის ფუძემდებლად ალექსანდრ ვენდტი ითვლება და ის წარმოადგენს ამ თეორიის ყველაზე გავლენიან ავტორს, თუმცა ტერმინი კონსტრუქტივიზმი პირველად ნიკოლას ონუფმა გამოიყენა. (Onuf, 1989, p.1).

აღსანიშნავია ის, რომ კონსტრუქტივიზმს ზოგი არ მიიჩნევს თეორიად და თვლიან, რომ ეს მიდგომა არ ახდენს სიტუაციათა წინასწარმეტყველებას და ემსახურება მხოლოდ ანალიზს. ასევე, მიდგომა იმდენად ფართო და ყოვლისმომცველია, რომ იგი არ ბათილდება.

მიუხედავად კრიტიკისა, კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ბაზისური თეორიაა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ბევრად უფრო მნიშვნელოვანს ხდის და ყურადღებას ძალიან მნიშვნელოვან დეტალებზე ამახვილებს, რომელთა ღირებულებების უგულებელყოფა ძნელია.

კონსტრუქტივიზმის მთავარი პოსტულატია ის, რომ ადამიანთა ურთიერთობა იდეებით არის ნაკარნახევი და არა მატერიალური საგნებით.

კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო პოლიტიკაში აქტორებს, აგენტებს შორის ურთიერთქმედებაზე ფოკუსირდება. კონსტრუქტივიზმისთვის სახელმწიფოს ქმედება სწავლების, გამოცდილების მიღების პროცესს ასახავს და ეს ქმედება ფორმირდება ინტერესების, ღირებულებების და თავისებურებებისაგან. ამ მიდგომის თანახმად, ინსტიტუტები მუდმივად გარდაქმნის პროცესშია, რაც სახელმწიფოთა და სხვა აქტორთა ქმედებებით არის განპირობებული. (Wendt, 1995)

კონსტრუქტივიზმი წარმოადგენს მატერიალისტური თეორიების ალტერნატივას. კონსტრუქტივისტების აზრით, პოლიტიკური რეალიზმი და ლიბერალიზმი მატერიალისტური თეორიებია. თუმცა, მიუხედავად ამ თეორიებს შორის ფუნდამენტური განსხვავებებისა, სამივე თეორია ძალიან ბევრ მოსაზრებებს იზიარებენ საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

კერძოდ, კონსტრუქტივისტები იზიარებენ აზრს, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელმწიფოები საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ. კონსტრუქტივისტები თვლიან, რომ სახელმწიფოებმა შესაძლებელია იზრუნონ სამხედრო ძლიერების გაზრდაზე და რომ სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორია. კონსტრუქტივისტები იზიარებენ, რომ ქენეთ უოლცის მიერ განვითარებულ კვლევის დონეებიდან, მესამე დონე, საერთაშორისო სისტემის დონე ყველაზე მნიშვნელოვანი დონეა.

როგორც ჩანს, რეალიზმის მსგავსად, ლიბერალიზმსა და კონსტრუქტივიზმშიც შეიძლება მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს სახელმწიფოს ძლიერებას, მაგრამ მთავარი განსხვავება ის არის, რომ კონსტრუქტივისტებისთვის ძლიერება განსხვავებულად განისაზღვრება. კონსტრუქტივიზმი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა სოციალურად კონსტრუირებული მოცემულობაა და აქცენტს აკეთებს ისეთი არამატერიალისტური მოცემულობების მნიშვნელობაზე, როგორცაა ნორმები, იდეები, აღქმები, იდენტობები, ისტორიული მეხსიერება და ა.შ.

როგორც უკვე ავღნიშნე, კონსტრუქტივისტები აღიარებენ საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას, მაგრამ რეალისტებისგან განსხვავებით, მათ მიაჩნიათ, რომ ანარქია ისეთია, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ. (Wendt, 1992, p. 6) ანარქიას არა აქვს დამოუკიდებელი ეფექტები და ის არ ხდება მიზეზი ქვეყნებს შორის უსაფრთხოების დილემის წარმოქმნისა, არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აღიქვამენ სახელმწიფოები ერთმანეთს, როგორც მეგობრებს თუ როგორც მტრებს. სახელმწიფოები ზოგჯერ არიან ეგოისტურები, ზოგჯერ არა. ეს ვარიაცია ცვლის ანარქიის ლოგიკას.

ქენეთ უოლცის ნეორეალიზმი ორიენტირებულია საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაზე, ხოლო ალექსანდრე ვენდტის კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო სისტემის პროცესზეა ორიენტირებული.

ვენდტი არ იზიარებს ნეორეალისტების მოსაზრებას, რომ ანარქია თავისთავად არსებული მოცემულობაა და თვლის, რომ სტრუქტურა არ შეიძლება არსებობდეს და მიზეზობრივი ძალა გააჩნდეს პროცესის გარეშე.

ვენდტის აზრით, ინტერესების საფუძველს იდენტობები წარმოადგენს. მოქმედი პირები ინტერესებს ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ. ვენდტი ეჭვქვეშ აყენებს სისტემის მდგრად მდგომარეობას და განიხილავს მას, როგორც მუდმივად ცვალებადს და ფორმირებადს, რომელიც პროცესის შედეგია.

თვითდახმარება და ძალის პოლიტიკა ვენდტისთვის ინსტიტუტებია და არა ანარქიის აუცილებელი მახასიათებლები. თვითდახმარება ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომელიც ანარქიის დროს შეიძლება არსებობდეს. (Wendt, 1992, p. 394). ვენდტმა გადაახალისა მიდგომა ანარქიის შესახებ და შემოგვთავაზა ანარქიის მოქნილ სისტემად გააზრება, რაც რეალისტებისთვის წარმოუდგენელია. ვენდტმა თვითდახმარების ინსტიტუტის ალტერნატივად წარმოაჩინა თანამშრომლობის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია მისი ჩაანაცვლება.

რეალისტებისგან განსხვავებით, კონსტრუქტივისტებისთვის მნიშვნელოვანია არა მატერიალური მოცემულობები, არამედ მატერიალური მოცემულობების სოციალური აღქმა. ვენდტის მიხედვით, „ტანკი მხოლოდ მაშინ არის საფრთხე, თუ ის მტრის ტანკია“. ერთი სახელმწიფოს ტანკი, როგორც სამხედრო ძლიერების ინდიკატორი თავისთავად არ წარმოადგენს საფრთხეს მეორე სახელმწიფოსთვის. არამედ, კონსტრუქტივისტებისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო რომელიც ამ ტანკის მფლობელია, მეორე სახელმწიფოს მტერია თუ მოკავშირე. სოციალური კონსტრუქტივიზმის მიხედვით, საფრთხის გასაზომად საკმარისი არ არის მხოლოდ მატერიალური მოცემულობების ანალიზი, არამედ მნიშვნელოვანია სოციალური იდენტობების მნიშვნელობა.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ საერთაშორისო სისტემაში სამი სახელმწიფოა - A, B და C სახელმწიფო. რეალიზმის მიხედვით, თუ B სახელმწიფო

უფრო ძლიერია, (სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით) ვიდრე C სახელმწიფო, მაშინ A სახელმწიფოსთვის საფრთხეს აპრიორი ქმნის B სახელმწიფო. ანუ, საფრთხის შეფასება ხდება მხოლოდ მატერიალური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე.

აღნიშნული მაგალითი რომ განვიხილოთ კონსტრუქტივიზმის ჭრილში, A სახელმწიფოსთვის მხოლოდ მაშინ იქნება საფრთხედ აღქმული B სახელმწიფო, (მიუხედავად იმისა რომ, B სახელმწიფო A სახელმწიფოსთან შედარებით უფრო ძლიერია) თუ მათი სოციალური იდენტობა იქნება მტრული.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი, რომელსაც გვთავაზობს ალექსანდრე ვენდტი, 1995 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „საერთაშორისო პოლიტიკის კონსტრუირება“. „შეერთებული შტატების უსაფრთხოებას ბრიტანეთის 500 ბირთვული ქობინი უფრო ნაკლებ საფრთხეს უქმნის, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის 5 ბირთვული ქობინი“. რეალიზმისგან განსხვავებით, კონსტრუქტივიზმი საფრთხის შეფასებას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური მოცემულობების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, არამედ ქვეყნებს შორის არსებული იდენტობების გათვალისწინებით.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს კანადისთვის და კუბისთვის, გამომდინარე მათი განსხვავებული დამოკიდებულებისა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ასევე, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძლიერება, განსხვავებით საბჭოთა კავშირისგან. თუ საზოგადოება დაივიწყებს, რომ უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც პროფესორი ახდენს ცოდნის გაზიარებას სტუდენტებისთვის, სტუდენტები აღარ იარსებებენ. თუ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ჩათვლიან, რომ არ არიან მტრები, ცივი ომი დამთავრდება. „ეს არის კოლექტიური მნიშვნელობები, რომელიც ქმნის სტრუქტურას და, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ქმედებებს“ . (Wendt, 1992, p. 397).

კონსტრუქტივიზმი არის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული თეორია, რომლისთვისაც სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის ანალიზის პრინციპულ ერთეულებს წარმოადგენენ; სახელმწიფოთა სისტემაში მთავარი

სტრუქტურა ინტერსუბიექტურია და არა მატერიალური; სახელმწიფოთა ინტერესები და თავისებურებები კონსტრუირებულია სოციალური სტრუქტურით და არა ადამიანიური ბუნებისგან ეგზოგენურად მოცემული.

ამრიგად, კონსტრუქტივისტებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის არსებული სოციალური იდენტობა და აღქმები ვიდრე მატერიალური მოცემულობები. აქტორები წინასწარ განსაზღვრული ნორმების და იდენტობების საფუძველზე ურთიერთქმედებენ.

კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპია სოციალური ურთიერთქმედების კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული შემეცნება, რომელიც სწორედ ამ ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება.

თავი 2. კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები - საგარეო დონის ანალიზი

2.1. რუსეთის ინტერესები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში

საბჭოთა კავშირის არსებობა სხვა „კლასიკურ“ იმპერიებთან შედარებით ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი იმპერია იყო კაცობრიობის ისტორიაში. (აბაშიძე, 2012, გვ.8)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სწორედ ამ ქაოსურ გარემოში წარმოიშვა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები პოსტსაბჭოთა სივრცეში (Ozkan, 2008, p.2). კავკასია ლინგვისტურად და კულტურულად ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ რეგიონში სამი ეთნიკური კონფლიქტი წარმოიშვა, მთიან ყარაბაღსა, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში). კავკასიაში დომინირებს ძალაუფლებისთვის ბრძოლა გლობალურ და რეგიონალურ აქტორებს შორის. კავკასიის რეგიონის კონფლიქტები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც „დიდი თამაშის“ ნაწილი. „დიდი ძალები მსოფლიო ბატონობისთვის თამაშობენ ჭადრაკს; კონფლიქტის მონაწილე მხარეები კი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც რეგიონალური და გლობალური ძალების პაიკები“. (Ozkan, 2008, p.2) დიდ ძალებს შორის კონკურენცია კავკასიის ქვეყნების მმართველ ელიტებზე მანევრირების საშუალებას იძლევა, რომლებსაც სურთ თავიანთი ინტერესების დაცვა. გლობალურ თამაშში, რეგიონალური ძალები ელიტებს ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობენ, რათა საკუთარი მოგება მაქსიმალურად გაზარდონ. საუკუნეების მანძილზე, საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, რუსეთის და სხვა დიდსახელმწიფოების ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების მიზეზი ანალიზის სხვადასხვა დონეებზე შეიძლება. არის საერთაშორისო დონე (საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები) და არის მეორე დონე - შიდა სახელმწიფოებრივი დონე.

გეოპოლიტიკური შრე- რომლის ფარგლებშიც ძირითადი აქტორი იყო პოსტსაბჭოთა რუსეთი, რომელსაც სურდა ამ კონფლიქტების გამოყენებით შეენარჩუნებინა გავლენა და ჰქონოდა ინსტრუმენტი, ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეზე ზეწოლისთვის და კონტროლისთვის. გეოპოლიტიკური შრის გააზრების გარეშე ამ კონფლიქტების ანალიზის ნებისმიერი მცდელობა არასრულყოფილი იქნება. ეს სისტემური დონე დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წამყვანია.

შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე არსებობს ეთნიკური კონფლიქტის ნიშნები, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ აფხაზებს შორის, ასევე ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ ოსებს შორის, რაც ინსპირირებული იყო საგარეო დონიდან. მაგრამ კონფლიქტების ესკალაციაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული მხარის პოლიტიკური შეცდომები, რადგან იმ დროინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური გამოცდილება, ვერ გათვალა პოლიტიკური ნაბიჯები და წამოეგო რუსეთის პროვოკაციას. გამსახურდიას ხელისუფლებამ სრულიად არასწორი რეაგირება მოახდინა რუსეთის მიერ პროვოცირებულ ცხინვალის და სოხუმის სეპარატისტული ლიდერების ქმედებებზე. (ავტორის ინტერვიუ გიორგი გვალასთან)

სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შიდა დონის ანალიზზეა ფოკუსირებული, თუმცა ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავ საგარეო დონის ანალიზს, რაც საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი გავლენიანი სკოლის - რეალიზმის ჭრილშია განხილული.

იმისათვის, რომ გავიგოთ რა წინაპირობები არსებობდა, რომლებმაც ქართული, აფხაზური და ოსური მხარე კონფლიქტამდე მიიყვანა, აუცილებელია ვიცოდეთ ისტორიული ჩარჩო, ის მოვლენები, რომლებიც წლების განმავლობაში ვითარდებოდა და მხარეებს შორის ურთიერთობებს კომპლექსურს ხდიდა.

აკადემიური წრეში, ფართოდ განიხილება რუსეთის როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. რუსეთი, როგორც გარე აქტორი, თუ, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე.

რუსეთს დიდი ინტერესი გააჩნია კავკასიაში. სამხრეთ კავკასიაში არსებული ენერგორესურსები მისთვის ძალიან მიმზიდველია, შესაბამისად მას სურს კონტროლის მოპოვება ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე. კავკასიის რეგიონში, რუსეთის ინტერესი ყოველთვის იყო და არის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის განმტკიცება და შენარჩუნება. რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს მისწრაფებები კი, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა ყოველთვის იყო და რჩება დიდ პრობლემად.

1990-იანი წლები იყო უნიკალური უახლეს ისტორიაში. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში 1990-იანი წლები განსაკუთრებულია იმით, რომ სწორედ ამ პერიოდში აღიდგინა საქართველომ დამოუკიდებლობა. მეტად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში დაიწყო ახალი სახელმწიფოს მშენებლობა.

აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, მაგრამ, რუსეთს საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის საკუთარი გეგმები ჰქონდა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს და მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებში მუდმივად ერეოდა და აფხაზეთის საქართველოსგან მოწყვეტას ცდილობდა. რეალიზმის ჭრილში, რუსეთის მხრიდან საქართველოში განხორციელებული ქმედებების უმთავრეს მიზანს რეგიონში დომინანტური პოზიციის დამყარება და გავლენის სფეროს შექმნა წარმოადგენდა. პოლიტიკური რეალიზმი ძალიან კარგად ხსნის რუსეთის ინტერესებს და შესაბამისად, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ქმედებების ასახსნელად და გასაანალიზებლად ძალიან დამაჯერებელ და ყოვლისმომცველ არგუმენტებს გვთავაზობს. რუსეთს როგორც საქართველოსთან, ისე სომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში ერთი და იგივე მიზანი გააჩნია, რაც რეალიზმის მიხედვით აიხსნება, როგორც ძალაუფლების შენარჩუნებისა და მოპოვების სურვილი, რომლის განხორციელებასაც რუსეთი ძალადობრივი პოლიტიკის გატარებით ახორციელებდა. რუსეთის მიზანი იყო საბჭოთა იმპერიის „რესტავრაცია“, დემოკრატიული პროცესების შეჩერება და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რესპუბლიკების დათრგუნვა.

საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ აფხაზეთში ვითარება დაძაბა. რუსეთის იმპერია ცდილობდა ეთნოკონფლიქტების მოწყობას, იმისთვის რომ ჩაეხშო რესპუბლიკების ლტოლვა დამოუკიდებლობისადმი.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებით, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა, მაინც ყველანაირად ცდილობდა ქვეყნის დაყოფა-დანაწილებას.

1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შესაძლებელი გახდა, რომ 28-29 მარტს ბათუმში ჩატარებულ თათბირზე აფხაზეთი გამოცხადებულიყო სოციალისტურ რესპუბლიკად. ამის შემდეგ კი, რუსეთის საბჭოთა იმპერიის ხელისუფლება, რომელიც აფხაზი სეპარატისტების წამქეზებელი იყო, საქართველოსგან აფხაზეთის საერთოდ მოწყვეტას ცდილობდა.

მთლიანად სამხრეთ კავკასიის და საქართველოს ხელახალ ანექსიას და ოკუპაციას ისახავდა მიზნად კონფლიქტები, რომელიც რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული. „აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კავკასიის სამგზის დაპყრობას ბოლო ორი საუკუნის მანძილზე ყოველთვის წინ უძღვოდა საქართველოს ანექსია და იმპერიის მიერ ბოძებული აფხაზეთის დროებითი ფორმალური დამოუკიდებლობა. ასე იყო 1810-1864 წლებში, ნაწილობრივ - 1921-1931 წწ. ასეა ამჟამადაც. „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი ასრულებდა და ასრულებს საქართველოს დათრგუნვის ფუნქციას“. (გამახარია, 2004, გვ.19).

თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოები ორიენტირებულები არიან რეგიონულ ჰეგემონიაზე. სახელმწიფოები ცდილობენ ჰეგემონობას და ამას აკეთებენ და აღწევენ სხვადასხვა საშუალებებით. თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში, რუსეთის მიზანია კავკასიის რეგიონში არა მხოლოდ ჰეგემონიის შენარჩუნება, არამედ გაფართოება და ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც რუსეთის მიზნებზეა მორგებული. საქართველო რუსეთისთვის არის ძირითადი სტრატეგიული სახელმწიფო. თუ რუსეთი ვერ შეძლებს კონტროლის დამყარებას

საქართველოზე, იგი ვერ შეძლებს გახდეს ჰეგემონი ძალა რეგიონში. საქართველოზე ძალაუფლების გავრცელება რუსეთს საშუალებას მისცემს განახორციელოს შეუზღუდავი კონტროლი ჩრდილო კავკასიაზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - აკაკი ასათიანი 1990 წლის ნოემბერში მიხეილ გორბაჩოვმა გააფრთხილა, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ექნებოდა საბჭოთა კავშირიდან გასვლის მცდელობა, სერიოზული პრობლემა შეექმნებოდა ქვეყანას; კერძოდ, მის ავტონომიურ წარმონაქმნებსა და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. პოლიტიკურად უმწიფარმა საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ აბსოლუტურად ვერ გათვალა, თუ რა დამღუპველი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის იმპროვიზირებულ ნაციონალიზმს ოსებთან და აფხაზებთან ურთიერთობაში. ამ საფრთხის დანახვა რთული არ იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ისტორიულ წარსულში არსებობდა მაგალითები, თუ როგორ ებრძოდა რუსეთი „დაუმორჩილებელ“ ქვეყნებს. დემოკრატიულ საქართველოს ბოლშევიკურმა რუსეთმა სამ წელიწადში ორჯერ აფხაზები და სამჯერ ოსები აუმხედრა.

მ. გორბაჩოვი არ მალავდა რუსეთის გეგმებს. 1991 წელს ზვიად გამსახურდიასთან სატელეფონო საუბარში იგი იმუქრებოდა რომ „დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა მოგვიხდებოდა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის გარეშე“. (გამახარია, 2004, გვ. 3).

რუსეთის საბჭოთა მთავრობა აქტიურად ებრძოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საბჭოთა კავშირის ლიდერებს, საზღვრების განმტკიცების გარდა, ეკონომიკური მიზნებიც ამოძრავებდათ. ქართული ეროვნული მოძრაობა კი საქართველოს დამოუკიდებლობის სრული აღდგენისთვის იბრძოდა.

1989 წლის ივნისში გამოქვეყნდა ანდრეი სახაროვის ინტერვიუ, სადაც აღნიშნავდა, რომ „საქართველო მცირე იმპერიაა“. „აღნიშნული ლოზუნგი არსებითად პირდაპირი მოწოდება იყო აფხაზი და ოსი სეპარატისტებისთვის, რათა საქართველოს წინააღმდეგ აქტიური მოქმედებები დაეწყოთ“. (ბულისკერია, 2016, გვ.85)

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს მოსახლეობამ არჩევნებში ხმა მისცა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. 70 წლიანი კომუნისტური მმართველობის შემდეგ, საქართველოს ისტორიაში ეს იყო დემოკრატიული გზით არჩეული კანონიერი ხელისუფლება. ამ პერიოდში უკვე დაწყებული იყო რეფერენდუმების ჩატარება, საბჭოთა კავშირის, როგორც განახლებული ფედერაციის შენარჩუნების საკითხზე. 1991 წლის 17 მარტი განისაზღვრა რეფერენდუმის თარიღად. საბჭოთა კავშირი, ხალხის ნების აპელირებით ცდილობდა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესის შეჩერებას. საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა ხმა.

1989-1990 წლებში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები (მმართველობის შეუქცევადი შესუსტება) ცხადყოფდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი იყო. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები იწყებენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებებს, რაც გამოიხატებოდა საჯარო საპროტესტო გამოსვლებით. საბჭოთა ხელისუფლება არბევდა მიტინგებს, დევნიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს და ყველანაირად ხელს უწყობდა სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირების წარმოშობას. ამ პროცესმა ხელი შეუწყო შიდა დაპირისპირებას, აფხაზებს, ოსებს და ქართველებს შორის.

1988 წლის 13 დეკემბერს, აფხაზეთში ჩამოყალიბდა სახალხო ფორუმი - „აიდგილარა“. „ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს, რეგიონში კრემლის პოლიტიკის მხარდაჭერა და საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლა წარმოადგენდა“. (იქვე..) „აიდგილარა“ აფხაზეთის სუვერენიზაციას მოითხოვდა. რუსეთი ძალის პოლიტიკისა და კლასიკური რეალიზმის პრინციპებით მოქმედებდა, სეპარატიზმს ახშობდა საკუთარი სახელმწიფოს შიგნით, მის ფარგლებს გარეთ კი ახალისებდა მას. სეპარატისტების დახმარებით, რუსეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა საქართველო თავის ფარგლებში. რეალიზმის ჭრილში, რუსეთის ინტერესი იყო არ დაეკარგა თავისი გავლენა საქართველოსა და მთელ კავკასიაზე. რუსეთის ეროვნული

ინტერესია დარჩეს ზესახელმწიფოდ და ამას ვერ შეძლებს თუ მისი გავლენა მხოლოდ საკუთარ საზღვრებში ვრცელდება.

„აიდგილარას“ ორგანიზებით, 1989 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, მიღებულ იქნა „ლიხნის მიმართვა“, რომლის მიხედვით აფხაზები მოითხოვდნენ საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფას და მიმართავდნენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლას. „ლიხნის მიმართვა“ იყო ერთგავრი ბიძგი ესკალაციისა, როგორც თბილისში, ისე აფხაზეთში.

1989 წელს აფხაზეთში კონფლიქტის ესკალაცია დაიწყო. ამის გარდა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გეგმის შემუშავებისთვის უნდა ეფიქრათ. ქართულმა მხარემ რადიკალური მეთოდები აირჩია. ამ პერიოდში, კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულმა აქციებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. 4 აპრილს თბილისში, აფხაზეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოსვლები გადაიზარდა ანტისაბჭოურ მიტინგში, რომელსაც 4-დან 9-აპრილამდე ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქე მონაწილეობდა. 9 აპრილს, ღამის 4 საათზე, თბილისში, სსრკ-ის სამხედრო ქვედანაყოფების მიერ უმოწყალოდ იქნა დარბეული მიტინგი. დაიღუპა 19 ადამიანი 9 აპრილის ტრაგედიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის ხელისუფლება ტრადიციისამებრ ცდილობდა ამ ტრაგედიის მიჩქმალვას. 9 აპრილის ტრაგედიამ სათავე დაუდო მასობრივი მიტინგების ხანას; კრემლისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოზე კონტროლს კარგავდა და ეთნოკონფლიქტების პროვოცირების მექანიზმების აქტიურად ამუშავება დაიწყო.

14 მაისს ქართველი პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების თხოვნით, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული სექტორი გამოიყო და სოხუმში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი შეიქმნა. ეს გახდა საბაზი პირველი ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტისა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. დაიღუპა 20-მდე და დაიჭრა 140-მდე მოქალაქე. „ამ უმაღლესი სასწავლებლის გახსნა კრემლთან დაკავშირებული სეპარატისტული

ძალების მიერ გამოყენებულ იქნა საბაზად 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიანი შეტაკებების პროვოცირებისთვის“. (მალაშხია, 2011, გვ. 91)

1990 წლის 3 აპრილს, სსრკ-ის უმაღლესმა საჭომ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით თუ მოკავშირე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირიდან გასვლას მოინდომებდა, ამ რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი თითოეული ავტონომიური წარმონაქმნის ტერიტორიაზე, კავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმი ცალკე უნდა ჩატარებულიყო. ამ კანონის მიღება იყო პირდაპირი სიგნალი, რომელიც ავტონომიების კომუნისტურ ნომენკლატურას მკვეთრ სეპარატისტულ ნაბიჯებს ავალდებულებდა. ეს ემსახურებოდა ვითარების გამწვავებას და საფრთხეს უქმნიდა რესპუბლიკების ტერიტორიულ მთლიანობას. „ეთნოკონფლიქტების“ პროვოცირებაში ძირითად როლს კრემლის მიერ ზურგამაგრებული სეპარატისტ-კრიმინალების შეიარაღებული ბანდები ასრულებდნენ.

1992 წლის აგვისტოში, მაშინ, როდესაც საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება უკვე დამხოვილი იყო და ქვეყანას ედვარდ შევარდნაძე მართავდა, ძალიან გახშირდა სატვირთო მატარებლების მარცვა. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სარკინიგზო, საავიაციო და საავტომობილო მოძრაობა თითქმის შეწყდა. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება რკინიგზაზე წესრიგის აღდგენის მიზნით, აფხაზეთში სამხედრო დანაყოფი შეეყვანა. არძინბამ და მისმა რუსმა მრჩევლებმა ეს ფაქტი პროვოკაციისთვის გამოიყენეს, თითქოს ქართული ჯარი აფხაზეთის დასაპყრობად მიდიოდა და სეპარატისტულმა ფორმირებებმა ქართულ შენაერთებს ცეცხლი გაუხსნეს. ასე დაიწყო 1992-1993 წლებში საომარი მოქმედებები აფხაზეთში.

სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება, 1992 წლის 14 აგვისტოს ჯარები შეეყვანა სოხუმში, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაცვის მიზნით, არ იყო სწორი გადაწყვეტილება. ქართულმა მხარემ ვერ გათვალა, რომ აფხაზური მხარე წინააღმდეგობას გაუწევდა; რომ აფხაზურ მხარეს ჩრდილოეთ კავკასია აღმოუჩენდა დახმარებას და რუსეთი ჩაერთვებოდა ამ კონფლიქტში სეპარატისტთა მხარეს. (1992-1993 წლებში აფხაზებს ჩეჩნებისა და ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობლების საკმაოდ

დიდი ჯგუფი შეუერთდა) ჯარების შესვლა შეთანხმებული იყო არძინბასთან. მაგრამ ჯარი სოხუმში არ უნდა შესულიყო.

ჯერ კიდევ კონფლიქტის დაწყებამდე აფხაზებმა ისარგებლეს საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობით და სამოქალაქო ომით. ახალი ხელისუფლების სისუსტემ და უუნარობამ აფხაზებს საშუალება მისცა აემოქმედებინათ თავიანთი გეგმები. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ აშკარად დაუჭირა მხარი აფხაზ სეპარატისტებსა და მათ ლიდერს - ვლადისლავ არძინბას. შედეგი იყო ის, რომ 1992 წლის 14 აგვისტოს, საქართველო დამღუპველ ომში აღმოჩნდა ჩათრეული.

„საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, არც ქართველებს და არც აფხაზებს ომი არ სურდათ, სწორედ ამიტომ, ვითარების უკიდურესი ესკალაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კრემლის „სახელოვანი“ წინამორბედების მიერ ჯერ კიდევ 20-იან წლებში მომზადებულ „ნაღმების“ სათანადოდ „აფეთქებას“ და შემდეგ პირველი შეიარაღებული, სისხლიანი შეტაკებების გაჩაღებას.“ (მალაშხია, 2011, გვ. 97).

რუსეთს საშუალება მიეცა კონფლიქტის პროვოცირებისა. 1992 წლის ზაფხულში, სისხლიანი პროვოცირებისთვის რუსეთს ყველა „სამუშაო“ უკვე შესრულებული ჰქონდა. როგორც ჩანს, კრემლი აქტიურად ამუშავებდა ყველა შემონახულ ბერკეტსა და ნაღმს, რათა საქართველოში „ეთნოკონფლიქტები“ გაეჩაღებინა. რუსეთის საბოლოო მიზანი საქართველოს კიდევ უფრო დასუსტება და დაშლა იყო.

„სამწუხაროდ, საქართველოში შექმნილი უაღრესად რთული ვითარება – ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი ქართული საზოგადოება და ორივესთან შეურიგებელი აფხაზი სეპარატისტები, რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა, რომლის დიდი ხნის სურვილს, აფხაზეთის ქართული სივრციდან მოწყვეტა წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით მას შემდეგ გაუმძაფრდა, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. არძინბა და მისი თანამზრახველები, უშუალოდ მოსკოვიდან იმართებოდნენ.“ (ბულისკერია, 2016, გვ. 111) რეალიზმის ჭრილში, აფხაზეთის კონფლიქტი იყო არა

მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტი, არმედ ეს იყო რუსეთის იმპერიული ომი შავ ზღვაზე და კავკასიაში ჰეგემონობისთვის.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი - სვეტლანა ჩერვონაია, თავის წიგნში „აფხაზეთი - 1992: პოსტკომუნისტური ვანდია“ მიმოიხილავს აფხაზეთის ისტორიას და იმ აზრს იზიარებს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ის მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ომი ეს იყო რუსეთის დიდი ხნის ოცნების განხორციელება; რომ საქართველოს დასჯის მიზნით (რადგანამ „ურჩმა“ რესპუბლიკამ არ ისურვა საბჭოთა კავშირში ყოფნა) მისთვის უნდა ჩამოეცილებინათ აფხაზეთი და სხვა ეთნიკური რეგიონები. (Червонная, 1993, с. 9)

რაც შეეხება ე.წ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბებას, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება იგივე მეთოდებით იბრძოდა, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში.

1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რაც იყო ხელოვნური წარმონაქმნი და შეუსაბამო ტერმინი ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიისთვის, სადაც ოსები ცხოვრობდნენ.

დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს შორის პირველად მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, ბოლშევიკური რუსეთის ხელშეწყობით და წაქეზებით. მაშინ რუსეთი პირველად შეეცადა ოსები საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა. 1920 წლის 23 მარტს, რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი მისი ერთ-ერთი ლიდერის, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ვლადიკავკაზში საგანგებოდ შეიკრიბა. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასამხობად დღევანდელი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე ბოლშევიკური აჯანყება უნდა დაწყებულიყო. სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, რუსეთის წითელმა არმიამ აზერბაიჯანი აიღო და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. რუსეთის გეგმით, აზერბაიჯანის შემდეგ შეტევა საქართველოზე უნდა განხორციელებულიყო. პარალელურად კი იგეგმებოდა აჯანყება ცხინვალის რეგიონში. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს საზღვრები გადმოკვეთეს, ხოლო ცხინვალში დაგეგმილმა აჯანყებამ იფეთქა. ბოლშევიკებმა იქიდან გამოდევნეს

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და ონიდან დუშეთამდე საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამბოხებულები ცხინვალში გამაგრდნენ. გამოსვლები ბოლშევიკური ლოზუნგებით რაჭა-ლეჩხუმში, საჩხერეში, დუშეთში და სამეგრელოში მოეწყო. ეს გამოსვლები ასუსტებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებას. ბზარი შეჰქონდა მის პოლიტიკურ სიმტკიცეში და მით უფრო, რომ ოსები მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას, რადგან საქართველოს დემოკრატიული მთავრობა თითქოს ჩაგრაგდა თავის რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობებებს. ოსმა კომუნისტებმა ცხინვალში და სამაჩაბლოში ანარქიის აღკვეთისთვის მთავრობის ბრძოლა მონათლეს ოსური მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ანტიეროვნულ აქციად და ბოლშევიკური ცენტრიდან წაქეზებით დაიწყეს ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის საქართველოდან გამოცალკევებისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების პროპაგანდა.(სურგულაძე, 1992,გვ. 2010)

მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველ და ოს ხალხს შორის შეტაკება აღარ მომხდარა. 1989 წლიდან კი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა, საბჭოთა კავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ ისევ ოსი ხალხის გამოყენებას შეეცადა. აღსანიშნავია, რომ როკის გვირაბის აგება სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საბჭოთა კავშირში პერესტროიკა გამოცხადდა და რამდენიმე რესპუბლიკაში დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლა. გვირაბი, რომელიც ცხინვალის რეგიონს აკავშირებს რუსეთის ფედერაციასთან, დიდ როლს თამაშობს ქართულ-ოსურ კონფლიქტში. როკზე სამანქანო გვირაბის გაჭრა ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში იგეგმებოდა. რა შენიღბული ჩანაფიქრი იყო ჩადებული კავკასიონის ქედზე გვირაბის გაჭრაში, მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებაც ხვდებოდა. 1972 წელს საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ როკის გვირაბის მშენებლობის საწინააღმდეგო წერილიც გაგზავნა მოსკოვში, მაგრამ უშედეგოდ.

როკის გვირაბის გახსნა დამატებითი სტიმული იყო ოსური სეპარატიზმის გასაძლიერებლად, რაც თბილისის მხრიდან საპასუხო ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა.

1989 წლის 23 ნოემბერს, თბილისიდან ცხინვალისკენ ავტომანქანების უზარმაზარი კოლონა გაემართა. მომიტინგეებს გზა ცხინვალის შესასვლელში საბჭოთა კავშირის შინაგანმა ჯარმა გადაუკეტა.

1990 წლის 20 სექტემბერს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს მე-14 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. იმავე დღეს მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ და ავტონომიამ მის ტერიტორიაზე შეწყვიტა საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება.

საბოლოო ჯამში ყოველივე ამას მოჰყვა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დამოუკიდებელად გამოცხადება. ცხინვალის სეპარატისტების მიერ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებით, რუსეთმა თავისი გეგმა აამუშავა. ოსმა სეპარატისტებმა საქართველოს ნების საწინააღმდეგოდ არჩევნების ჩაატარებით ძალიან გააღიზიანეს ოფიციალური თბილისი. საპასუხოდ ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთის 1990 წლის საპარლამენტო არჩევნები უარყო და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი. იმისათვის, რომ განეიარაღებინათ ოსური დაჯგუფებები საქართველოს მთავრობამ რეგიონში მილიციის შენაერთები შეიყვანა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალში შეყვანილ მილიციისნაწილებს, ცხინვალელმა სეპარატისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. შიდა ქართლის ქართველ და ოს მოსახლეობას შორის დაწყებულ შეიარაღებულ შეტაკებებს მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა. მოსკოვმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ვითარების გამწვავებაში მთლიანად ქართული მხარე დაადანაშაულა. გამსახურდია იძულებული გახდა ცხინვალიდან გამოეყვანა მილიციის შეიარაღებული შენაერთი.

1991 წელს 23 მარტს, შეხვედრა მოხდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული

სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ელცინს შორის. შეხვედრის დროს ხელი მოეწერა ოქმს, რომლის მიხედვითაც შეიქმნებოდა მილიციის ერთობლივი რაზმი, რომელიც განაიარაღებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყოველგვარ სამხედრო დაჯგუფებას. შემდგომში ცხადი გახდა, რომ ეს ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ პროვოცირება იყო. რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით 1991–1992 წლებში მოეწყო საქართველოში ორგანიზებული სამხედრო გადატრიალება, ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინა, ხელისუფლება ხელში სამხედრო საბჭომ აიღო და განაახლა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. მცირე ხანში საქართველოს ხელისუფლება კვლავ იცვლება და ქვეყანას სათავეში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარე საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე უდგება, რომელიც სიტუაციის დაბალანსებას ცდილობს ცხინვალის რეგიონში. 1992 წლის 24 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტს გალაზოვს შორის ხელი მოეწერა ოქმს ცეცხლის შეწყვეტისა და ოთმხრივი სადამკვირვებლო ჯგუფის შექმნაზე. ამ დროს მკვიდრდება ტერმინი „ქართულ–ოსური კონფლიქტი“. ამ ოქმს მოჰყვა ქალაქ სოჭში ხელმოწერილი ოქმი, „შეთანხმება ქართულ–ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“ რომელიც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაფორმდა. შემდეგ უკვე რეგიონში ეუთოს სადამკვირვებლო მისიაც შედის. (პიპინაშვილი, 2009, გვ. 86).

1989 წლიდან მოყოლებული კონფლიქტის დროს 600-ზე მეტი ქართველი და 1000-ზე მეტი ოსი დაიღუპა. 14 ათასი ქართველი და 20 ათასამდე ოსი ეროვნების ადამიანი დევნილად იქცა. ეს იყო ძირითადი პრობლემა, ვერ შედგა ქართულ–ოსური დიალოგი.

ქართველებსა და ოსებს/აფხაზებს შორის 1990 წლების კონფლიქტამდე, საყოფაცხოვრებო დონეზე იყო ნორმალური ურთიერთობა. ერთის მხრივ, იყო ძალიან ბევრი შერეული ოჯახი; მაგრამ კრემლის პროპაგანდა მუშაობდა იმაზე რომ ქართველები გამოჩენილიყვნენ ოსების და აფხაზების თვალში როგორც იმპერიალისტები, რომლებმაც ძალით დაიპყრეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. არსებობდა ფარული დაპირისპირება, რომელმაც იფეთქა 80 - იანი წლების ბოლოს.

ქართული ნაციონალიზმის აღზევება კარგად გამოიყენა რუსეთმა კონფლიქტების გასაჩაღებლად. (ავტორის ინტერვიუ გია სიამაშვილთან)

1991 წლის 7 იანვარს, მ.გორბაჩოვმა მიიღო დადგენილება, რომელიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან ყველა შეიარაღებული ფორმირების გაყვანას ითვალისწინებდა, გარდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა. ეს საშუალებას აძლევდა საბჭოთა რუსეთს თავისუფლად ემოქმედა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობდა გამოეწვია დესტაბილიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე; მათი მხრიდან მუდმივად ხდებოდა ოსი სეპარატისტების წაქეზება.

რეალიზმის ჭრილში, რუსეთის მიზანია სეპარატიზმის მხარდაჭერა; საქართველოს დამორჩილება, რომ საქართველო იყოს რუსეთის გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, საინფორმაციო, კულტურულ თუ სამართლებრივ ორბიტაში.

საინფორმაციო კამპანია და პროპაგანდა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში - ეს იყო ანტიქართული კამპანია, რომელმაც იფეთქა მას შემდეგ რაც საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რასაც კრემლმა დაუპირისპირა სწორედ ეს სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ოს და აფხაზ მოსახლეობაში მიდიოდა პროპაგანდა რომ ეს ტერიტორიები ისტორიულად საქართველოს არ ეკუთვნოდა. რომ არა რუსეთის მხარდაჭერა სეპარატიზმი ესეთი აქტიური არ იქნებოდა არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში. ასევე იყო ქართული მხარის შეცდომები. კერძოდ, ქართული მხარის ახალი ხელისუფლების და გამსახურდიას მომხრეებს შორის დაპირისპირებით აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს.

რატომ მოხდა რუსეთის მიერ სეპარატიზმის მხარდაჭერა 90-იანი წლების დასაწყისში? იმიტომ, რომ საქართველო ცდილობდა რუსეთისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას და რათქმაუნდა რუსეთი ამ ფაქტს არ ეგუებოდა. ამიტომ მან გამოიყენა სამხედრო, საინფორმაციო, ეკონომიკური გზები და სხვა ბერკეტები იმისთვის რომ კონფლიქტი ყოფილიყო გაღვივებული. მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთის მიზანი იყო განემტკიცებინა გავლენა პოსტსაბჭოთა

სივრცეზე და დღესაც პოსტსაბჭოთა სივრცეს მიიჩნევს თავის გავლენის სფეროდ. მას სურს საქართველო იყოს დამოკიდებული რუსეთზე პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღინიშნა, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ A სახელმწიფო ფლობს იმას, რაც B სახელმწიფოს სურს. ომის მიზეზი ხდება B სახელმწიფოს სურვილი და კონფლიქტის რისკს ზრდის ის, რომ არ არსებობს მიზეზი, რომელიც B სახელმწიფოს შეაჩერებს. სწორედ ამ მაგალითს შეიძლება მოვარგოთ რუსეთის, როგორც B სახელმწიფოს ქმედება. რეალიზმის ჭრილში, საქართველოში კონფლიქტების პროვოცირებით, რუსეთი თავის დიდ ინტერესზე ზრუნავდა. რეალიზმი ხსნის დიდი სახელმწიფოების ინტერესებს და კვლევის ობიექტებად იღებს დიდ სახელმწიფოებს, რადგან რეალიზმის ჭრილში დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ საერთაშორისო სისტემას. პატარა ქვეყნები სისტემას ექვემდებარებიან. მაგრამ რუსეთი პატარა სახელმწიფოს გამოყენებით შეეცადა დიდი მიზნები განეხორციელებინა და დიდ ძალას დაპირისპირებოდა.

რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლების გადმოსახედიდან აღწერს. სწორედ აქედან გამომდინარე, რუსეთს არ შეეძლო ეთანამშრომლა საქართველოსთან, ეწარმოებინა მოლაპარაკებები და გაეტარებინა დიპლომატიური პოლიტიკა; ეს მის ინტერესებში არ შედიოდა, რადგან, ზრუნავდა საკუთარ ძალაუფლებაზე. რუსეთის მთავარი მიზანია საბჭოთა კავშირის აღდგენა და სწორედ საქართველო აღმოჩნდა პირველი ქვეყანა, სადაც ცივი ომის შემდეგ რუსეთმა სცადა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების გადახედვა. რეალიზმის თანახმად, სახელმწიფოებისთვის ძალა და ძლიერება ყველაზე უმთავრესია და სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ მიიყვანა რუსეთი და საქართველო კონფლიქტამდე, რაც რუსეთისთვის ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ომს მიიჩნევდა გადარჩენისთვის ერთადერთ საშუალებად. რუსეთს ხელი უნდა შეეშალა საქართველოსთვის გამხდარიყო ევროატლანტიკური სივრცის წევრი სახელმწიფო.

ის, რაც 1990-იანი წლებიდან და შემდეგ 2008 წელს საქართველოში მოხდა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის – რეალიზმის წმინდა მაგალითია.

2.2. რუსეთის ფაქტორი: თავდასხმითი რეალიზმი პრაქტიკაში

რეალიზმი ხსნის დიდი სახელმწიფოების ინტერესებს, რომელიც რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული ქმედებების ასახსნელად და გასაანალიზებლად ძალიან დამაჯერებელ და ყოვლისმომცველ არგუმენტებს გვთავაზობს. კვლევაზე მუშაობის პროცესში გამოჩნდა, რომ მერშიმერის თავდასხმითი რეალიზმი ყველაზე უკეთ ხსნის რუსეთის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. რაც შეეხება თავდაცვით რეალიზმს, თავდაცვითი რეალიზმის ძირითადი პოსტულატია, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ძალაუფლების შენარჩუნებაზე და არა გაზრდაზე; შესაბამისად, აღნიშნული თეორია რუსეთის მიერ განხორციელებულ ქმედებებთან შეუსაბამობაში მოდის.

თავდასხმითი რეალიზმი კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დასადგენად და მათ გასაანალიზებლად საუკეთესო თეორიაა. ამ თეორიის დებულებები კონფლიქტების დროს განვითარებულ მოვლენებთან აბსოლუტურ თანხვედრაში მოდის.

მერშიმერი ამტკიცებს რომ დიდი სახელმწიფოები (ძალები) ცდილობენ თავიანთი ფარდობითი ძალის მაქსიმალურად გაზრდას. ამ მოსაზრებით ის უახლოვდება მორგენტაუს აზრს, რომელიც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოებს შორის არასოდეს მთავრდება ბრძოლა ძალაუფლებისთვის და სხვებზე დომინირება ადამიანის ბუნებრივი სურვილია; თუმცა მერშიმერი უარყოფს მიზეზების ამ წყაროს და არ იზიარებს კლასიკური და ნეოკლასიკური რეალიზმის ამ დებულებას. ის ამბობს რომ არსებობს უსაზღვრო ბრძოლა ძალაუფლებისთვის, მაგრამ არა იმიტომ რომ ადამიანი ბუნებით აგრესიულია, არამედ უსაფრთხოების გაზრდას საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურა აიძულებს. როდესაც ყველა ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, ერთმანეთს ზიანი მიაყენოს, თითოეული მათგანი იმდენად ძლიერდება, რომ მან შეძლოს დაცვა თავდასხმისგან. ეს ვარაუდი უსაფრთხოების მოტივაციისა და სტრუქტურული მიზეზების შესახებ, მერშიმერს უფრო უოლცთან აახლოვებს. მაგრამ ის უოლცისგან განსხვავდება, როდესაც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსთვის უსაფრთხოებისთვის და ძალაუფლებისთვის

ბრძოლა არასდროს არის საკმარისი, უოლცი კი ამბობს რომ ეს ლიმიტირებულია. ამგვარად, ის არ ეთანხმება უოლცს იმ კითხვაზე პასუხში თუ რამდენი ძალაუფლება სურს სახელმწიფოს. მერშიმერის თავდასხმითი რეალიზმი პროგნოზირებს უფრო მეტ კონფლიქტს და ომებს, ვიდრე უოლცის თვდაცვითი რეალიზმი. სახელმწიფოები არასდროს არიან კმაყოფილები, ისინი იბრძვიან მეტი ძალაუფლებისთვის, და ამ ძალაუფლებების სურვილი მოუწოდებს ჩაერთონ ომში.

2008 წლის აგვისტოს ომი იმ პროცესების გაგრძელებაა, რომელიც 1992 წელს დაიწყო, როდესაც ოსმა სეპარატისტება ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი დამოუკიდებელ „საბჭოთა რესპუბლიკად“ გამოაცხადეს.

რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტმა ახალი ძალით 2004 წელს იფეთქა, მაშინ როდესაც, საქართველომ ღიად განაცხადა ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების სურვილი და ცხინვალის ზონაში რუსების დომინანტობის მიუღებლობა.

რუსეთის ფედერაციისათვის მიხეილ სააკაშვილი მიუღებელი კანდიდატი აღმოჩნდა, რადგანაც იგი მიისწრაფოდა ნატოში ინეგრაციისაკენ. სააკაშვილის სურვილმა აღედგინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რუსეთთან ახალი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები გააჩინა. სააკაშვილი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენ გზას ხედავდა სამშვიდობო ფორმატის შეცვლაში და ოსთა გულების მოგებაში. 2005 წელს მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „არა ოსეთის პრობლემაა საქართველოში, არამედ „პრობლემაა რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებში ამ რეგიონებთან მიმართებაში“. (German, 2007, p64. 363)

2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური წინაპირობები რუსეთსა და საქართველოს შორის მოიცავს ისტორიულად რთულ, ორ სხვადასხვა სახის ურთიერთობას: პირველი: ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის და მეორე: შიდა კონფლიქტური ურთიერთობები საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის.

მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა. რუსეთის

უკმაყოფილების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა საქართველოს „დასავლური კურსი“. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ფორმალურად აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მას მაინც მისი გავლენის სფეროდ აღიქვამდა.

მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაასახელა. რუსეთის მხრიდან კი დაიწყო აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებისთვის რუსული პასპორტები დარიგება და საქართველოს დასავლური კურსის გამო რუსეთმა აამოქმედა მთელი რიგი ეკონომიკური და დიპლომატიური სადამსჯელო ზომები.

რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა გაფრთხილებებს, რომ დასავლეთთან სწრაფვა საქართველოს სავალალო შედეგებს მოუტანდა. რუსეთმა ბუქარესტის სამიტს სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა და დაიწყო „მცოცავი ანექსიის“ სტრატეგიის შემუშავება. უკანონოდ შეჰყავდა ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება, რაც იძლეოდა წინაპირობას, რომ რუსეთი თავდასხმისთვის ემზადებოდა. (ასმუსი, 2010, გ 15.)

2008 წლის მარტიდან საომარი რიტორიკა რუსეთ-საქართველოს შორის გაძლიერდა. საქართველო უგზავნიდა დასავლეთს მესიჯებს რუსეთის შესაძლო აგრესიაზე.

წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სამშვიდობო ინიციატივები, ზოგჯერ ისეთი გარემოებებიც იქმნებოდა, როდესაც კონფლიქტის მოგვარების გზები არც თუ ისე შორს იყო. იყო ორმხრივი კავშირების აღდგენის პერიოდები, დაახლოებისა და ნდობის განმტკიცების ქართულ-აფხაზეთურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის, მაგრამ სიტუაციის მოგვარებას ის ფაქტი ართულებდა, რომ აღნიშნული მხარეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ გარეშე ფაქტორებსა და მონაწილეებს.

2008 წლის 7-8 აგვისტოს დაპირისპირება გადაიზარდა სახელმწიფოთაშორის და ქვეყნის შიდა კომბინირებულ კონფლიქტში. ბრძოლაში რუსეთის, აფხაზეთისა და ცხინვალის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ქვედანაყოფები ჩაერთნენ. საქართველოს იერიში ცხინვალის რეგიონის მიმართულებით მალევე შეჩერდა.

რუსეთის საჰაერო ძალებმა ოპერაციები საქართველოს სამიზნე ობიექტების წინააღმდეგ 8 აგვისტოს დაიწყეს და ეს ოპერაციები გასცდა ცხინვალის ადმინისტრაციულ საზღვრებს.

რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი გადაკეტეს, ფოთის პორტამდე მივიდნენ და თბილისის მახლობლად გაჩერდნენ. (ტალიავინის დასკვნა, 2009, გვ.12-13).

შეტევა განახორციელეს საქართველოს ცენტრალურ ნაწილზე, ვარიანსა და გორზე; დაიბომა სენაკის სამხედრო ბაზა, ფოთის პორტის სამხედრო სამიზნეები, თბილისის აეროპორტის რადარი, რკინიგზა და სხვა საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურული ობიექტები.

რუსეთის მხარე ამტკიცებს, 2008 წლის 8 აგვისტოს, დილით, რომ ქართულმა მხარემ ცეცხლი გაუხსნა რუსეთის სამშვიდობო ძალებს ცხინვალში, შედეგად 2 მშვიდობისმყოფელი სამხედრო პირი დაიღუპა, ხუთი კი დაიჭრა. საქართველო უარყოფს რუსეთის მხრიდან აღნიშნულ ბრალდებას. ქართული მხარის მტკიცებით, საქართველოს საჯარისო ნაწილებს ცეცხლი რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გაუხსნეს, რის შემდეგაც ქართული მხარე იძულებული გახდა საპასუხო ცეცხლი გაეხსნა.

რუსეთი ადანაშაულებს საქართველოს ცხინვალში გენოციდის მოწყობაში, თუმცა აღნიშნული ბრალდება ვერ დასტურდება და რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა ცხინვალში დაღუპულთა რიცხვის გაზვიადებას. (ტალიავინის დასკვნა, 2009, გვ.15)

მაშინ როცა, 10 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტისა და ცხინვალიდან ჯარების გამოყვანის შესახებ განცხადება გააკეთა, რუსეთის მხრიდან მოხდა საერთაშორისო სამართლისა და ნორმების უხეში დარღვევა, რასაც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრა. გორში, ზუგდიდში, ფოთში და სენაკში რუსებმა გაშალეს სამხედრო ბანაკები. აფხაზურმა მხარემ რუსეთის დახმარებით შეუტია ქართულ პოზიციებს და კოდორის ხეობა დაიკავა.

ტალიავინის დასკვნის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ ჰქონდა უფლება ძალის გამოყენებისა, რომელიც 7/8 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვის ოპერაციით დაიწყო. ტალიავინი მიიჩნევდა, რომ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ მთელი ღამის განმავლობაში ცხინვალის მასიური დაბომბვა აუცილებელი გახდა, ქართული სოფლების დასაცავად. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის მიერ განხორციელებული საპასუხო თავდაცვითი სამხედრო ქმედებები ნამდვილად შეესაბამება საერთაშორისო სამართლით დადგენილ თავდაცვის კანონიერების პრინციპებს“. (ტალიავინის დასკვნა, 2009, გვ.20). მაგრამ ცხინვალის მხრიდან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ასევე სამართლის დარღვევად უნდა ჩაითვალოს ის ქმედებები, რომელიც ხორციელდებოდა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ცხინვალის ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთ. მათ მიერ სამხედრო ძალების გამოყენება გასცდა თავდაცვით მდგომარეობას.

ტალიავინის დასკვნის მიხედვით, „საქართველოს მიერ ცხინვალში რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ ძალის გამოყენება 2008 წლის 7/8 აგვისტოს ღამეს საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგებოდა“. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, ვერ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ცხინვალში რუსული მშვიდობისმყოფელთა დანაყოფები უხეშად არღვევდნენ სოჭის შეთანხმებით მათთვის მინიჭებულ უფლებებს.

რუს მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთს ჰქონდა მათი დაცვისა და მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სამხედრო ძალის გამოყენების უფლება, მაგრამ რუსეთის შემდგომი სამხედრო ქმედებები თავდაცვის საზღვრებს გასცდა და საერთაშორისო სამართლის დარღვევით მიმდინარეობდა.

რაც შეეხება აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენებას, რომელიც მათი მტკიცებით მიმართული იყო საქართველოს მხრიდან შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით გაუმართლებელია. აფხაზეთი თავის მხრივ აცხადებს, რომ მოვალედ გრძნობდა თავს გაეხსნა „მეორე ფრონტი“, რადგან 2005 წლის 19 დეკემბერს აფხაზეთსა და ცხინვალს შორის გაფორმდა „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება“.

ტალიავინი საბოლოო დასკვნა შემდეგში მდგომარეობს; „კონფლიქტის ყველა მხარემ – ქართულმა, ოსურმა და რუსულმა ძალებმა – დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“. იყო სროლები, ესკალაცია ხდებოდა 7 აგვისტომდეც და საქართველოს შეეძლო თავდასაცავად ემოქმედა, მაგრამ დაეცვა სოფლები და არ გადასულიყო შეტევაზე. შეტევის დროს, ოსებს ქონდათ თავდაცვის უფლება, მაგრამ არა კონტრშეტევის.

ცხინვალისა და რუსეთის მიერ საქართველოს „გენოციდში“ დადანაშაულება ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა, რომლის დადასტურებაც ფაქტებით ვერ მოხდა; პირიქით, რამდენიმე გარემოება იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ ეთნიკური წმენდა განხორციელდა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ცხინვალში, როგორც აგვისტოს ომის განმავლობაში, ისე მის შემდეგ.

„2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი 5 დღე გრძელდებოდა. ომს არ მოჰყოლია განსაკუთრებით დიდი მსხვერპლიც - თანამედროვე სტანდარტებით და მასშტაბით იგი მცირე ომი იყო და მაინც, მან მთელი მსოფლიო შეძრა“. (ასმუსი, 2010, გვ.1)

აგვისტოს ომი მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული, არამედ ნატოს, ვაშინგტონის და მთელი ევროპის წინააღმდეგ. ამ ომით რუსეთმა დაანახა მსოფლიოს, თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საქართველოს, მათთან დაახლოებამ.

საქართველო-ცხინვალის კონფლიქტი გადაფარულია საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტით.

2008წლის აგვისტოს ომი დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დამაბულობებისა და პროვოკაციების კულმინაცია იყო. (Cornel, 2009, p.3)

აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების სისტემური ანალიზი ჯერაც ნაადრევია, მაგრამ შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ფაქტორი, რომლებმაც განაპირობეს სამხედრო აგრესიის განხორციელება. კერძოდ:

1. რუსეთის რეგიონული ჰეგემონიის სურვილი.
2. რუსეთის ინტერესი კავკასიაში
3. საქართველოს ევროინტეგრაციული არჩევანი. ბუქარესტის სამიტი.

4. საქართველოს გაძლიერება „ვარდების რევოლუციის შემდეგ“.
5. რუსეთის ზრუნვა პრესტიჟისთვის.
6. დასავლეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება.
7. გამაფრთხილებელი სიგნალი ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.

თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმი ცდილობს პასუხი გასცეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ომი და მშვიდობა. საერთაშორისო პოლიტიკაში სტატუს-ქვოს და ძალთა ბალანსის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, თუ ძალაუფლების გაზრდა. ეს თეორიები ხსნიან თუ რატომ ხდება და როდის უფრო შესაძლებელია სახელმწიფოები ჩაერთვნენ ომებში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, ქვეყნის ერთ–ერთ ეროვნულ ღირებულებას სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს. საფრთხეში იყო არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, არამედ მთელი მოდერნიზაციის გეგმა. საფრთხე იყო მზად და ის იყო სასიკვდილო სახელმწიფოს სუვერენიტეტისთვის. რეალისტების თანახმად კი ვერ გადარჩება ის ვისაც არ ექნება რეაქცია. თავდაცვითი რეალიზმი ხსნის საქართველოს მხრიდან რუსეთისთვის საპასუხო ცეცხლის გახსნას. საქართველო ომში ძალაუფლების მოსახვეჭად არ ჩართულა, არამედ საკუთარი ტერიტორიის დასაცავად იბრძოდა.

თუმცა რუსეთიც თავის მხრივ აცხადებდა, რომ რომ მას მხოლოდ თავდაცვითი მოტივი ამოძრავებდა. აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო და რუსეთის მხრიდან ომში ჩართვა, ტერიტორიის ან აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეგიონების სამომავლო სტატუსის გამო არ მომხდარა, არამედ რუსეთი იძულებული გახდა დაეცვა თავისი სამშვიდობოები და მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს მხრიდან ცხინვალში განხორციელებული აგრესიის შედეგად საფრთხეში აღმოჩნდნენ.

მაგრამ ეს არის რუსეთის უკვე კარგად ნაცნობი და მოძველებური ხელწერა. 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს, რუსულმა პროპაგანდამ „საქართველოს მშრომელთა აჯანყებად“ მონათლა სომეხი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში დაწყებული „აჯანყება“ და მე-11 წითელი არმია საქართველოს საზღვრებში შემოჭრა

მათი დაცვის მოტივით. (რუსი მოსახლეობა იქ ნაკლებად ცხოვრობდა) სინამდვილეში, 1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარის შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა ინტერვენციას, არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, პოლიტიკური თვალსაზრისით კი - ანექსიას. როგორც ჩანს, რუსეთი საკუთარ აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ერთი და იმავე მიზეზებით ამართლებს. (საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ, 7).

თავდასხმითი რეალიზმის, მიხედვით სახელმწიფოების მთავარი მოტივაცია არის ძლიერების მაქსიმალურად გაზრდა, რომელიც თავდასხმითი რეალიზმის კონტექსტში გულისხმობს პირველ რიგში სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას. სახელმწიფოები სამხედრო ძალის გაზრდაზე ზრუნავენ იმიტომ, რომ თავი იგრძნონ უფრო უსაფრთხოდ, თუმცა მერშიმერი ამბობს, რომ სახელმწიფოები ამ მიზანს, მაქსიმალურად იყენენ ორიენტირებულნი გაძლიერებაზე აკეთებენ არა იმის გამო, რომ ამისი შინაგანი მოთხოვნილება აქვთ, არამედ იმის გამო, რომ ის გარემო, რა გარემოშიც ეს სახელმწიფოები არიან, საერთაშორისო სისტემა სხვა საშუალებას არ უტოვებს. რუსეთს დიდი ინტერესი გააჩნია კავკასიაში. სამხრეთ კავკასიაში არსებული ენერგორესურსები მისთვის ძალიან მიმზიდველია, შესაბამისად მას სურს კონტროლის მოპოვება ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე. რუსეთს სურს საქართველოზე კონტროლის მოპოვება, რის შედეგადაც შეძლებს ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების წრეში მოქცევას და თურქეთისა და ამერიკის გავლენის შემცირებას რეგიონში. (Bishku, 2011) დიმიტრი მედვედევის განცხადებით, სამხრეთ კავკასია წარმოადგენს რუსეთის „ინტერესების პრივილეგიულ ზონას“. (German, p.1)

თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით, ომი ძალაუფლების მოპოვების ძირითადი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ ომი სახელმწიფოს ძვირად უჯდება, თუ სახელმწიფო დარწმუნებულია, რომ ომიდან მოგებული გამოვა და სარგებელი ხარჯებს გადაწონის, რაციონალური სახელმწიფო ომს აირჩევს საკუთარი ეროვნული ინტერესებისთვის. მერშიმერი თვლის, რომ აგრესიის საშუალებით სახელმწიფოებს შეუძლიათ ძალაუფლების მოპოვება. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთმა გაძლიერების

მექანიზმად გამოიყენა ომი, იმიტომ რომ ბევრად უფრო სრულფასოვნად ყოფილიყო რეგიონში წარმოდგენილი.

ავგისტოს ომი ძირითადად გამოწვეული იყო რუსეთის გადაწყვეტილებით, დაპირისპირებოდა ევროპული უსაფრთხოების სისტემას, რომელიც 2006–2007 წლებში იქნა მიღწეული. რუსეთი უკიდურესად ეწინააღმდეგებოდა ნატოს გაფართოებას და აღიქვამდა სერიოზულ საფრთხედ რუსეთის უსაფრთხოებისთვის. (Mearsheimer, 2001, p.50) საქართველოს მთავრობა ღიად აცხადებდა, რომ საქართველოს მთავარი საგარეო პრიორიტეტი ევროინტეგრაციაა. საქართველო ნატოს განიხილავს, როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების უმთავრეს მექანიზმს. რუსეთი ყველანაირი მეთოდით შეეცდებოდა ხელი შეეშალა საქართველოსთვის, რათა მას გადაეხვია ევროპული გზიდან. ბუქარესტის საგანგებო საბჭო და ნატოს პოზიცია საქართველოსა და უკრაინის მიმართ გახდა ომის დაჩქარების ძირითადი მიზეზი. (ავტორის ინტერვიუ ნიკა ჩიტაძესთან)

მერშიმერის თავდასხმით რეალიზმში სახელმწიფოები ყოველთვის არ არის თავდამსხმელები. ზოგჯერ ისინი უბრალოდ იძულებულნი არიან გამოიყენონ ძალა რათა შეაჩერონ კონკურენტი, რომელიც ცდილობს ძალაუფლების მათ ხარჯზე გაზრდას. დასავლეთი ცდილობს შემოღწევას დიდი სახელმწიფოს რეგიონში და ეს დიდი სახელმწიფო-რუსეთი, მაქსიმალურად ცდილობს ამ ზეწოლის შეჩერებას. თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით, დიდი ძალები ცდილობენ გაფართოებას მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებლობები წარმოიქმნება. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში გააკეთებენ ამას, როდესაც სარგებელი აშკარად აღემატება რისკებსა და ხარჯებს. რუსეთს არსებულმა საერთაშორისო სისტემამ საშუალება მისცა სამხედრო აგრესიის განხორციელებისა. პოლიტიკური ხარჯები, რაც ამ გადაწყვეტილებას თან მოჰყვებოდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, რუსეთისთვის არ იქნებოდა მძიმე.

მერშიმერი მიიჩნევს, რომ თავდასხმა ხშირად წარმატებული და მომგებიანია. ყველა სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, ყველა დიდი ძალა, ცდილობს ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდა (მაგალითად, სამხედრო ძალა), რადგან ძალაუფლების გაზრდა ზრდის გადარჩენის შანსს ანარქიულ სისტემაში. იმისათვის

რომ სახელმწიფო გადარჩეს ანარქიულ გარემოში უნდა მოიპოვოს ძალაუფლება საკუთარი ხარჯით. „საუკეთესო თავდაცვა კარგი თავდასხმაა“. (snyder, 156) რუსეთი იბრძვის რეგიონზე კონტროლის შესანარჩუნებლად. საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ჩართულობა ორიენტირებულია საკუთარი სუვერენიტეტის დაცვაზე. ნატოსა და ევროკავშირის ძალისხმევას აღმოსავლეთ სამეზობლოში გაავრცელოს ლიბერალური ნორმები და უსაფრთხოების მართვის მოდელები ეწინააღმდეგება რუსეთი, რადგან რუსეთის ელიტები ამ ფაქტს განიხილავენ, როგორც რუსეთისთვის არასტაბილურ უსაფრთხოების გარემოს. რუსეთს არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში და რეგიონში რუსეთი არ არის საიმედო უსაფრთხოების აქტორი. (Melvin, Klimenko, 2016)

2008 წელს, რუსეთი შეეცადა დაესაჯა საქართველო თავისი პროდასავლური არჩევანისთვის. ხალხებს შორის ურთიერთობის დონეზე, ამ ომმა კიდევ უფრო მეტად გააღრმავა უნდობლობა და დაპირისპირება. იმის რწმენა, რომ ქართველები სინამდვილეში ოსებთან თანამშრომლობისკენ კი არ არიან განწყობილები, პირიქით, მათი მიზანი ოსებზე დომინაცია და საკუთარი თამაშის წესების და საკუთარი პირობების თავს მოხვევაა.

თავდასხმითი რეალიზმის კრილში, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესია აიხსნება, როგორც რუსეთის მიერ ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ამერიკის, როგორც ჰეგემონი სახელმწიფოს დაბალანსება. ამ მიზნის განსახორციელებლად სჭირდებოდა საქართველო, შემდგომში უკრაინა, რათა ეს სახელმწიფოები საბოლოოდ არ დაეკარგა მათი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციით, რის შედეგადაც, შესაბამისად, საბოლოოდ დაკარგავდა რეგიონში ჰეგემონობის შანსს. ომის გამომწვევი მიზეზი იყო რუსეთის მცდელობა თავისი წესები დააემყარებინა თავის სამეზობლოში და გამაგრება სამხრეთ კავკასიაში; არ დაეშვა ამ რეგიონში ნატოს გაფართოება. ბუქარესტის სამიტმა დააჩქარა ომი.

2004 წლიდან ძალთა ბალანსი იცვლება, იზრდება საქართველოს ძლიერება. ეს ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რამაც საქართველო და რუსეთი კონფლიქტის ზღვარზე მიიყვანა. მთავარი პრობლემა ომის გაჩაღებისა იყო სტრუქტურაში მომხდარი

ცვლილება, ის რომ საქართველო ძლიერდებოდა. საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ძალიან სწრაფი ნაბიჯებით მიიწევს წინ. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ ლიდერები, რომლებსაც სურდათ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა, მათი მიზანი რუსეთისგან საბოლოოდ თავის დაღწევა იყო, რაც მათი აზრით იყო ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოს წინსვლისა. (ასმუსი, გვ. 61).

2003 წლიდან საქართველოში დაიწყო მოდერნიზაციის პროექტი, პოსტ საბჭოთა რუსეთისგან განსხვავებული სამშენებლო რეჟიმი. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს წარმატებები იქნებოდა შეუქცევადი, შედეგად საქართველო მიიღებდა ისეთ შედეგს, რომელიც რუსეთის არ მოეწონებოდა. (Darchiashvili, 2012, p.20). კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება მოხდა.

საქართველოსთან ომით რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოებას დაანახა, რომ რეგიონში მისი გავლენა კვლავ მაღალია. რუსეთს უნდოდა გამოჩენილიყო ისეთ ქვეყნად, რომელიც არ აპატიებს არავის თავისი პრესტიჟის შელახვას. არ დაუშვებს დასავლეთმა წაართვას რომელიმე ქვეყანა, რომელიც მისი გავლენის სფეროში იყო.

რუსეთი საერთაშორისო პრესტიჟს განსაკუთრებულ შელახვად აღიქვამდა 1999 წელს სერბეთის დაბომბვას ნატო–ს შეიარაღებული ძალების მიერ, რათა დაეცვათ კოსოვოს პროვინციაში მცხოვრები ეთნიკური ალბანელების უფლებები სერბი უმრავლესობებისაგან. მე–19 საუკუნიდან მოყოლებული სერბეთი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ის ფაქტი, რომ ბალკანეთის ბედის განსაზღვრა რუსეთისადმი „მტრულად განწყობილი“ სამხედრო ბლოკის მიერ დამოუკიდებლად ხდებოდა, რუსეთი პრესტიჟის შელახვად აღიქვამდა. ვლადიმერ პუტინმა დასავლეთის საქციელს „უზნეო და არაკანონიერი უწოდა“ და დაიმუქრა, რომ მოხდებოდა გლობალური ცვლილებები. (Weir, 2008)

რუსეთს დასავლეთისთვის შესაბამისი პასუხი უნდა მოემზადებინა, რათა მისი პრესტიჟი საბოლოოდ არ შელახულიყო. აფხაზეთისა და ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებით, რუსეთმა უპასუხა დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას. საქართველო გახდა გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლი.

ავვისტოს ომი აგრეთვე შეიძლება მივიჩნიოთ როგორც, რუსეთის მხრედან გამაფრთხილებელი სიგნალი ყოფილი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის. რუსეთმა საქართველოში ინტერვენციის მთავარ მიზეზად საკუთარი მოქალაქეების დაცვა დაასახელა. რუსეთი მიიჩნევს, რომ ის „ვალდებულია“ დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, შესაბამისად, საქართველოსთან ომის შემდეგ რუსეთს აქვს პრეცედენტი საბჭოთა კავშირის ყველა იმ სახელმწიფოში, სადაც რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ, მსგავსი ქმედება განახორციელოს. ავვისტოს ომი იყო გზავნილი, გამაფრთხილებელი სიგნალი „ურჩი“ მეზობლებისადმი.

აგრეთვე მანიპულაციებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ამ შეტაკების დასაწყებად და რუსეთისთვის ომის დაწყების კიდევ ერთი მიზეზი იყო საერთაშორისო სისტემაში ძალის ლიმიტების მოსინჯვა.

საბოლოო ჯამში, 2008 წელს ნიადაგი იყო მომზადებული ომისთვის. ამ დროს არსებულმა სიტუაციამ რუსეთს მაქსიმალურად შეუწყო ხელი სამხედრო ინსტრუმენტის გამოყენების გადაწყვეტილების მისაღებად. თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში თუ განვიხილავთ რუსეთის გადაწყვეტილებას, მას გააჩნდა სამხედრო უპირატესობა და გარანტი იმისა, რომ საქართველო სამხედრო თვალსაზრისით რუსეთს ვერ შეაკავებდა. შესაბამისად ომი რუსეთისთვის მომგებიანი იყო.

1921 წლის შემდეგ, 2008 წელსაც რუსეთი იძულებული გახდა თავისი არმიით ღიად შემოჭრილიყო საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ 2008 წელს ეთნიკური დაპირისპირების პროვოცირებით ვერ დაამხო საქართველოს ხელისუფლება.

რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს რეგიონში გავლენის გაძლიერებას სხვადასხვა მექანიზმებით: სამხედრო, პოლოტიკური, ეკონომიკური და ა.შ. ამ დიდი სტრატეგიის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ რუსეთ საქართველოს ომი.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების ესკალაციას ხელი შეუწყო ეთნონაციონალისტურმა რიტორიკამ, რომელიც ჰქონდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელისუფლებას და ზოგადად, საბჭოთა ტრადიციიდან მოყოლებული საზოგადოებაში იყო ეთნონაციონალისტური განწყობა. ამ განსხვავებულმა ხედვებმა ხელი შეუწყო ეთნიკური კონფლიქტების დაწყებას. როგორც აფხაზებს, ისე ოსებს, არ

უნდოდანთ ყოფნა დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში, ისინი თავიანთ სამშობლოდ აღიქვამდნენ საბჭოთა კავშირს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ სურდათ დამოუკიდებლობა. ის რაც მოყვა ამ კონფლიქტებს, როგორც აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში იყო ეთნიკური წმენდა, განსაკუთრებით აფხაზეთში. ქართული მოსახლეობა იქიდან გამოდევნილი იყო, შედარებით ნაკლები ქართველის გამოდევნა მოხდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან“, მაგრამ ეს პროცესი დასრულდა 2008 წელს, როდესაც ეთნიკური ქართველების სრული ეთნიკური წმენდა მოხდა. ასევე აფხაზეთშიც დასრულდა ეს პროცესი, როდესაც კოდორის ხეობიდან, (ზემო აფხაზეთიდან) მოხდა იქ დარჩენილი ქართველების ეთნიკური წმენდა.

აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების გამწვავებაში სისტემური მიზეზი (გეოპოლიტიკური), გარე ფაქტორის როლი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და რომ არა ეს ნეგატიური როლი, რაც რუსეთმა შეასრულა, როგორც კონფლიქტის საწყის ეტაპზე, ასევე შემდეგ პერიოდში, სხვა წყაროები, როგორც არის ეთნიკური დაპირისპირება, ეთნიკური შუღლი, ელიტების ინტერესები შეიძლება უფრო ადვილად ტრანსფორმირებადი ყოფილიყო. თუ ეთნიკური შუღლი ძალიან სიღრმისეულია შეიძლება ამ დაპირისპირების სრულად გადაჭრა ვერ მოხერხდეს, მაგრამ ნდობის აღდგენა ნელ-ნელა შესაძლებელი იქნება. მაგრამ გეოპოლიტიკური შრე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ შეიძლება დაებლოკა ყველა შესაძლო ინიციატივა, რომელიც შეიძლება გამოეჩინა ქართულ მხარეს ამ კონფლიქტების მოგვარებასთან მიმართებაში. ქართული მხარის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები კი რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. (ავტორის ინტერვიუ გიორგი გვალასთან)

2.3. მთიანი ყარაზღალი (შედარებითი ანალიზი - საგარეო დონე)

იქედან გამომდინარე რომ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განიცდიან ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, და მათ ისტორიულ წინაპირობაში ძალიან ბევრი მსგავსებაა, კვლევის მიზანია იპოვოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც

გამოიწვიეს ეს შედეგი. ნაშრომში მოყვანილი შედარებითი ანალიზი, სწორად და თანმიმდევრულად ასახულებს იმ სირთულეების გამომწვევ მიზეზებს, რომელიც აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში იქნება განხილული.

თუ შიდა დინამიკას შევისწავლით, მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგრამ საგარეო დონის ანალიზისას, სამივე შემთხვევაში იკვეთება რუსეთის პოლიტიკური ინტერესები.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი განსხვავდება ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის კონფლიქტებისგან, რადგან ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირება იყო. ის კლასიფიცირდა როგორც სახელმწიფოთაშორისი ომი, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, თუმცა ეთნიკური მომენტი მნიშვნელოვანია. ყარაბაღის ტერიტორია კი იყო აზერბაიჯანის შემადგენლობაში, მაგრამ ეთნიკურად სომხებით იყო დასახლებული.

რუსეთმა ხელი შეუწყო კონფლიქტის გაღვივებას, ზუსტად იგივე მოტივების გამო რა მოტივებიც გააჩნდა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გაღვივებაში. ამ კონფლიქტებს რუსეთი განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს დასავლეთის წინააღმდეგ. რუსეთს სჭირდება იმ ტიპის კონფლიქტების არსებობა, რომელიც იქნება მისთვის ადვილად სამართავი, მაგრამ ყოველთვის იქნება პრობლემა დასავლეთისთვის. რეგიონის დასავლეთში შესვლის შემაფერხებლად ყოველთვის განიხილავენ არასტაბილურობის მაღალ მაჩვენებელს. კავკასიის რეგიონი გამოირჩევა იმით, რომ არის ფეთქებად საშიში ზონა და 2008 წლის ომმაც კარგად აჩვენა, რომ სინამდვილეში ამ რეგიონში სტაბილურობა ძალიან მცირე მოცემულობაა და ილუზორულია. იმიტომ რომ მინიმუმ კონფლიქტის 3 კერა არსებობს. ამ პროცესებში კი რუსეთი მოგებული გამოდის.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების ხელოვნურად გაღვივება რუსეთის დიდ სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება. რეალიზმის ჭრილში, რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს მსოფლიო ბიპოლარული სისტემის აღდგენისა და რეგიონული ჰეგემონობის მოპოვების სურვილი. რუსეთის მიზანია არ დაუშვას პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია,

რათა რეგიონში უფრო სრულფასოვნად იყოს წარმოდგენილი. (ავტორის ინტერვიუ ეკა აკობიასთან)

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ძიებისას უნდა გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის დაშლა, როდესაც მოსკოვის პოლიტიკა იყო რაც შეიძლებოდა მეტი დაპირისპირება ყოფილიყო ეთნოსებს შორის, მეტი ნაღმი ყოფილიყო ჩადებული და ესეც იყო ერთ-ერთი ნაღმი ორ საბჭოთა რესპუბლიკას, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ქართული კონფლიქტების მსგავსად, მთიან ყარაბაღშიც ამ გლობალური პროცესების ფონზე დაიწყო ძალადობა ეთნიკურ სომხებს და ეთნიკურ აზერბაიჯანლებს შორის. მესამე მხარე - რუსეთი ფარულად იყო ჩართული ამ ეთნიკურ დაპირისპირებაში. ცდილობდა კონფლიქტის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას.

სომხები და აზერბაიჯანელები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ერთსა და იმავე ტერიტორიებზე. განსხვავებული რელიგიის მქონე ამ ორ ხალხს (ქრისტიანები და შიიტი მუსლიმები) შორის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა მარტივი. გაბატონებული იმპერიები (სპარსეთი, რუსეთი) ზოგჯერ სარგებლობდნენ მათ შორის დაძაბულობით და იყენებდნენ თავიანთი ინტერესების გასატარებლად, ზოგჯერ ხელს უწყობდნენ ამ ორი ხალხის მშვიდობიან თანაცხოვრებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის პრობლემები გაღვივდა, რამაც გამოიწვია ტერიტორიული კონფლიქტი. (რადვანი, ბერუჩაშვილი, 2011, გვ.70).

მთიანი ყარაბაღი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის საუკუნეზე მეტია დავის ობიექტადაა ქცეული. 1919 წელს, ჯერ ინგლისელებმა და შემდეგ რუსებმა მთიანი ყარაბაღი ხან სომხებს მიაკუთვნეს, ხან აზერბაიჯანელებს, თავიანთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მოსახლეობის 95%-ს მთიან ყარაბაღში სომხები შეადგენდნენ. 1921 წლის 5 ივლისს მთიანი ყარაბაღი სომხებს მიაკუთვნეს, თუმცა ეს გადაწყვეტილება გადაიხედა და მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს დაექვემდებარა. ამ პერიოდიდან ამ ორ ხალხს შორის მუდმივი დავა არსებობს. 1988 წელს სომეხმა ლიდერებმა ერევნის „ყარაბაღის კომიტეტის“ მხარდაჭერით მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთება მოითხოვეს. (რადვანი, ბერუჩაშვილი, 2011, გვ.71). ამ პერიოდში დაიწყო აზერბაიჯანელების განდევნა სომხების კონტროლქვეშ მყოფი

ტერიტორიებიდან. ხოლო სომხების მასობრივი გამოდევნა აზერბაიჯანიდან. 1989 წლის 1 დეკემბერს სომხეთის სსრ უმაღლესმა საბჭომ მხარი დაუჭირა მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შეერთებას. 1990 წლის 27 აგვისტოს კი აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭო აუქმებს მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქს.

კრემლი ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის დაენახებინა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიელები ისევ ერთმანეთის ხოცვით იყვნენ დაკავებულნი და მხოლოდ რუსეთს შეეძლო რეგიონში სიტუაციის მოწესრიგება და მედიატორის როლის მორგება. კრემლი ამ რესპუბლიკების საზღვრების გადაკეთებას და შესწორებას საკუთარ ინტერესებს არგებდა. ამ ინტერესებიდან გამომდინარე შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი და ამავე მიზანს ემსახურებოდა მთიანი ყარაბაღის ხან სომხეთის და ხან აზერბაიჯანისთვის გადაცემა-გადმოცემის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე რესპუბლიკა „ურჩობას“ განიზრახავდა, კრემლი სასტიკად უსწორდებოდა, როგორც იყო 9 აპრილი (თბილისში) და „შავი იანვარი“ ბაქოში.

1990 წლის 20 იანვარს ბაქოში, მშვიდობიან აზერბაიჯანელ მომიტინგეთა დარბევა განხორციელდა საბჭოთა არმიის მიერ, რასაც 130 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

კრემლმა, სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში პოლიტიკური პროცესები ისე წარმართა, რომ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა საქმე. ქვეყნის შიგნით არსებული არეულობა ხელს აძლევდა თავისუფალი მანევრირებისთვის.

აზერბაიჯანული მხარე თვლის, რომ სომხეთი აგრესორია და საერთაშორისო საზოგადოებამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს. სომხურ მხარეს კი მიაჩნია, რომ აზერბაიჯანმა უნდა აღიაროს, რომ ომი წააგო და შეეგუოს რეალობას. სომხებს მიაჩნიათ, რომ მთიანი ყარაბაღი არასოდეს ყოფილა და არც არასდროს იქნება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნაწილი.

გაჭიანურებული კონფლიქტების არსებობა რუსეთის ინტერესში შედის. რუსეთის მცდელობა, სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკუთარ ორბიტაზე შეინარჩუნოს, არ იყო წარმატებული. რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოსა და აზერბაიჯანის

როგორც სამხედრო მოკავშირეების შენარჩუნება. სომხეთი შეიძლება ჩაითვალოს გამონაკლისად.

როდესაც საქმე სამხრეთ კავკასიას ეხება, დასავლური ანალიზი რუსეთს ხშირად განსაზღვრავს, როგორც "სპილო ოთახში". რუსეთის აქვს საკუთარი ინტერესები სამხრეთ კავკასიაში; მას სურს ჰეგემონიის მოპოვება რეგიონზე. (Sammut, D and Paul, A, 2011)

გეოპოლიტიკური შრე სერიოზულ გავლენას ახდენს კონფლიქტის გამწვავებაში. ანალოგიურია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაშიც. რუსეთს სჭირდება კონფლიქტი არსებობდეს იმ სახით, რა სახითაც არსებობს და არ არის დაინტერესებული კონფლიქტის გადაჭრით, იმიტომ რომ კონფლიქტის გადაჭრა ნიშნავს, რომ რუსეთი კარგავს ბერკეტებს და მას სჭირდება რაც შეიძლება მეტი ბერკეტი. რუსეთს სჭირდება მეტი ინსტრუმენტი რეგიონზე ზეწოლისთვის. რუსეთი ამ ინსტრუმენტებს იყენებს ისე, როგორც მის ინტერესებშია. მანამ სანამ რუსეთის დამოკიდებულება ესეთი იქნება, მანამ სანამ კონტრ დამაბალანსებელი ძალა არ გაჩნდება რეგიონში, რომელიც აიძულებს რუსეთს, რომ გადახედოს მის პოლიტიკას, რეგიონში იქნება ამგვარი სიტუაცია. გეოპოლიტიკური კონტექსტი, რაც ამ რეგიონში არსებობს არის ერთ-ერთი მთავარი კონფლიქტის დაწყების მიზეზების ძიებისას. რუსეთის ქცევა, მისი მოტივები რეალპოლიტიკურია და რეალიპოლიტიკის ელემენტებით უგამორიცხება, არც ერთი კვლევა არ იქნება სრულფასოვანი.

თავი 3. კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები - შიდა დონის ანალიზი

3.1. ანალიზის დონეები

3.1.1. ანალიზის პირველი დონე: მასების მტრობა

ეთნიკური ომების გამომწვევი მიზეზების ახსნის მრავალი მცდელობა არსებობს. ერთი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს მასობრივი ვნებების როლზე; მეორე მიდგომა იმაზე მიუთითებს, რომ შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა შეიძლება იყოს ეთნიკური ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზი; მესამე მიდგომა მანიპულირებაში ადანაშაულებს აგრესიულ მებრძოლებს. ნაშრომი აჩვენებს, რომ სამივე ფაქტორი - მტრული მასები, აგრესიული ლიდერები და შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა - ეთნიკური ომის გამომწვევი მიზეზი ხდება. ეს ფაქტორები იწვევენ ეთნიკურ ომს ერთმანეთთან მზარდი კონფლიქტის სულისკვეთებით: აგრესიული ლიდერები აღვივებენ მასობრივ მტრულ დამოკიდებულებას; მტრული მასები მხარს უჭერენ აგრესიულ ლიდერებს; და ორივე ერთად საფრთხეს უქმნის სხვა ჯგუფებს, ქმნის უსაფრთხოების დილემას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მტრულ პოლიტიკას. (Kaufmann, 1996, p.108)

მასობრივი მტრობას ახასიათებს რაციონალური უკმაყოფილება და ემოციური მიზეზები. ადამიანები, რომლებიც ეკონომიკურად დაკმაყოფილებულნი არიან, ძნელია მათი პოლიტიკურად მობილიზება, განსაკუთრებით ისეთი მოძრაობებისთვის, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ეკონომიკას.

სიმბოლოები, როგორცაა დროშები, საჭიროა, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ემოციურ კავშირების გაღრმავებას. ერთი ჯგუფის იტორიკოსები და ჟურნალისტები ხაზს უსვამენ მეორე ჯგუფის მხრიდან წარსულში გამოყენებულ ძალადობას, რათა უფრო სარწმუნო გახდეს გენოციდის ემოციური ბრალდებები, რომლებიც მასებს უღვივებს შიშს. (Kaufmann, 1996, p.113)

როდესაც სახელმწიფოები ომს იწყებენ ენთუზიაზმით, მთვრობის ლიდერები მუშაობენ ასეთი ენთუზიაზმის შექმნაზე საზოგადოებაშიც. ბევრი თეორეტიკოსი

აღნიშნავს, რომ მასის მტრობის მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, ხელს უწყობს საერთაშორისო ომს.

ჰანს მორგენტაუ ამტკიცებს, რომ როდესაც ადამიანები გამოავლენენ აგრესიულ ნაციონალიზმს, აგრესიული ომის დაწყება სავარაუდოა. სტივენ ვან ევერა გამოყოფს ორ შეხედულებას: "ჰიპერნაციონალიზმი", რწმენა იმისა, რომ სხვა ერებზე უნდა დომინირებდნენ; და "მილიტარიზმი", რწმენა, რომ ომი არის კეთილშობილური ვალდებულება, რომელიც სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის. ეთნიკური კონფლიქტის კვლევებში ასევე აღინიშნება "ჰიპერნაციონალიზმის" მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება უფრო ზუსტად იყოს განმარტებული, როგორც ეთნიკური შოვინიზმი. როგორც დონალდ ჰოროვიცი აღნიშნავს, ეს დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში გამოხატულია ეთნიკური სიმბოლოების ან ეთნიკური ლიდერების სტატუსზე. შოვინისტური ეთნიკური ჯგუფების მიერ, შესაძლოა, ძალადობრივი კონფლიქტის პროვოცირება. (Kaufman, 1996, p.152)

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი კვლევები ამტკიცებდა, რომ "ძალადობის კულტურა" ზოგადად შიდა პოლიტიკურ ძალადობას უკავშირდება, ეს არგუმენტი იშვიათად გამოიყენება ეთნიკურ ძალადობის გაანალიზებისას. თუმცა არგუმენტი აშკარად აქტუალურია. მაგალითად, იუგოსლავიის შემთხვევაში იყო სისხლიანი დაპირისპირება და სამოქალაქო ომი, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდა. იუგოსლავიის ერები არიან მილიტარისტულნი: ხორვატები და სერბები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი წინაპრების მიერ გამოვლენილი საბრძოლო ნიჭით და ცდილობენ მიზამონ მათ. ჩეხები, პირიქით, უფრო ამაყობენ თავიანთი კულტურითა და არაძალადობრივი ისტორიით, ვიდრე წარსული საბრძოლო დიდებით (Kaufman, 1996. P.153)

შოვინიზმი ან მილიტარიზმი, უფრო ფართოდ გაგებულია, როგორც მასობრივი მტრული დამოკიდებულება. დონალდ ჰოროვიცი გამოყოფს რამდენიმე მიზეზს, რომელიც იწვევს ეთნიკურ ომს. პირველი წინაპირობა არის ერთი ჯგუფის ისტორიული დომინირება მეორეზე, ან უარეს შემთხვევაში, რომელიც ახლაც დომინირებს და დომინანტია. ეს ფაქტორები წარმოქმნის უსაფრთხოების დილემას ეთნიკურობის გადაშენების შიშით. მეორე ფაქტორი, უარყოფითი ეთნიკური

სტერეოტიპების არსებობა არის ის, რაც ხელს უწყობს მასობრივ მტრულ დამოკიდებულებას. მესამე, ეთნიკური სიმბოლოების კონფლიქტი. მეოთხე ფაქტორი, ეკონომიკური გაჭირვება - ცხოვრების დონის შემცირების ტენდენცია. (ციტირებულია, Kaufman, 1996. p.153)

აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რა შეიძლება ითქვას მასის ძალადობაზე. გრძელვადიანი შოვინისტური და მილიტარისტული შეხედულებების გამო და ეკონომიკური გაჭირვების გამწვავების პირობებში, ეთნიკური კონფლიქტი არის მასის ზეწოლის შედეგი: თუ კონკრეტული ლიდერი არ მიიღებს უკიდურეს პოზიციებს ეთნიკურ საკითხებზე, მასა შეცვლის ლიდერს იმ ლიდერთ, რომელიც ამას გააკეთებს. ამრიგად, ელიტა ან დაჰყვება მასების მოთხოვნას, ან მასები ელიტას გამოცვლიან. (Welzel, 2003. p.341) ამდენად, შიდა ეთნიკური ექსტრემისტული პოლიტიკა კონკურენტული ხდება. ამან შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიოს ეთნიკური ომი.

ამრიგად, მასობრივი მტრობის წინაპირობას წარმოადგენს უარყოფითი ეთნიკურ სტერეოტიპები და ემოციურ სიმბოლოებზე დავის არსებობა. უსაფრთხოების დილემა წარმოიშვება, როდესაც ორივე მხარეს ამოდრავებს გადაშენების შიში. აგრესიული ელიტები ხელს უწყობენ ეთნიკურ კონფლიქტს, მათ სჭირდებათ მტრული მასების არსებობა ან ისეთი მასების, რომელთაც მტრობისთვის შექმნილი აქვთ წინაპირობა.

მესამე მხარე ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეთნიკური ომების წარმოშობაში. მათ შეუძლიათ კონფლიქტურ ელიტებს მიაწოდონ რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ან ქმნიან მეტოქე მთავრობას, შემდეგ კი დაიწყება ელიტარული ძალადობის პროცესი. მესამე მხარეს შეუძლია აგრეთვე უზრუნველყოს სამხედრო საშუალებები, რომლებიც საშუალებას მისცემს ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, მასის ან ელიტის მიერ მართული ძალადობის წარმოქმნისთვის. (Kaufmann, 1996 p.110)

3.1.2. მეორე დონე: ელიტების მიერ მართული ძალადობა

ეთნიკური ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზიდან შესაძლებელია ორი განსხვავებული მოდელი. ერთი მასობრივი ნიმუშია, რომელიც იწყება მასის მტრობით. ამ შემთხვევებში მტრული მასები ირჩევენ აგრესიულ ლიდერებს და რათა ჩაერთონ იმ ქმედებებში, რომლებიც ხელს უწყობენ უსაფრთხოების დილემს; მტრობა და დაუცველობის გრძნობის ზრდა საბოლოოდ იწვევს ომს. მეორე შემთხვევა ელიტარულია; მას იწყებენ აგრესიული ლიდერები, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მასობრივი მტრობა დაბალია. ლიდერები იყენებენ ძალაუფლებას და მათ გავლენას მედიის საშუალებით, რათა ხელი შეუწყონ მასობრივი მტრული დამოკიდებულებების ზრდას და უსაფრთხოების დილემის პროვოცირებას, რაც საბოლოოდ ომამდე მიდის. (Kaufman, 1996, p.109)

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ნეოლიბერალურ სკოლის ცენტრალური არგუმენტი ისაა, რომ უსაფრთხოების დილემა არ არის ანარქიის გარდაუვალი შედეგი. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, ლიბერალური ნორმებისა და დემოკრატიული პროცესების გამო, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს არ წავლენ, ძირითადად ომები ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არიან აგრესორები, რომელთაც სურთ მისი დაწყება.

რატომ არიან სახელმწიფოები აგრესიულები? ვან ევერას არგუმენტი არის ის, რომ პოპულარული მილიტარისტული და "ჰიპერნაციონალისტური" იდეები ხშირად ელიტების პოლიტიკის შედეგია. (Kaufman, 1996, p.154) მაგალითად, პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, მილიტარისტული იდეები წინ წამოწიეს. ომი იყო აღქმული, როგორც კეთილშობილური, სასარგებლო და გარდაუვალი.

ჯეკ სნაიდერი უფრო რთული პროცესებით გვთავაზობს მილიტარისტული და ნაციონალური შოვინისტური პოლიტიკის ახსნას. მისი თვალსაზრისით, გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ ლიდერები დარწმუნებულნი არიან თავიანთი და თავის ხალხის გარკვეული სტრატეგიული მიზეზების ნამდვილობაში.

აგრესიული ელიტები იყენებენ ბიუროკრატიულ ბაზებს და მონოპოლიას მნიშვნელოვან ინფორმაციებზე, ავრცელებენ განზრახ დამახინჯებულ ინფორმაციას, რათა დაარწმუნონ სხვები თავიანთი პოლიტიკის მხარდაჭერის სისწორეში. ისინი ცდილობენ თავიანთი მოსაზრებების გავრცელებას, ან თუ შესაძლებელია, ზეგავლენას ახდენენ მასმედიაზე.

ელიტების მიერ მართული ძალადობა ხდება მაშინ, როდესაც მასობრივი მტრობის წინაპირობები უკვე არსებობს. ეთნიკური ომისთვის აუცილებელი წინაპირობებია: ნეგატიური სტერეოტიპები, ემოციური სიმბოლოები, ეთნიკური მმართველობის ისტორიები, ჯგუფის გადაშენების შიში და მოქმედებისთვის აუცილებელი სამხედრო საშუალებები. ჰოროვიცი ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევებს ეთნიკური ძალადობის ყველა შემთხვევაში აქვს ადგილი და რომ ყველა ეს ფაქტი გამოვლინდა ეთნიკური ომის ბოლოდროინდელ შემთხვევებში. მათ შორის საქართველოს და აზერბაიჯანის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზეზები იწვევს ომს, ეს საკმარისი არ არის. ეს ფაქტორები ხდება ომის გამომწვევი მიზეზი იმ შემთხვევაში თუ არსებობს გარკვეული მასობრივი მტრული დამოკიდებულება ან თუ ელიტებმა დაიწყეს ეთნიკური ომის მაპროვოცირებელი მოქმედებები. თუ მტრობის წინაპირობები უმნიშვნელოა, ომი შეიძლება თავიდან იქნას აცილებული, თუ პოლიტიკური ელიტები ითანამშრომლებენ ახალი ინსტიტუტების შესაქმნელად, ეს დაასრულებს ანარქიის არსებობას. თუ მასობრივი მტრობა არსებობს, შედეგი არის მასის მიერ მართული ძალადობა; თუ მასობრივი მტრობა არ არსებობს, მაგრამ ელიტები უბიძგებენ მასებს ძალადობისკენ, შედეგი არის ელიტის მიერ მართული ძალადობა. (Kaufmann, 1996, p.115)

ვილფრედო პარეტოს აზრით, ელიტა შეიძლება ვუწოდოთ იმათ, ვისაც აქვთ თავიანთი საქმიანობის სფეროში უმაღლესი მაჩვენებელი. ელიტა წარმოადგენს მოსახლეობის რჩეულ ნაწილს, დანარჩენი ნაწილი კი მხოლოდ „ეგუება მისგან მიღებულ სტიმულებს“. (მაცაბერიძე, 2014) ელიტას შესწევს უნარი სხვებში სუსტი და ყველაზე მგრძობიარე ადგილების დანახვისა და მათი საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის გამოყენების უნარი, მაშინ, როდესაც მასები, რომლებიც ემოციებს არიან აყოლილნი. შესაბამისად, საზოგადოების ის ნაწილი (ელიტები), რომლებშიც

ჭარბობს ცოდნა, მართავენ მათ, რომლებიც გრძნობებს და ემოციებს არიან აყოლილნი. მმართველ ელიტას ახასიათებს ადამიანთა ემოციებით მანიპულირებისას დარწმუნების უნარი და ძალის გამოყენების უნარი იქ, სადაც ამისი აუცილებლობა წარმოიქმნება. ელიტებისთვის მასების მართვა შესაძლებელი ხდება მათი გრძნობების მანიპულირების გზით და იმ იდეების დახმარებით, რომლებიც მასებს უქვემდებარებენ მმართველი კლასის ინტერესებს. „მთავრობის პოლიტიკა, მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო წარმატებით იყენებს იგი ემოციებს“.

(მაცაბერიძე, 2014)

პარეტოს აზრით, ელიტა ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე „არაორგანიზებული მასა“. შესაძლოა ელიტების მიერ მოხდეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღმასვლა, მაგრამ მასა ამისთვის მზად არ იყოს.

(Higley, Pakulski, 1992)

3.1.3. მესამე დონე: შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის - ნეორეალიზმის სკოლის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის შესახებ დომინანტური ფაქტი არის ის, რომ სისტემა ანარქიულია. არ არის ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ქვეყნის წესები ყველა სახელმწიფოსთვის. ანარქიული გარემო ხშირად აყენებს სახელმწიფოებს უსაფრთხოების დილემის წინაშე. ეს არის სიტუცია, რომელშიც სახელმწიფოს მცდელობა გაზარდოს თავისი უსაფრთხოება, მეზობელ სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის. მეორე სახელმწიფო თავის მხრივ ცდილობს საკუთარი ძლიერების გაზრდას და საბოლოო შედეგი ხანდახან ომია. (უოლცი, 2003)

უსაფრთხოების დილემა არ უნდა იყოს სახელმწიფოში გამოყენებული ეთნიკურ ჯგუფებთან დასაპირისპირებლად, რადგან იშვიათად არიან სრულ ანარქიულ გარემოში. ანარქია შეიძლება არსებობდეს თუ ეთნიკური ჯგუფები ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების ლეგიტიმაციას და მის კონტროლს ტერიტორიებზე. თუ ანარქია აღწევს იმ წერტილს, სადაც ხელისუფლება ვერ ახერხებს თავისი ტერიტორიის კონტროლს და ხალხის დაცვას, ხოლო ეს შეუძლიათ ეთნიკურ ორგანიზაციებს, მაშინ

ეთნიკურ ორგანიზაციებს აქვთ საკმარისი სუვერენიტეტი უსაფრთხოების დილემის შესაქმნელად. ამ პირობებში თითოეული ჯგუფი ფიქრობს, რომ უნდა დაიცვას საკუთარი წევრების ფიზიკური უსაფრთხოება, მაგალითად, შეიარაღებული ფორმირებების ან ფარული ჯგუფების შექმნის გზით, რითაც სხვა ჯგუფის შემდგომი დაუცველობის პროვოცირებას მოახდენს. უარესია, თუ რომელიმე ეთნიკური დასახლება შერეულია, ამ შემთხვევაში უფრო სერიოზული უსაფრთხოების დილემა შეიძლება წარმოიშვას.

ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს უსაფრთხოების დილემის სხვადასხვა ასპექტს. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოები ხშირად ინტერესდებიან სტატუს-კვოს შენარჩუნებით, მაგრამ ისინი ვერ იაზრებენ, რომ მათი უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოს და შესაბამისად იქმნება მტრობა.

ძირითადი ლოგიკა შემდეგია: ხალხი არ ჩაერთვება ეთნიკურ ძალადობაში, თუ არ არიან მტრულად განწყობილნი და არ სურთ ზიანის მიყენება სხვა ჯგუფისთვის. ელიტები მობილიზებას უწყვენ თავიანთ მომხრეებს ძალადობისთვის, რომ უფრო და უფრო მეტი უკიდურესი მოთხოვნები გააჟღერონ სხვა ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ. თითოეული ეთნიკური ჯგუფის შიში, გამოწვეული გადაშენების საფრთხით, შესაძლოა გამართლდეს, რადგან ერთი ჯგუფის არსებობა, საფრთხეს უქმნის მეორე ჯგუფს და მათ მიზნებს. ამის შედეგად წარმოიქმნება უსაფრთხოების დილემა, სიტუაცია, რომელშიც ერთი ჯგუფის მიერ უსაფრთხოების გაზრდა საფრთხეს იწვევს მეორე ჯგუფში. (Kaufmnan, 1996. p.111)

უსაფრთხოების დილემა, რომელიც ეთნიკურ ჯგუფშია, განსხვავდება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში გამოყენებული უსაფრთხოების დილემისგან. უსაფრთხოების დილემის ნეორეალისტური კონცეფცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ეთნიკურ კონფლიქტთან, ანარქია და საფრთხის არსებობის შესაძლებლობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეიქმნას უსაფრთხოების დილემა იმ თემებს შორის, რომლებიც შეიძლება ათწლეულების განმავლობაში მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. ეთნიკური უსაფრთხოების დილემა მოითხოვს ჯგუფის გადაშენების ორმხრივ შიშს, და ასეთი შიში არ წარმოიქმნება, თუ მტრული

მასები თავიანთ უსაფრთხოებას არ განსაზღვრავენ უკიდურესად ექსტრემისტულად; ან ელიტები წარმოშობს ამას, თავისი პოლიტიკური მიზნების გასატარებლად. (Kaufmnan, 1996. p.112)

ამრიგად, მასობრივი მტრული დამოკიდებულება, აგრესიული ელიტები და უსაფრთხოების დილემა ეთნიკური ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია, მაგრამ თეორიულად ისინი წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა აუცილებელი წინაპირობა - ეთნიკურად განსაზღვრული საჩივრები, დემოგრაფიული საფრთხეები, უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპები, ეთნიკური მმართველობის ისტორია, ეთნიკური სიმბოლოები, ჯგუფის გადაშენების შიში, სამხედრო საშუალება ბრძოლისთვის და პოლიტიკური სივრცე ეთნიკური შეშფოთების საგანია.

ეთნიკური უსაფრთხოების დილემა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ დე-ფაქტო ანარქის პირობებში, რომელშიც სახელმწიფო არ არის ან არ სურს ყველა ძირითადი ჯგუფის დაცვა. სიტუაცია, რომელშიც რომელიღაც ტერიტორიის უმცირესობა არის უმრავლესობა ფართო რეგიონში. ორივე ჯგუფმა შეიძლება იფიქროს, რომ არის უმცირესობა, ან პოტენციური უმცირესობა და დგას გადაშენების საფრთხის წინაშე. ორივე მხარე უკიდურეს ზომებს მიმართავს გადარჩენისთვის. (Kaufmnan, 1996, p.114)

3.2. თეორიების მოლოდინებსა და ემპირიულ შედეგებს შორის თავსებადობა.

3.2.1. მასების მიერ მართული ძალადობა მთიან ყარაბაღში

ზოგადად, ძნელი წარმოსადგენია, მასის უკან არ იდგეს ლიდერი, მაგრამ კვლევები აჩვენებს და მასის მიერ მართული ძალადობის დეფინიცია განმარტავს, რომ ლიდერი რაღაც ეტაპზე ჩნდება, რადგან საბოლოო მიზნის მისაღწევად ლიდერის არსებობა აუცილებელია. ლიდერი აკეთებს პროცესის კოორდინირებას, მაგრამ საწყის ეტაპზე პროცესი ორად იყოფა: მასის მიერ წარმოებული და ელიტის მიერ წარმოებული ძალადობა. ძნელია გამყოფი ხაზი გაავლო, თუ რომელი ეთნიკური კონფლიქტია მასის მიერ წარმოებული და

რომელი ელიტის მიერ წარმოებული ძალადობა, რადგან ხდება გადასვლა ამ ორი ტიპის ძალადობას შორის. ძნელია ცალსახად ვთქვათ, რომ რომელიმე კონკრეტული კონფლიქტი იყო მასის მიერ წარმოებული, ან ელიტის მიერ წარმოებული ძალადობა, რადგან გარკვეული ეტაპის შემდეგ მასა შობს ლიდერს, რომელიც იმ ლოზუნგებს გააჟღერებს, რომლის მოსმენაც მასას უნდა. და პირიქით, ელიტა იწყებს მასის აზროვნების ფორმირებას. მასა ფაქტიურად იქცევა, როგორც ზომბირებული ერთეული, რადგან ის აკეთებს იმას, რაც ელიტას სურს. (ავტორის ინტერვიუ ნინო ფავლენიშვილთან)

როდესაც, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე ვსაუბრობთ, უნდა გამოიკვეთოს კონფლიქტის საწყის ეტაპზე ვის მიერ მართულ ძალადობასთან გვეკონდა საქმე. მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, მეცნიერთა უფრო დიდი ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მასების როლი უფრო დიდი იყო, ვიდრე ადგილობრივი ელიტების. ყარაბაღელი სომხების განწყობა, რომ ყარაბაღი მათი მიწაა და ეს არ არის აზერბაიჯანული მიწა, უფრო ღრმად არის ჩანერგილი და უფრო მასებიდან მომდინარე პროცესია, ვიდრე ელიტებიდან.

ეთნიკური ომის ნიმუში, რომელიც მასის მიერ არის მართული, მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როდესაც მასობრივი მტრობა ან მისი დაწყების ყველა წინაპირობას აქვს ადგილი და ერთ ან ორივე მხარეს ამოდრავებს გადაშენების შიში. ამ პირობებში, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი ძალის გამოყენება ინარჩუნებს ეთნიკურ კონფლიქტზე კონტროლს. როდესაც ეს ძალა არ არსებობს, იქმნება პოლიტიკური სივრცე ეთნიკური ჯგუფების მობილიზებისთვის, იწყება კონფლიქტის ესკალაცია, როგორც კი ხალხი იწყებს თავიანთი მტრული დამოკიდებულების და საჩივრების გამოხატვას. მასობრივი ეთნონაციონალისტური მოძრაობები შეიძლება ასეთ პირობებში დიდი ხნის განმავლობაში დარჩნენ. ეთნიკური უმრავლესობის ეს პოლიტიკა, რასაკვირველია, საფრთხეს უქმნის სხვა ჯგუფებს, რომლებიც თავდაცვით პოზიციაში დადგებიან. შედეგი არის ეთნიკური ომი. (Kaufmann, 1996, p.115)

თუ მასობრივი ძალადობის ინიციატორი არის დაქვემდებარებული ჯგუფი, ეს ერთ-ერთ მასობრივ ამბოხს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით

დიდია უსაფრთხოების დილემა და ეთნიკური გადაშენების შიში. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ამ თვალსაზრისს ასახავს: ყარაბაღის სომხებმა გაიხსენეს 1915 წლის მათი გენოციდი და გადაშენების შიში. როგორც კი გორბაჩოვის გლობალურმა პოლიტიკამ (გლასნოსტი, საჯაროობა) 1987 წელს საჭირო პოლიტიკური სივრცე გახსნა, მათ დაიწყეს რეგიონის სომხეთთან მიერთების აგიტაცია. აზერბაიჯანელებმასომხებს წინააღმდეგობა გაუწიეს. შედეგად, მასობრივი ძალადობა, ამბოხი მოხდა, რომელიც ნაციონალისტებს (ორივე მხარეს) ძალაუფლებას აძლევდა. (Kaufman, 1996, p.116)

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ეთნიკური კონფლიქტია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მთიანი ყარაბაღის ტერიტორია საუკუნეების მანძილზე სადაოდ იყო მიჩნეული. ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტები გააჩნდათ ტერიტორიის ფლობასთან დაკავშირებით. (Nygren, 2007)

1918-20 წლებში აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, ოსმალეთმა და რუსეთმა ამირკავკასია გაიყვეს, რის შედეგადაც მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის კუთვნილებაში შევიდა. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყო. 1988 წელს ძველმა ჭრილობებმა გაიღვიძა და სომხეთის ინიციატივით შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო. ომი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. მასობრივი სისხლიანი დაპირისპირება 1994 წელს ზავით დასრულდა. (Waal, 2003, p. 66)

აზერბაიჯანის დავა სომხეთთან მთიანი ყარაბაღის გამო არის შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს მასის ეგიდით წარმოებულ კონფლიქტს. მთიანი ყარაბაღში არსებობდა ყველა წინაპირობა ეთნიკური კონფლიქტის გასაჩაღებლად; იყო ეთნიკური კუთვნილების პრობლემა. აზერბაიჯანელები თვლიდნენ, რომ „მთიანი ყარაბაღი იყო იგივე აზერბაიჯანი, მაგრამ ეს ჯერ არ იყო გაცნობიერებული სომხების მიერ“. (Lynch, 2012, p.848) სომხები საბჭოთა პერიოდში, ყარაბაღში აზერბაიჯანის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ძალიან სწრაფად, ყარაბაღი გახდა სიმბოლური საკითხი ორივე ჯგუფისთვის, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი სტერეოტიპები: სომხური მხარე პრეტენზიას აცხადებდა ამ ტერიტორიაზე და აზერბაიჯანელებს წარმოაჩენდნენ „სისხლიან მოაზროვნეებად“. (Kaufman, 1996, p.163) სომხების

მისწრაფება ეს რეგიონი შეერთებოდა სომხეთს იყო უდავოდ მასის მიერ წარმოებული. გამოკვეთილი ლიდერები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებოდნენ ამ პროცესებს, როგორც მაგალითად „ადამონ ნიხასი“ და „აიდგილარა“ არ ყავდა. აზერბაიჯანელებს სომხები აღიქვამენ, როგორც თურქების მონათესავე ხალხად და იმ პერიოდში უფრო წინ იყო წამოწეული აზერბაიჯანელებისთვის თურქული იდენტობა.

საკითხი პირველად დღის წესრიგში 1918 წელს დადგა და არაერთხელ იქნა აღდგენილი. პეტიცია შემუშავდა 1960-იანი წლების შუა პერიოდში, დემონსტრაციებმა თავი იჩინა 1977 წელს და გამოჩენილი სომხების მიერ განმეორდა ინდივიდუალური მიმართვებით. ამრიგად, 1987 წლის ზაფხულში ეს საკითხი ახალი არ ყოფილა, როდესაც 75 ათასზე მეტმა სომეხმა რეგიონში ხელი მოაწერა პეტიციას, რომლითაც სთხოვდნენ მიხეილ გორბაჩოვს, რომ ტერიტორია შეერთებულიყო სომხეთთან. რამდენიმე გამოჩენილმა საბჭოთა სომეხმა (ყველაზე ცნობილი გორბაჩოვის მრჩეველი აბელ აგანბეგიანი) მხარი არ დაუჭირა ამ პეტიციას, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ, გაცემულები იყვნენ ყარაბაღში, კერძოდ, სტეფანაკერტში მასობრივი საპროტესტო აქციებით, 1988 წლის თებერვალში. ნაწილობრივ, ყარაბაღის საკითხზე მასობრივი საპროტესტო გამოსვლები სწრაფად გავრცელდა რეგიონის გარეთ. სომხეთის დედაქალაქ - ერევანში დაიწყო სტეფანაკერტის საპროტესტო აქციების მხარდამჭერი აქციები, რომელსაც ათობით ათასი მონაწილე უჭერდა მხარს. იმავდროულად, სტეფანაკერტის საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით რომ ყარაბაღი მოქცეულიყო სომხეთის იურისდიქციის ქვეშ. ამის შემდეგ, თებერვლის ბოლოს, აზერბაიჯანულმა მხარემ განაცხადა ყარაბაღიდან განდევნილი 2,000 მდე დევნილზე თავდასხმის შესახებ, რის შედეგადაც გარდაცვლილების რიცხვი ოცდათერთმეტს აღწევდა. ეს მოვლენები ნათლად ცხადყოფს, რომ უსაფრთხოების დილემა, რომელშიც ორივე მხარის უმცირესობათა ჯგუფი გრძნობს საფრთხეს რეგიონში სპონტანურად შეიქმნა 1987-88 წლებში.

საწყის ეტაპზე, საპროტესტო აქციები და ძალადობა არ ყოფილა ორგანიზებული არც ერთი ლიდერის მიერ, ან თუნდაც ოპოზიციის ლიდერების მიერ. ოფიციალურმა მედიამ ძალადობა და აქციები გააპროტესტა და ორივე ქვეყნის ლიდერები იყვნენ

ძალიან შეწუხებულები ამ ქმედებებით. მართლაც, ორივე ქვეყნის ლიდერი შეიცვალა თებერვლის მოვლენების შედეგად. რაც შეეხება არაოფიციალურ ჯგუფებს, სომხების ყარაბაღის კომიტეტმა სომხეთში თავისი ორგანიზაცია არ შექმნა 1988 წლის ზაფხულამდე და აზერბაიჯანის სახალხო ფრონტს 1989 წლის ზაფხულამდე არ ჩაუტარებია მისი დამფუძნებელი ყრილობა. მომდევნო წლებში კონფლიქტი გაგარძელდა. ძალადობის ტალღები სომხეთსა და აზერბაიჯანში 1988 წლის შემოდგომაზე გადაიზარდა კონფლიქტში, რის შედეგადაც 100 ადამიანი დაიღუპა და 200 000 სომეხი და აზერბაიჯანელი დევნილად იქცა.

1989 წლის ბოლოს საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მთიანი ყარაბაღის დაბრუნება აზერბაიჯანის იურისდიქციაში, სომხეთის მთავრობამ კი ყარაბაღი სომხეთის ნაწილად გამოაცხადა.

ამრიგად, მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, საწყის ეტაპზე, ნაკლებად შეინიშნება ელიტის მიერ წარმოებული ძალადობის ნიშნები. მტრული დამოკიდებულება და უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა, სანამ მედიის ტონი იქნებოდა მტრული და არა მედიის მტრული ტონის შედეგად. უსაფრთხოების დილემა გაჩნდა მანამ, სანამ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს გააჩნიათ ინსტიტუციონალური ძალა, რათა წამოეწყოთ კონფლიქტი, აქედან გამომდინარე, ძალადობა სპონტანური იყო. და ეთნიკური კონფლიქტის გაღვივება მოხდა მას შემდეგ, როდესაც უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა.

3.2.2. ელიტების მიერ მართული ძალადობა აფხაზეთში

ელიტარულ ჯგუფებს, აქვთ უნარი და საშუალება გავლენა მოახდინონ, როგორც საზოგადოებაზე, ისევე ხელისუფლებაზე. ელიტებს გავლენა აქვთ მასაზე. ელიტები ცდილობენ შედეგის ოპტიმიზაციას სხვა აქტორების ფონზე. შესაბამისად, ელიტებმა უნდა შეძლონ ალტერნატიული მიზნების დასახვა პრიორიტეტების განსაზღვრაში, შიდა და საერთაშორისო შეზღუდვების ფონზე. ეროვნულ დონეზე, ეროვნულ ეთნიკურ ჯგუფები თავიანთ მიზნებს სხვადასხვა გზით ატარებენ, განსაკუთრებით, ხელისუფლებაზე ზეწოლის გზით, რათა მიიღონ ხელსაყრელი პოლიტიკა.

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ეთნიკურ ურთიერთობებზე არის - პოლიტიკური მოგონებები, მითები და ემოციები. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური ელიტების მიერ ჯგუფებს შორის ურთიერთობების შემდგომი ესკალაციის მიზნით. როდესაც აგრესიული ელიტები მანიპულირებენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მათმა მტრულმა რიტორიკამ საბოლოო ჯამში შეიძლება ძალადობაც გამოიწვიოს.

ვ.პ. გენიო 1990-იანი წლების დასაწყისში სერბეთში განვითარებულ მოვლენებს ელიტების „კონფლიქტის სტრატეგიას“ უწოდებს, როდესაც ყოფილი კომუნისტური ელიტის მიერ, ნაციონალიზმის აგრესიული ფორმა იქნა გამოყენებული. ეს დეფინიცია ერგება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსაც. ქართული ელიტა საკუთარ „კონფლიქტის სტრატეგიას“ ავითარებდა. ადგილობრივმა აფხაზურმა ელიტამ კი გამოიყენა ნაციონალისტური რიტორიკა, რუსეთის მხარდაჭერა და თბილისის შოვინისტური განცხადებები, რათა შეენარჩუნებინა საკუთარი პოზიციები. (Gagnion, 2010, p. 23)

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისგან განსხვავებით, რომლის გამომწვევი მიზეზია განსხვავებული ისტორიული ტრადიცია ორ ერს შორის და ისტორიული მტრობა, ქართველებს და აფხაზებს შორის არ არსებობს განსხვავებული ისტორიული ტრადიცია და მათ შორის ისტორიულ წარსულში, ეთნიკურ ნიადაგზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება არ მომხდარა. (მალაშხია, 2011, გვ. 207).

თუ შიდა დინამიკას შევისწავლით, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ თუ აღვიქვამთ სახელმწიფოთაშორის (რუსეთ-საქართველოს) კონფლიქტებად, ამ განსხვავებულობის ძიებას შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, გამომწვევი მიზეზების ანალიზისას. კონფლიქტების ხასიათი და არსი განსხვავებულია: აფხაზეთის შემთხვევაში უფრო მეტი დაპირისპირება იყო და აფხაზურ თემს და ქართულ თემს შორის ნაკლები ინტეგრაცია; ცხინვალის რეგიონში შედარებით მეტი ინტეგრაცია იყო. იგივე ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით, ოსებმა უკეთ იცოდნენ ქართული ენა, ვიდრე აფხაზებმა; უფრო მეტი ხელოვნურობა იყო სეპარატიზმის ინსპირაციაში 80-იანი წლების ბოლოს სამხრეთ ოსეთში ვიდრე

აფხაზეთში. აფხაზეთში უფრო ნოყიერი ნიადაგი იყო შექმნილი თავიდანვე კონფლიქტის ესკალაციისთვის. (ავტორის ინტერვიუ თორნიკე თურმანიძესთან)

1988 წლიდან აფხაზური და ქართული ელიტა, პოლიტიკურად და კულტურულად, აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხზე საკუთარ მოსაზრებებს დაუფარავად აცხადებდა. დამოუკიდებლობის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვა იძლეოდა კონფლიქტის ესკალაციის საფუძველს. ორივე მხარეს განსხვავებული პასუხი ჰქონდათ კითხვაზე, თუ რა არის აფხაზეთი. ქართველებისთვის აფხაზეთი არის საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, როგორც ქართლი, კახეთი და აშ. ხოლო აფხაზებისთვის, აფხაზეთი - ეს აფხაზეთია. ასე დაასატაურა აფხაზეთის პარლამენტის სეპარატისტთა ფრაქციის სპიკერის მოადგილემ - სტანისლავ ლაკობამ დასავლეთში გამოქვეყნებული სტატია.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების ფონზე, აფხაზეთში აქტიურდებიან ანტიქართული ძალები. 1988 წლის ნოემბერში შეიქმნა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ (ერთობა), რომელიც უკიდურესად ანტიქართული განწყობილებით გამოირჩეოდა. 1989 წლის 18 მარტს „აიდგილარას“ ინიციატივით მიღებულ იქნა ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელიც აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას მოითხოვდა.

1989 წლის აპრილში, რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, რომელიც ლიხნის ცნობილი შეკრების საპასუხოდ გაიმართა, რომელზეც სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზებმა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა მოითხოვეს, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არსებობდა... „აფსუა“ ანუ „აფსარნი“ ეს არის ჩრდილოეთკავკასიური, ადიღური მოდგომის ტომი და ჩვენ არცერთი ტომის ან ტომების ჯგუფის თვით გამორკვევის წინააღმდეგი არ ვართ, თუ ისერად ქცევას ღამობს, მითუმეტეს თუ აქვს ერის ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე - ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომები ამას შეიგნებენ, ამოუვიდგებით მხარში, ოღონდ იმ პირობით, რომ აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა, დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრნენ იქ, საიდანაც მოზრძანდნენ“.

(https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3_u3WY წვდომა, 01.07.2018)

1989 წელს, “სახალხო ფრონტის” ყრილობაზე, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „საქართველო არის ქართველების ქვეყანა... მიმდინარეობს ისევ და ისევ კრემლისეული პოლიტიკა ოსების და აფხაზების პრივილეგიებისა საქართველოში, რატომღაც აფხაზები და ოსები არის გამოყოფილი და სახალხო ფრონტი იბრძვის აფხაზების და ოსების უფლებების დასაცავად. მათ ძალიან კარგი დამცველი ჰყავთ კრემლის სახით, თქვენ საქართველოს ინტერესები დაიცავით.”

(<https://www.youtube.com/watch?v=Kd3FGKfITtc> წვდომა, 01.07.2018)

როგორც ჩანს, ზვიად გამსახურდია გამოხატავდა საკმაოდ ხისტ განწყობას ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რომელსაც საქართველოს ელიტა იზიარებდა. ზოგჯერ, რადიკალური ანტიაფხაზური მოწოდებებიც გაისმოდა, აფხაზური ავტონომიის საერთოდ გაუქმების თაობაზე. (მაგრამ ამგვარი რამ ოფიციალურ დონეზე არ ასახულა) როგორც ჩანს, ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურა, მათ შორის გამსახურდია, თავად ჩამოდიოდა ხოლმეამ „ეთნიკურ კარტს“ და საბოლოოდ, ქართული ელიტა უუნარო აღმოჩნდა, წინასწარ გაეთვალა აფხაზებისა და რუსების საკუთრივი ინტერესები (ნოდია, 1999).

ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ ქართველი ხალხი საკუთარ ქვეყანაში შევიწროებული იყო, იმის ნაცვლად, რომ ესარგებლა ავტოქტონურ სამშობლოში განსაკუთრებული უფლებებით. (ჯონსი, 2013) გამსახურდია თავის გამოსვლებში აღნიშნავდა, რომ აფხაზები გადმოსახლებულები იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან. ხაზს უსვამდა მათ არამკვიდრობას და არაქართველურ წარმომავლობას. ოსებზე კი თვლიდა, რომ არ წარმოადგენდნენ საქართველოს ძირძველ მოსახლეობას. (Nodia, 1998, p.31) ზვიად გამსახურდია გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ უნდა დაწყებულიყო “უკანონოდ შემოჭრილი არაქართველი მოსახლეობის განსახლება საქართველოდან”.

1990 წლის დეკემბერში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბლოკ „სოიუზის“ ერთ-ერთი ლიდერი ვ. არძინბა, რომელიც ანტიქართული პოზიციით გამოირჩეოდა. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატების მემვეობით მიიღო ანტიკონსტიტუციური დადგენილებები, მათ შორის ე.წ. აფხაზური „გვარდიის“ შექმნა, რაც საქართველოს

კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა.

1992 წლის აგვისტოში, მაშინ, როდესაც საქართველოში არჩეული ხელისუფლება უკვე დამხოვნილი იყო, გამსახურდია მოუწოდებდა მომხრეებს არ დამორჩილებოდნენ უკანონო ხელისუფლებას. აფხაზეთში მცხოვრები ქართველები ბოიკოტს უცხადებდნენ თბილისის ხელისუფლებას.

1992 წელს აფხაზეთში არსებულ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებით რთული ვითარება შეიქმნა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, 14 აგვისტოს საქართველოს შინაგანი ჯარები შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებსაც აფხაზეთის გვარდიამ ოჩამჩირის რაიონში ცეცხლი გაუხსნა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. არძინბას ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სეპარატისტულმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მობილიზაცია გამოაცხადა და შეიარაღებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა დაიკავეს სოხუმის სტრატეგიული პუნქტები.

არძინბა მოუწოდებდა მხარდამჭერებს ძალადობისკენ. მის ინტერესში შედიოდა კონფლიქტი; მისი მიზანი იყო საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე, არძინბა იმუქრებოდა: „ჩვენ, აფხაზები, გაიძულვით ქართველებს, რომ გვესროლოთ“. (ბლუაშვილი, 2016, 330) მისი წარმატების გასაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნული შოვინისტური კოალიციის ჩამოყალიბება ორგანიზაციული რესურსების გამოყენების გზით, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ. მაგალითად, არძინბამ კონტროლის დამყარება შეძლო ეფექტური პოლიტიკური მანევრების გზით. ეს საშუალებას აძლევს ლიდერებს მანიპულირება მოახდინონ და უზრუნველყონ მხარდამჭერებისთვის შერჩევითი სტიმულები, ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ელიტების მიერ წარმოებულ ეთნიკურ ომს წარმოშობს.

ელიტების მიერ მართულ ძალადობის შემთხვევაში, ექსტრემისტული ელიტები ხელისუფლებაში მოდიან, როდესაც ეთნიკური დაძაბულობა დაბალია, ისინი ქმნიან წინაპირობებს იმისთვის, რომ მასები განაწყონ მტრულად. მაგალითად, თანამედროვე პოლიტიკური ორგანიზაციების და მასობრივი ინფორმაციის

საშუალებების პროპაგანდისტული რესურსების გამოყენებით, ლიდერებს შეუძლიათ გააძლიერონ სუსტი სტერეოტიპები. (Kaufmann, 1996, p.117)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი - სვეტლანა ჩერვონაია, თავის წიგნში „აფხაზეთი - 1992: პოსტკომუნისტური ვანდია“ მისი და იური ვორონოვის (აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ადამიანთა უფლებების დამცველი) პირადი საუბრის შესახებ წერს. ჩერვონაია ამბობს, რომ ვორონოვმა მას არ დაუმალა აფხაზეთთან დაკავშირებით თავისი გეგმები. „აფხაზეთის საქართველოდან გამოგლეჯა - ეს ჩემი სამეცნიერო კრედიტია, ეს ჩემი ცხოვრების მიზანია. ამ მიზნიდან მე არ გადავუხვევ, მით უფრო, რომ ეს მიზანი ამჟამად ძალიან ახლოსაა“. (Червонная, 1993, с. 9)

„ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში „ჯგუფური ინტერესების“ აშკარა კვალს შესაძლოა აფხაზ მმართველ ელიტამდე მივყავდეთ“. (ნოდია, 1999, გვ. 76) 1989 წლის მონაცემებით, ეთნიკური აფხაზები ავტონომიური რესპუბლიკის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდნენ, მაშინ, როცა ქართველები - 45% -ს. მიუხედავად ამისა, ქართველები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი აფხაზეთის სახელისუფლებო ორგანოებში (მალაშხია, 2011, გვ.94). ბუნებრივია ისინი შიშობდნენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება, ზოგადი დემოკრატიული ნორმების საფუძველზე, ამგვარი პოლიტიკის გატარებას შეწყვეტდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში აფხაზურ ელიტას მართლაც ჰქონდა შეშფოთების საფუძველი და ვერც იმას ვიტყვით, თითქოს ქართული მხარე საწინააღმდეგოს მტკიცებას ცდილობდა.

კონფლიქტის გამწვავებაში დიდი იყო აფხაზი და ქართველი ადგილობრივი ელიტების როლი. კონკრეტულ ჯგუფებს სჭირდებოდათ ომი და შემდეგ დამოუკიდებლობის ილუზია იმისთვის რომ საკუთარი რეჟიმის ინტერესები უზრუნველყოთ.

აფხაზებსა და ქართველებს, რომლებსაც ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა გაზიარებული ქვეყნის იდენტობა და ისტორია, ელიტამ მაინც შეძლო მასზე ზემოქმედება, ნაციონალისტური იდენტობის გამოყენებით მასობრივი განწყობის მანიპულირება.

3.2.3. ელიტების მიერ მართული ძალადობა სამხრეთ ოსეთში

წყაროებიდან ირკვევა, რომ პირველად ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ცარისტული რუსეთის არსებობის პერიოდში დამკვიდრდა. კერძოდ, 1830 წელს გამოცემულ ერთ-ერთი გაზეთი დღევანდელი ჯავის რაიონის ტერიტორიას მოიხსენიებს „სამხრეთ ოსეთად“. სახელი - სამხრეთ ოსეთი ცარისტული რუსეთის დარქმეულია საქართველოს ტერიტორიის ნაწილისთვის. ეს, როგორც ჩანს, თავიდანვე შორს გამიზნული ქმედება გახლდათ, ანუ ქართველების ისტორიულ ტერიტორიაზე რუსებს სურდათ შეექმნათ მათთვის საიმედო საყრდენი.

საინფორმაციო პროპაგანდა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში - ეს იყო ანტიქართული კამპანია, რომელმაც მას შემდეგ იფეთქა რაც საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რასაც კრემლმა დაუპირისპირა სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რომ არა რუსეთის მხრიდან მხარდაჭერა სეპარატიზმი ესეთი აქტიური არ იქნებოდა, არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში. მაგრამ კონფლიქტის ესკალაციაში დიდი როლი შეასრულა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებულმა პრობლემებმა, კერძოდ, ქართული მხარის შეცდომებმა, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური კლასის განვითარების დაბალი დონით. კრიტიკულ სიტუაციებში პოლიტიკური კრიზისების მართვის არცოდნამ ქვეყანა მიიყვანა ეთნიკურ და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებამდე. (ალბოროვა, 2016, გვ. 7)

დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს შორის პირველად მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, ბოლშევიკური რუსეთის ხელშეწყობით და წაქეზებით. მაშინ რუსეთი პირველად შეეცადა ოსები საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებინა. 1920 წლის 23 მარტს, რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი მისი ერთ-ერთი ლიდერის, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ვლადიკავკაზში საგანგებოდ შეიკრიბა. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასამხობად დღევანდელი ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ბოლშევიკური აჯანყება უნდა დაწყებულიყო.

ოსმა კომუნისტებმა ცხინვალში და სამაჩაბლოში ანარქიის აღკვეთისთვის მთავრობის ბრძოლა მონათლეს ოსური მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ანტიეროვნულ აქციად და ბოლშევიკური ცენტრიდან წაქეზებით დაიწყეს ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის საქართველოდან გამოცალკევებისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების პროპაგანდა. (სურგულაძე, 1992, გვ. 210) საბოლოოდ, 1921 წელს, საქართველოს რესპუბლიკა დაემხო. „სამხრეთ ოსეთს“ მიენიჭა ავტონომია, მის დედაქალაქად კი ცხინვალი გამოცხადდა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველ და ოს ხალხს შორის შეტაკება აღარ მომხდარა. საბჭოთა პერიოდში ეთნიკური ოსები და ეთნიკური ქართველები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ და არანაირი კონფლიქტი მათ შორის არ ყოფილა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შერეული ქორწინებისა იყო ქართველებსა და ოსებს შორის. კონფლიქტის გაღვივება მოხდა ცხინვალის სეპარატისტული, დე ფაქტო ხელისუფლების ელიტების მიერ. სამხედრო დახმარება მოდიოდა რუსეთისგან. ასევე, ქართული მხრიდან ბევრი არასწორი ნაბიჯი გადაიდგა, ზვიად გამსახურდიას განცხადებები, იმასთან დაკავშირებით, რომ ოსები და აფხაზები არიან „სტუმრები“ და საქართველო არის ქართველებისთვის.

1990 წლის ზაფხულში, საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული საარჩევნო კანონის მიხედვით, რეგიონალურ პარტიებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება აეკრძალათ. სეპარატისტებმა ეს ნაბიჯი აღიქვეს, როგორც „ადამონ ნიხასის“ წინააღმდეგ მიმართული ქმედება და იმავე წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთი საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ეს დადგენილება საქართველოს უზენაესმა საბჭომ მეორე დღესვე გაუქმებულად გამოაცხადა. 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებს, ოსურმა მხარემ ბოიკოტი გამოუცხადა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩაატარეს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო არაერთი გაფრთხილება, რათა აღკვეთილიყო უკანონო ქმედებები. ამ არჩევნების ჩატარებით, ოსურმა მხარემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის წინაშე დააყენა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ გააუქმა. საქართველოს რესპუბლიკის და სსრკ-ის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს

რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, შეეძლო საკუთარ ტერიტორიაზე ტერიტორიული უზენაესობა. მიუხედავად კანონიერებისა, ამ გადაწყვეტილებას ოსური მხარე უარყოფითად შეხვდა.

ოსი მკვლევარის ალბოროვას თქმით, ჯერ კიდევ 80-90-იან წლებში როდესაც ოსი ხალხის განადგურების საფრთხე გაჩნდა, შეიქმნა ადამიანების თვითორგანიზებული ჯგუფები, თავიანთი „სამშობლოს“ დასაცავად, რომელიც გადაიქცა გასამხედროებულ ჯგუფებად და ჰქონდათ დიდი გავლენა მასაზე. (ალბოროვა, 2016, გვ.9)

ქართულ ნაციონალისტურ დისკურსს, თავის მხრივ, ოსური და აფხაზური ნაციონალისტური დისკურსები დაუპირისპირდა. აფხაზი და ოსი ლიდერების გამოსვლებში მრავლად იყო ისეთი გამონათქვამები, როგორცაა: „ჩვენ წინააღმდეგ მომართული მტერი“, „ქართული იმპერიალიზმი“, „ქართული ფაშიზმი“, „ჩვენიერისგადარჩენა“, „დამოუკიდებლობა, როგორცეთნოსისგადარჩენისგარანტია“ და ა. შ.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი უნდა მივიჩნიოთ, როგორც ელიტების მიერ მართული ძალადობა, რადგან ელიტებმა მოახერხეს მასის მობილიზება, იმ სლოგანების გაგზავნით, რასაც მასა იზიარებდა. ისევე, როგორც აფხაზეთის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტიც ელიტებიდან მომდინარეობდა, თუმცა აფხაზეთში, მასაში უფრო მეტი ნეგატიური განწყობა იყო ქართველების მიმართ, ვიდრე ცხინვალის რეგიონში, სადაც შერეული ოჯახები წილი დიდი იყო, აფხაზეთთან შედარებით.

3.3. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა

3.3.1. სტრუქტურული და კულტურული ასპექტები

უსაფრთხოების დილემის კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობების ნეო-რეალისტურ თეორიაში გამოიყენება და ხაზს უსვამს იმ ანარქიულ გარემოს, რომელშიც სახელმწიფო არსებობს. გარემოში, სადაც თითოეული სახელმწიფო

პასუხისმგებელია საკუთარი უსაფრთხოების დაცვაზე სხვა პოტენციურად აგრესიული სახელმწიფოებისგან, ისე, რომ მან დაიცვას თავი სამხედრო შესაძლებლობების გაზრდის გზით. მაგრამ სამხედრო ძლიერების გაზრდით სახელმწიფოს აგრეთვე შეუძლია საფრთხე შეუქმნას სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც, თავის მხრივ, ზრდიან შეიარაღებას და ამით ამცირებენ პირველი სახელმწიფოს უსაფრთხოებას. (Posen, 1993, 28) სიტუაცია დილემაა იმის გამო, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოება, მაგრამ ეს მცდელობა შეიძლება მათთვის ნაკლებად უსაფრთხოდ იქცეს, რადგან სახელმწიფოები, რომლებიც ზრდიან თავდაცვით შესაძლებლობებს, სხვა სახელმწიფოებმა საკუთარი სამხედრო ძალის გაძლიერებით პასუხობენ. ასევე, როდესაც სამხედრო სტრატეგია და გეოგრაფია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, პირველმა განახორციელოს შეტევა, თავდასხმას აქვს უპირატესობა. სახელმწიფოები შეიძლება იძულებულნი გახდნენ პირველმა განახორციელონ თავდასხმა, რადგან თუ ისინი არ გამოიჩინენ ინიციატივას, ეს შეიძლება სხვა სახელმწიფომ გააკეთოს.

როგორც უკვე აღინიშნა, კონცეფცია - "უსაფრთხოების დილემის" საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის - ნეორეალიზმის სკოლიდან იღებს სათავეს. ნეორეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა ხდება ქვეყნებს შორის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი. ჯონ ჰერზი იყო პირველი, რომელმაც გამოიყენა ტერმინი "უსაფრთხოების დილემა", 1951 წელს დაწერილ ნაშრომში - "პოლიტიკური რეალიზმი და პოლიტიკური იდეალიზმი". უსაფრთხოების დილემის არსებითი კონცეფცია არის ისეთი სიტუაცია, სადაც ერთი სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების გაზრდა, თავის მხრივ, სხვა სახელმწიფოებისთვის საფრთხის შემცველია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ შიდა სახელმწიფოებრივი ეთნიკური კონფლიქტები გაძლიერდა. ბარი პოზენი იყო პირველი, რომელმაც გამოიყენა უსაფრთხოების დილემის კონცეფცია შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის კვლევაში, ნაშრომში - „უსაფრთხოების დილემა და ეთნიკური კონფლიქტი“. ეთნიკურ კონფლიქტში, ანარქიული სტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უსაფრთხოების დილემის შესაქმნელად და როდესაც დამოუკიდებელი ჯგუფები

ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, საფრთხის შესაფასებლად ისინი იყენებენ ისტორიას, როგორც ინსტრუმენტს. პოზენი ამტკიცებს, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, უსაფრთხოების დილემის შექმნის პირობებია: თავდაცვის და თავდასხმის განურჩევლობა; თავდასხმის უპირატესობა თავდაცვაზე; ამ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკურ კონფლიქტში უსაფრთხოების დილემის წარმოსაქმნელად. პოზენის მტკიცებით, ცენტრალური სახელმწიფოს განზრახვები ჯგუფთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია. პოზენის მიდგომა უსაფრთხოების დილემის შიდასახელმწიფოებრივი დონეზე გამოყენება, ძალიან სასარგებლოა საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში.

ნაშრომის ეს ნაწილი მიზნად ისახავს განსაზღვროს და ცხადყოს, თუ როგორ გამოიყენება უსაფრთხოების დილემა ეთნიკური ჯგუფების დამაბულობის მიზეზების და იმ პროცესის ასახსნელად, რომლის გამოც შესაძლოა დამაბულობა ძალადობაში გადაიზარდოს.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია დამატებით 15 მრავალეთნიკური სახელმწიფოს შექმნა, სადაც ახლად დომინანტური ჯგუფები ცდილობენ თავიანთი ძალაუფლების კონსოლიდაციას. ეთნიკურ ჯგუფებს შორის დამაბულობა ძალადობაში გადაიზარდა რამდენიმე ამ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მათ შორის აზერბაიჯანსა, სომხეთსა დასაქართველოში.

უსაფრთხოების დილემა ეფექტური კონცეფციაა, როდესაც საქმე ეხება ეთნიკურ კონფლიქტს, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა რეგიონში. როდესაც ძველი ავტორიტარული სისტემა ჩამოიშლება, ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლებას მიმართავდნენ თავდაცვისთვის, მოულოდნელად აღმოჩნდებიან ისეთ გარემოში, რომელიც ჰგავს საერთაშორისო პოლიტიკის ანარქიულ ბუნებას. ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის განიცდიან ეფექტური ინსტიტუციების ნაკლებობას და მხარს უჭერენ კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თავიანთ თავისუფლებასა და ფიზიკურ უსაფრთხოებას. შესაბამისად, ეთნიკური ჯგუფები პასუხისმგებელნი არიან საკუთარ

უსაფრთხოებაზე და თავის დაცვის მცდელობები შეიძლება ხშირად მიჩნეული იყოს, როგორც სხვა ჯგუფების დაშინება არაინსტიტუციონალიზებულ მრავალეთნიკურ სახელმწიფოებში.

კონკურენტი სახელმწიფოების მსგავსად, ეთნიკურ ჯგუფებს ხშირად ურთულდებათ განსაზღვრონ ძალაუფლების ფარდობითი ბალანსი, სამხედრო ძალა ან ჯგუფებს შორის არსებული საზღვრები. უსაფრთხოების დილემის წარმოქმნის საფრთხე პოსტსაბჭოთა რეგიონში ფართოდ გავრცელებულია, სადაც ახლად დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეთნიკური ჯგუფები, განუვითარებელი ინსტიტუციონალური სტრუქტურებით უმცირესობის დაცვისთვის, შეიძლება იძულებულნი გახდნენ თავად უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება და იმავდროულად საფრთხე შეუქმნან სხვა ჯგუფებს.

უსაფრთხოების დილემის ეს განმარტება გამოყენება ეთნიკური ძალადობის ესკალაციის ახსნის დროს და ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების დილემის სტრუქტურულ ასპექტებზე, როგორცაა შეიარაღებულ ძალები, დემოგრაფია და გეოგრაფია, ხოლო უგულებელყოფს ეთნიკური ჯგუფების კულტურულ ასპექტებს, როგორც არის მშობლიური ენის, ისტორიისა და ჯგუფის იდენტობის შენარჩუნება.

ამრიგად, უსაფრთხოების დილემა შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი გაგებით, პირველი, რომელიც ხაზს უსვამს სტრუქტურულ პირობებს. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემის განვითარების სტრუქტურული პირობებია: დეფაქტო ანარქია, გადაშენების დემოგრაფიული შიში, არალეგიტიმური საზღვრები და ბრძოლის საშუალებების ხელმისაწვდომობა; და მეორე, რომელიც განიხილავს როგორც სტრუქტურულ, ისე კულტურულ ასპექტებს, როგორც არის ენა, ისტორია და იდენტობა.

უსაფრთხოების დილემის სტრუქტურული ასპექტების ხაზგასმა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით, უგულებელყოფს კონკურენციის ისეთ წყაროს, როგორცაა - კულტურული უსაფრთხოება. უსაფრთხოების დილემის გამოყენებისას კულტურული ასპექტებზე საუბრობს სტიუარტ კაუფმანი.

3.3.2. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა საქართველოში

ეთნიკურ ჯგუფებს შორის ისევე არსებობს უსაფრთხოების დილემა, როგორც არსებობს სახელმწიფოებს შორის.

უნდობლობა, დაძაბულობა და მტრული დამოკიდებულება ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის მე-20 საუკუნის ადრეული პერიოდის ნაწილია, როდესაც 1918 წელს საქართველო დამოუკიდებლად გამოცხადდა, მანამ, სანამ 1921 წელს რუსეთის იმპერია არ დაიპყრობდა. მას შემდეგ, რაც 1917 წელს მეფის ხელისუფლებამ დაკარგა ძალაუფლება, საქართველომ გამოიყენა შესაძლებლობა და თავი დამოუკიდებლად ცნო, 1918 წლის 26 მაისს.

საქართველოსთვის კულტურული უსაფრთხოების დილემა, რამაც გამოიწვია მოსახლეობის პროტესტი, 1978 წელს დადგა დღის წესრიგში; როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სცადა კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღება, რომლის მიხედვით ქართული ენა რესპუბლიკის ერთადერთ ოფიციალურ ენად იყო აღიარებული. ათასობით ქართველმა გააპროტესტა ეს ფაქტი და საბოლოოდ საქართველომ შეინარჩუნა თავდაპირველი მუხლი, ქართული ენის შესახებ. რუსიფიკაციის წინააღმდეგ ქართული ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში ქართული ინტელიგენციის, სტუდენტების და ნაციონალისტური მოძრაობების მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა.

„საქართველოს სახელმწიფო ერთდროულად ძალიან ახალგაზრდაცაა და ძალიან ხანდაზმულიც“. (ნოდია, 2006, გვ.9) 1918-21წლებში, საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობამ იმის რწმენა დაამკვიდრა, რომ ერთადერთი მისაღები პოლიტიკური მდგომარეობა ქართველებისთვის ქვეყნის დამოუკიდებლობაა.

საქართველოში ახალმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო აღმოცენება, მას შემდეგ, რაც დაიწყო საბჭოთა კავშირის დასუსტების და ნგრევის პროცესი. „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პერიოდში იწყება ახალი საქართველოს ჩამოყალიბების პროცესი. რეფორმები, რომელსაც მიხაილ გორბაჩოვი ატარებდა ქართველებმა გამოიყენეს საიმისოდ, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩამოეყალიბებინათ, რომლის საბოლოო მიზანი

საქართველოს საჭოთა კავშირისგან გამოყოფა იქნებოდა. სსრკ-ს თითქმის ყველა რესპუბლიკაში, პერესტროიკის პირველსავე წლებში აღინიშნებოდა ნაციონალისტური განწყობების ზრდა. ნაციონალისტური და სეპარატისტული განწყობის ფონზე საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოიშვა ეროვნული მოძრაობები, რომელთა მიზანს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა.

„გამსახურდიას მმართველობა ბევრი ახალი და უმწიფარი დემოკრატიის პარადოქსს განასახიერებდა“. (ნოდია, 2006, გვ. 11) ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ერთმანეთს მტრებად აღიქვამდნენ და არა კონკურენტებად, ვერ შეძლეს თამაშის ელემენტარულ წესებზე შეთანხმება. გამსახურდიას მოსახლეობის ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ძალიან მალე, ის ავტორიტარიზმში დაადანაშაულეს. გამსახურდია ოპოზიციას სახელმწიფოს მტრად აცხადებდა; მედია განიცდიდა ძლიერ ზეწოლას;

ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, როგორ უნდა გადაეწყვიტა ავტონომიის პრობლემები და უმცირესობის ნებისმიერი მოთხოვნის უკან იმპერიის შეთქმულებას ხედავდნენ და მათთან დიალოგის წარმოების მცდელობა ნაკლები იყო. რადიკალიზმი და კომპრომისის მიუღებლობა ისევე ახასიათებდა აფხაზ და ოს ნაციონალისტებს, როგორც მათ ქართველ კოლეგებს. ზვიად გამსახურდიას გამოკვეთილმა ეთნიკურმა ნაციონალისტობამ დიდწილად შეუწყო ხელი კონფლიქტის გაძლიერებას. გამსახურდია ეთნიკური უმცირესობების დიდ ნაწილს ერის მოღალატეებს უწოდებდა. კონფლიქტი თავდაპირველად სამხრეთ ოსეთში წარმოიშვა. ამ კრიზისიდან გამსახურდიან მიიღო გაკვეთილი, რაც გამოიხატა 1991 წელს, ძალაუფლების განაწილებაზე აფხაზებთან კომპრომისით, მაგრამ გადატრიალების გამო მის ნაბიჯს განხორციელება არ ეწერა. 1991 წლის 22 დეკემბერს ეროვნული გვარდიის აჯანყებულმა ლიდერებმა - თენგიზ კიტოვანმა და სიგუამ პარლამენტის შენობას შეუტიეს. მიმდინარეონდა ორ კვირიანი საომარი მოქმედებები, რასაც ას ადამიანზე მეტის დაღუპვა მოჰყვა. გამსახურდიამ თბილისი დატოვა.

ქვეყანაში არეულობა იყო, რაც ანარქიას უახლოვდებოდა. ქვეყანას მართავდნენ კრიმინალები და შეიარაღებული დაჯგუფებები. გამსახურდიას მხარდამჭერებმა

სამეგრელოზე დაამყარეს კონტროლი. ეს იყო კლასიკური „არშემდგარი სახელმწიფო“. (ნოდია, 2006, გვ. 15)

აფხაზებმა პირველად 1978 წელს წამოიწყეს კამპანია შესულიყვნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ეს თხოვნა რუსეთის ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა. კულტურული უსაფრთხოების დილემა ქართველებსა და აფხაზებს შორის წარმოიშვა, როდესაც 1988 წელს, აფხაზებმა ისევ რუსეთის ფედერაციაში შესვლა მოითხოვეს. აფხაზმა კომუსიტებმა წერილი გაუგზავნეს თბილისისა და მოსკოვის ოფიციალურ პირებს, სადაც აცხადებდნენ, რომ ეკონომიკური და კულტურული პროგრამები აფხაზეთის კულტურულ მიზნებს არ შეესაბამებოდა. ისინი ამ წარუმატებლობას ქართველების მტრულ დამოკიდებულებას აბრალებდნენ. ქართველებმა დაადანაშაულეს აფხაზები ქართული ენის გამოყენების შეზღუდვის გამო. იმავე წელს თბილისში დაიწყო გამოსვლები, რომელიც მხარს უჭერდა ქართველთა დამოუკიდებლობას და აპროტესტებდა ქართველების მიმართ დისკრიმინაციას სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების მიერ; აფხაზების მიერ ისტორიული ძეგლების განადგურებას და ქვეყნის ისტორიის დამახინჯებას.

ქართველებსა და აფხაზებს შორის დიდი დაპირისპირება მოხდა, როდესაც ქართულმა მხარემ გადაწყვიტა სოხუმში მდებარე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადაქეციათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად. საბჭოთა კავშირისა და აფხაზების მიერ უარის თქმის მიუხედავად, ქართულმა მხარემ გადაწყვიტა თავისი გეგმის განხორციელება. საბრძოლო შეტაკება გაიმართა ორ ჯგუფს შორის სოხუმში, რამაც გამოიწვია ორკვირიანი რეციდივული ძალადობა, რაც 15 ადამიანის მკვლელობით და 500 ადამიანის დაჭრით დამთავრდა.

როდესაც აფხაზებმა კვლავ მოითხოვეს საქართველოსგან გამოყოფა და სრული ფედერაციული რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება, თბილისში დემონსტრანტების რიცხვმა 200,000 ადამიანს გადააჭარბა. (Cotter, 1999) უსაფრთხოების დილემა წარმოიქმნა, როდესაც აფხაზების ძალისხმევამ - გაეხადა საკუთარი თავი უფრო უსაფრთხო, ქართველები ნაკლებად უსაფრთხოდ წარმოაჩინა. დამაბულობა გამწვავდა, რადგან აფხაზები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი უსაფრთხოების შენარჩუნებას, ისეთ ზომებს იღებდნენ, რომელსაც შეეძლო ძირი გამოეთხარა

ქართველების უსაფრთხოებისთვის. ასეთ დროს შეიძლება განვითარდეს შიშსა და უნდობლობაზე აგებული სახიფათო „ეთნიკური კონკურენცია“ და ორივე მხარეს უფრო და უფრო უბიძგოს ძალადობრივი კონფლიქტისაკენ.

ამ პერიოდში გავრცელდა ხმები აფხაზების მიმართ ოსების თანაგრძნობის შესახებ. როგორც მედია იუწყებოდა, ოსები გამოდიოდნენ ქართველებთან წინააღმდეგ ბრძოლაში აფხაზების დასახმარებლად. სამხრეთ ოსეთის სახალხო ფრონტის ლიდერმა დაწერა წერილი, რომელიც აფხაზეთის გაზეთში მოხვდა, შემდეგი შინაარსით, რომ ოსები გულშემატკივრობენ აფხაზების ძალისხმევას ავტონომიის მოპოვებისთვის და იმედოვნებენ, რომ მათი წარმატება შექმნიდა პრეცედენტს სხვა რეგიონებისთვის, რომლებიც ასევე მოისურვებდნენ რუსულ რესპუბლიკაში გაწევრიანებას (Cotter, 1999).

1980-იანი წლების დასასრულს, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ლიდერებმა კიდევ ერთხელ ოფიციალურად გააჟღერეს ჩრდილო ოსეთთან შეერთების სურვილი. 1988 წელს დაარსდა ოსური ეროვნული მოძრაობა „ადამონ ნიხასი“. 1989 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ უარყო სამხრეთ ოსეთის რეგიონული საბჭოს მოითხოვნა, შეეცვალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი ავტონომიურ რესპუბლიკის სტატუსით საქართველოს ფარგლებში.

1989 წლის 23 ნოემბერს, ზვიად გამსახურდიამ 20.000 კაციანი აქცია მოაწყო ცხინვალისკენ. აქციის მიზანი იყო „ქართველი მოსახლეობის დაცვა“ სამხრეთ ოსეთში. აქციის დროს ადგილი ჰქონდა მცირე დაპირისპირებას ოს და ქართველ დემონსტრანტებს შორის. (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, 2009, გვ.91).

26 მაისს ცხინვალში, ქართველების ჯგუფს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას ზეიმობდა, თავს დაესხნენ ოსები, რომლებმაც მათი ქართული დროშები გაანადგურეს (Cotter, 1999).

1989 წლის აგვისტოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცებას - „სახელმწიფო პროგრამა ქართული ენის განვითარებისთვის“, ცხინვალში შეტაკება მოჰყვა. გეგმა მოითხოვდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული ენის ფართო გამოყენებას, განსაკუთრებით კვლევისა და განათლების

სფეროში, ამ მოძრაობას ადამონ ნიხასი უწოდებდა „ანტიდემოკრატიულს და დისკრიმინაციულს“, რადგან ოსების დიდმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა. სამხრეთ ოსეთმა შეიმუშავა საკუთარი ენის განვითარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სამი სახელმწიფო ენის გამოცხადებას - ოსური, რუსული და ქართული. ნაციონალისტური გაფიცვები და აქციები ადამონ ნიხასის ხელმძღვანელობით გაძლიერდა. ეს იყო კულტურული უსაფრთხოების დილემის კლასიკური შემთხვევა. მხოლოდ ფიზიკური გადარჩენა არ არის ეთნიკური ჯგუფების ერთადერთი საზრუნავი. არამედ, ასევე ისტორიული ძეგლების შენარჩუნება, მშობლიური ენის გამოყენების გარანტიიდან დამოუკიდებელი ეროვნული რელიგიის შენარჩუნება. ეთნიკური ჯგუფიციდილობს საკუთარი ინდივიდუალური ხასიათის შენარჩუნებას, რათა დაიცვან თავიანთი კულტურა, რომელსაც ისინი საფრთხის ქვეშ მოიაზრებენ.

კულტურის შენარჩუნების მოთხოვნებმა გამოიწვია კონკურენცია ეთნიკურ ჯგუფებს შორის, როდესაც ოსების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა ქართველების მიერ, რომლებიც თავიანთი კულტურის უსაფრთხოებით იყვნენ დაინტერესებულნი.

საქართველოს უზენაესმა საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო საარჩევნო კანონი, რომელშიც ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება იყო იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც "მხარს უჭერენ ძალადობას, ეთნიკურ სიძულვილს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას" აკრძალათ მონაწილეობის მიღება. (Cotter, 1999) ამგვარად, კანონის საფუძველზე საარჩევნო ბიულეტენებიდან ამოღებულ იქნა „აფხაზეთის სახალხო ფრონტი“ და „ადამონ ნიხასი“, რადგან ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოსგან გამოყოფას. „ადამონ ნიხასმა“ ეს გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია და საპასუხოდ 1990 წლის 20 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთი ცხადდებოდა სუვერენულ საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადეს აფხაზებმა და ოსებმა, გაიმარჯვა გამსახურდიას მრგვალმა მაგიდამ/თავისუფალი საქართველოს კოალიციამ ხმების 54 პროცენტით, კომუნისტური პარტია მეორე

ადილზე იყო ხმების 30 პროცენტით. იმავე წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. კონსტიტუციურ პოლიტიკად გარდაიქმნა ზვიად გამსახურდიას გამოსვლები, რომელშიც ის ოსებს უმადურ სტუმრებად მოიხსენიებდა. ამ პერიოდში ქართული და ოსური შეიარაღებული ფორმირებები სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ახორციელებდნენ ძალადობას და სისასტიკეს.

ჯგუფებს შორის უსაფრთხოების დილემა წარმოიქმნა, როდესაც კომუნისტები დამარცხდნენ, რაც უმცირესობების მიერ აღქმული იქნა, როგორც საფრთხე, რადგან ვეღარ შეძლებდნენ თავიანთი ინტერესების დაცვას. ამან გამოიწვია დე-ფაქტო ანარქიის გაღრმავება უმცირესობის რეგიონებში, რომელიც წარმოიშვა 1989 წლიდან.

საქართველო საბოლოოდ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტია იქნებოდა არჩეული, რადგან ყველა პარტია პრო-დამოუკიდებლობის პლატფორმას ახორციელებდა. გამსახურდიამ გამოააშკარავა თავის ნაციონალისტურ რიტორიკაში, რომ ის არ ზრუნავდა უმცირესობათა უფლებების დაცვაზე. ამის ნაცვლად, ის გეგმავდა უმცირესობათა რეგიონების „გაქართულებას“, იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა. გამსახურდიამ დაუყოვნებლივ დაიწყო თავისი ძალაუფლების კონსოლიდაცია სატელევიზიო და რადიოსადგურებსა და ყოფილ კომუნისტურ გაზეთებზე კონტროლის დამყარებით, შექმნა ქართული ეროვნული გვარდია თენგიზ კიტოვანის მეთაურობით.

ოსებსა და ქართველებს შორის უთანხმოების ნაპერწკალი ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდა 1990 წლი 11 დეკემბერს. გამარჯვების შემდეგ რამდენიმე კვირაში გამსახურდიამ და საქართველოს უზენაესმა საბჭოთა ხელისუფლებამ ხმა მისცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსის გაუქმებას საქართველოს ფარგლებში. უსაფრთხოების დილემის გადმოსახედიდან, მისი ეს ქმედება შეიძლება გამართლებულ იყოს იმის საფუძველზე, რომ სამხრეთ ოსეთმა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების მისწრაფებით საფრთხე შეუქმნა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობისკენ სწრაფვას. საქართველომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა სამხრეთ ოსეთში, რადგან შეიარაღებული შეტაკებები მოხდა ორ ჯგუფს

შორის. გორბაჩოვის საპრეზიდენტო განკარგულებით საქართველოს ქმედება არაკონსტიტუციურად გამოცხადდა. გამსახურდიამ არაერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოელები სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მოძრაობის პროვოცირებას ახდენდნენ, როგორც საქართველოზე კონტროლის აღდგენის ერთ-ერთი გზა. 1991 წლის მარტში გამსახურდიამ პირობა დადო, რომ "ვერცერთი ამბიციური პოლიტიკოსი ან მოხელე ვერ მიაღწევდა წარმატებას, რომელიც საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან მოსახლეობას აჯანყებისკენ მოუწოდებდა ნაციონალური ერთიანობის წინააღმდეგ". (Cotter, 1993)

სამხრეთ ოსეთში არსებული არეულობის მიუხედავად, გამსახურდიამ 1991 წელს საქართველოს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობისკენ გაუხსნა გზა. მან აუკრძალა ქართველებს საბჭოთა კავშირის ყველანაირ რეფერენდუმებში მონაწილეობის მიღება, ამის ნაცვლად 31 მარტს მან ჩაატარა რეფერენდუმი. (1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის აღსადგენად). მართლაც შთამბეჭდავი იყო, რომ 98,93%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. ათი დღის შემდეგ, თბილისის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მეორე წლისთავზე საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 26 მაისს გამსახურდია ახალი რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ხმების 86.5% -ით. მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია ხალხის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, 1991 წლის აგვისტოს დაიწყო მისი შეზღუდვები ოპოზიციაზე, იმისათვის, რომ მოემორებინა საქართველოში მყოფი რამდენიმე ხელისუფალი პირი.

დეკემბრისთვის გამსახურდია ალყაში მოაქციეს პარლამენტის შენობაში და საბოლოოდ იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო 1992 წელს. საქართველოს სამხედრო საბჭომ, რომელსაც მართავდა კიტოვანი და იოსელიანი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და განაცხადა, რომ ისინი აიღებდნენ პასუხისმგებლობას, სანამ არჩევნები გაიმართებოდა. ედუარდ შევარდნაძემ 1992 წლის მარტში დაბრუნდა და ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფო საბჭოს კონტროლი დაეკისრა. შევარდნაძემ მიაღწია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ოსებთან. ივლისის შუა რიცხვებისთვის, სამშვიდობო ძალა, რომელიც შედგებოდა 500 რუსისგან, 350

ქართველისგან და ოსური ჯარის კონტიგენტისგან, განთავსდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე. შევარდნაძემ დაასრულა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი, მაგრამ მაინც წააწყდა ეკონომიკური გაუარესების პრობლემას, შიდა საბოტაჟს გამსახურდიას მომხრეების მხრიდან და აფხაზი სეპარატიზმის პრობლემას.

გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლისა და ჩამოგდების განმავლობაშიც, სიტუაცია აფხაზეთში სამხრეთ ოსეთთან შედარებით მშვიდი იყო, მაგრამ ურთიერთობები ორ ჯგუფს შორის მტრულ ხასიათს იღებდა, რადგან საქართველო სამოქალაქო ომის ზღვარზე იყო მისული. მაგალითად, გამსახურდიას გაღიზიანება გამოიწვია, როდესაც 1991 წლის მარტში აფხაზეთმა მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის რეფერენდუმში და ხმათა უმრავლესობით (98.4%) მხარი დაუჭირეს კავშირის შენარჩუნებას. ორ ჯგუფს შორის ანტაგონიზმის არსებობის მიუხედავად, მათ შეთანხმებას მიაღწიეს აფხაზეთის უზენაეს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. დეპუტატები გაყვეს ეთნიკური ჯგუფის მიხედვით: აფხაზები 28, ქართველები 26 და „სხვები“ 11. აფხაზეთის უზენაესმა საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა 1992 წლის იანვარში და ცოტა ხნის შემდეგ ქართველმა წევრებმა აფხაზეთის მიერ შეთანხმების დარღვევების შესახებ განაცხადეს. თვის ბოლოს აფხაზეთის უზენაესი საბჭო საქართველოსგან გამოყოფის საკითხს განიხილავდა.

დაძაბულობა ორ ჯგუფს შორის სწრაფად გადაიზარდა ბრძოლაში, რასაც 23 ივლისს მოჰყვა აფხაზების საქართველოსგან დამოუკიდებლობის კიდევ ერთი დეკლარაცია აფხაზეთის უზენაესი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. 14 აგვისტოს ქართველმა ჯარისკაცებმა აფხაზეთის პარლამენტის შენობას დაიკავეს. არძინბა გაიქცა ქალაქ გუდაუთაში, სადაც ის აფხაზეთის ძალებს ჩაუდგა სათავეში საქართველოს სახელმწიფო საბჭოსთან საბრძოლველად. რუსული სამხედრო შენაერთების რეაქტიული ძალები აქტიურად უჭერდნენ მხარს აფხაზ სეპარატისტებს.

რუსული ძალები დეკემბრის თვეში აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერას აძლიერებდნენ, როდესაც ქართულმა ძალებმა რუსული ვერტმფრენი ჩამოაგდეს, რომელიც ლტოლვილების ევაკუაციას ახორციელებდა. ბრძოლა გაგრძელდა 1993

წლამდე. შევარდნაძემ საბოლოოდ შეძლო მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე რუსების შუამდგომლობით. 1993 წლის ივლისის ბოლოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ხელი მოეწერა. სექტემბრის შუა რიცხვებში აფხაზებმა დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და დაიწყო საბოლოო შეტევა სოხუმის დაბრუნებისთვის, რომლებიც მთის ხალხთა კონფედერაციისა და რუსი ჯარების დახმარებით მოქმედებდნენ. თავდასხმის დაწყებიდან თორმეტი დღის შემდეგ ქართული ძალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მძიმე პოლიტიკური კრიზისისა და შიდა დაპირისპირების გამო, შევარდნაძე ცალმხრივად დასთანხმდა დსთ-ს წევრობას და რუსეთის ჯარების განთავსებას საქართველოში. რუსეთის მხარდაჭერით, ნოემბრის თვეში გამსახურდიას მომხრე ძალები დაამარცხეს. გაეროს ძალისხმევით გაფორმდა შეთანხმების მემორანდუმი, რომელსაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი ჟენევაში 1993 წლის 1 დეკემბერს.

შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა საქართველოს ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების ასახსნელად შესაფერისი კონცეფციაა. საბჭოთა იმპერიის შეთანხმებები არც ერთ ჯგუფს არ აკმაყოფილებდა და საბოლოოდ გაძლიერდა კულტურული დაღმასვლის შიში. ეთნიკური უმცირესობების რეგიონებს ჰქონდათ ავტონომია, მაგრამ საქართველოს ინსტიტუციონალური და კულტურული ჰეგემონიის პირობებში, გამძაფრდა მათი კულტურული დაღმასვლის და განსაკუთრებით, აფხაზეთის დემოგრაფიული განადგურების შიში.

ქართველებმა ეს რეგიონები საბჭოთა პოლიტიკის არალეგიტიმურ აღმოჩენად მიიჩნიეს, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დაყოფასა და უმცირესობასთან "რუსიფიცირებას". დაუცველმა ქართულმა ჰეგემონიამ ქართული ნაციონალიზმის გაძლიერებით, საბოლოო წერტილამდე ექსტრემალური ფორმით მიაღწია. კონფლიქტის მონაწილე ვერც ერთმა მხარემ ვერ გათვალა, რომ მათი ქმედებები აღქმული იქნებოდა, როგორც სხვებისკენ მიმართული საფრთხე. ამ პირობებში, ნებისმიერი თავდაცვითი ქმედება, რომელსაც ერთი ჯგუფი მიმართავს, სხვა ჯგუფებს უმძაფრებს შიშს; რომ მათი უსაფრთხოება საფრთხეშია. მაგალითად, ქართველები ოსებს ადანაშაულებდნენ, რადგან ოსები მიზნად ისახავდნენ ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანებას, მაგრამ

ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, რომ ქართული ენის პროგრამა არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა ოსებს, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას.

ოსურ მხარე თვლიდა, რომ საქართველოშიც ყალიბდებოდა ქართული რადიკალური ნაციონალიზმი, რომელიც ებრძოდა ეროვნულ უმცირესობებს და საკუთარ ავტონომიებს. გასმოდა შეძახილები ქართველი ერის პრიორიტეტულობაზე. (ალბოროვა, 2016, გვ.8) 1988 წლის ნოემბერში, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ქართული ენის განვითარების პროგრამის პროექტი, რომლის მიხედვით საქმის წარმოებიდან უნდა ამოეღოთ რუსული ენა და ყველა დაწესებულებას ქართულ ენაზე უნდა დაეწყო ფუნქციონირება, რაც ოსებისთვის ნიშნავდა წერა-კითხვის უცოდინრობის დაბრუნებას; ასევე, ოსების ის ნაწილი, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას, ვერ შეძლებდნენ კარიერულ წინსვლას, მაღალი თანამდებობების დაკავებას.

უსაფრთხოების დილემის კულტურული კონკურენცია, სადაც ერთი ჯგუფის ქმედებები, რომლებიც იცავს თავიანთ კულტურას და მემკვიდრეობას, ამცირებს სხვა ჯგუფების კულტურულ უსაფრთხოებას. აფხაზების შემთხვევაში, აფხაზური კულტურის აღორძინების მოთხოვნები აბსოლუტურად აუცილებელი იყო მათი პერსპექტივებიდან გამომდინარე, მაგრამ საფრთხეს უქმნიდა იმ ქართულ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ქართველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არაქართული კულტურების აღორძინება აბსოლუტურად შეუსაბამო იყო და საბოლოოდ საფრთხეს უქმნიდა ქართველებს, რომლებიც ასევე იბრძოდნენ ისტორიული მემკვიდრეობისა და ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენისთვის. შიდა ეთნიკური კულტურული უსაფრთხოების დილემა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტში შედარებით ნაკლებად წარმოიქმნა, ვიდრე ქართულ-ოსური კონფლიქტში, რადგან კულტურულ კონკურენციას ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის უფრო დიდი ისტორია აქვს.

ორივე შემთხვევაში, როგორც კი საქართველო უფრო და უფრო უახლოვდებოდა დამოუკიდებლობას 1980-იანი წლების მიწურულს და 1990-იანი წლების დასაწყისში, კულტურული კონკურენცია დამატებით მნიშვნელობას იძენდა უსაფრთხოების მაჩვენებელში. ქართული ნაციონალისტური ლიდერების, განსაკუთრებით

გამსახურდიას ექსტრემისტულმა რიტორიკამ, რომელიც გახდა საქართველოს პირველი პოსტ-საბჭოთა ეპოქის პრეზიდენტი, აფხაზებს და ოსებს გაუჩინა საფრთხის განცდა, რომ მათ კულტურულ უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრებოდა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით, აქედან გამომდინარე ოსები და აფხაზები ხმას აძლევენ სსრკ-ს შენარჩუნებას და ცდილობენ რუსეთის ფედერაციაში შესვლას. უმცირესობათა მოთხოვნები კი, შეენარჩუნებინათ საკუთარი ავტონომია, აღიქმებოდა, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხე.

ზოგადად, შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა, რომელიც სტრუქტურულ და კულტურულ საფრთხეებს ეხება, უკეთ ხსნის ეთნიკური კონფლიქტებს, ვიდრე მხოლოდ სტრუქტურული მიდგომა. შიდა-ეთნიკური უსაფრთხოების დილემა ამტკიცებს, რომ გამოყოფილ ხალხს ისევე ემინია კულტურული დაღმასვლით გამოწვეული განადგურების, როგორც სამხედრო იარაღისგან განადგურების. შესაბამისად, უსაფრთხოების დილემის მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების ხაზგასმამ ხშირად შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ ახსნას დაძაბულობის ესკალაცია.

3.3.3. შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა მთიან ყარაბაღში

როგორ შეგვიძლია ავხსნათ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი? რომელი თეორია უფრო შესაფერისია ამ კონფლიქტის ასახსნელად? კაუფმანი ამბობს, რომ შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა ხსნის ამ კონფლიქტს.

ცივი ომის დასრულებას თან ახლდა ნაციონალისტური, ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობა. იმპერიული რეჟიმების დაშლა შეიძლება დანახულ იქნეს, როგორც „განვითარებადი ანარქია“. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო სკოლა - ნეორეალიზმი ყურადღებას სწორედ ანარქიის შედეგებზე - ამახვილებს. (Posen, 2008, p.28).

განვითარებადი ანარქია იმპერიული რეჟიმების დაშლის თანმდევი პროცესია. საბჭოთა კავშირის, როგორც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ და

მოგვიანებით დაშლამ, ისევე როგორც დანარჩენ პოსტსაბჭოთა სივრცეში, კავკასიის რეგიონშიც ახალი რეალობა შექმნა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში სიტუაცია დაიძაბა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ფართომასშტაბიანი ომი ორ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს - სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. თავდაპირველად, შეტაკებებს ჰქონდა ადგილი, რომელიც სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა. 1994 წლის 12 მაისს, რუსეთის შუამავლობით, ომში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, ბიშკეკის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეხრულების ხელმოწერაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლა და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება კონფლიქტის ესკალაციაში გასათვალისწინებელი პროცესებია. (მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა ვერავის წარმოედგინა). ამ პროცესმა გაამწვავა უმცირესობათა ჯგუფის რეაქცია და ასევე უსაფრთხოების დილემა, ამიტომ მნიშვნელოვანია უმცირესობათა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებაც. გაანალიზდება, რა იყო უმცირესობის ჯგუფის სურვილი და მოთხოვნები, როდესაც კონფლიქტი გაძლიერდა.

ნაშრომის ამ ნაწილში არ განვიხილავ ომის პერიოდს. ნაშრომის ეს ნაწილი იკვლევს იმას, არის თუ არა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უსაფრთხოების დილემის შედეგი. ამის გასარკვევად გაანალიზდება კონფლიქტის ესკალაციის მიზეზები და იმ პერიოდში უმცირესობის ჯგუფის მოთხოვნები.

კავკასიაში, რთულ გეოგრაფიულ პირობებში, სადაც პატარა ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით ამომრავებთ გადარჩენის მუდმივი შიში; მათთვის იდენტურობისა და უსაფრთხოების ცნებები თითქმის სინონიმია. ყარაბაღის კონფლიქტი 1988 წელს დაიწყო, თუმცა სათავეს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იღებს. 1923 წელს მთიანი ყარაბაღი შეიქმნა, როგორც, საბჭოთა აზერბაიჯანის ავტონომიური რეგიონი. ამ პერიოდში, რეგიონის 94%-ს სომეხი მოსახლეობა შეადგენდა, ხოლო 1989 წელს - 75%. (waal, 2016) 1988 წელს საბჭოთა კავშირის ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის ლიბერალური პოლიტიკის გატარების პირობებში, ყარაბაღის სომხურმა მოსახლეობამ დაიწყო კამპანია რეგიონის

აზერბაიჯანიდან გამოყოფის და სომხეთთან მიერთებისა. თითოეული მხარე ძალადობაში ჩაერთო შიშის გამო: ყარაბაღელი სომხებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა ის, რომ საკუთარი სამშობლოსგან შეიძლება აზერბაიჯანმა შთანთქოს; აზერბაიჯანელებისთვის კი, ყარაბაღის სომხეთთან მიერთება მათი რესპუბლიკის მთლიანობის საფრთხეს ქმნიდა.

როგორც კი, საბჭოთა კავშირი დაიშალა და ორივე რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა მათი დავა გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში. დაახლოებით 20, 000 ადამიანი დაიღუპა და მილიონზე მეტი დევნილად იქცა. 1994 წელს, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მოეწერა ხელი. სომხებმა არა მხოლოდ მთიან ყარაბაღზე მოიპოვეს კონტროლი, არამედ აზერბაიჯანის მიწებზეც. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), უშედეგოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს დავის მოსაგვარებლად. (waal, 2016)

იმისათვის, რომ უსაფრთხოების დილემა გამოყენებულ იქნას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ასახსნელად, აუცილებელია თეორიის ვარაუდების გადამოწმება. უსაფრთხოების დილემის ერთ-ერთი უმთავრესი ცნება "გაურკვევლობაა". ამიტომ, მნიშვნელოვანია შეფასდეს ცენტრალური სახელმწიფოს განზრახვები. თუ არსებობს ცენტრალური სახელმწიფოს მხრიდან ჯგუფის მიმართ ჩამოყალიბებული, აშკარა განზრახვა, კონფლიქტის მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს აგრესია და არა უსაფრთხოების დილემა. ამიტომ, აუცილებელია გაანალიზდეს კონფლიქტის ესკალაციის მიზეზები.

უსაფრთხოების დილემის საწყისი წერტილი ბარი რ. პოზენის მიხედვით "სუვერენული სახელმწიფოს არარსებობაა". 1987 წელს, როდესაც კონფლიქტის ესკალაცია მოხდა, საბჭოთა კავშირი არსებობდა, როგორც ცენტრალური სახელმწიფო, მაგრამ ძალიან დასუსტებული იყო. ამიტომ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი სახელმწიფო დონეზე ანარქიის შედეგად დაიწყო. 1987 წელს კონფლიქტის გამწვავებისას, მთიანი ყარაბაღის სომეხი მოსახლეობა აზერბაიჯანს დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაში არ ადანაშაულებდა. დემონსტრაციების დროს მათ ლოზუნგებში გამოიხატებოდა სომხეთის სსრ-თან მათი გაერთიანების სურვილი. კონფლიქტის გაანალიზებისას

უსაფრთხოების დილემის ძირითადი ცნებები "გაურკვევლობა" და „განზრახვები“ არ იკვეთება. მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, რომ დემონსტრაციები და მასის მობილიზაცია პირველად დაიწყო სომხეთში და მოგვიანებით აზერბაიჯანში. სომხეთში გამართული დემონსტრაციების მთავარი პოლიტიკურ მოთხოვნა, მთიანი ყარაბაღის სომხეთის სსრ-თან გაერთიანება იყო. ასე რომ, მთიანი ყარაბაღის სომხურ მოსახლეობას, აზერბაიჯანის მიმართ გაურკვეველი პოზიცია არ ჰქონდა.

ამ პერიოდში მთიანი ყარაბაღი "დე ფაქტო" სტატუსით სარგებლობდა, მაგრამ დემონსტრაციები გაგრძელდა, რადგან მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობა უკმაყოფილო იყოს სტატუს ქვოს მდგომარეობით და მათი მთავარი მოთხოვნა სომხეთთან მიერთება იყო.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ასახსნელად, უსაფრთხოების დილემა ნაკლებად შესაფერისი კონცეფციაა, გამომდინარე იქიდან, რომ კონფლიქტის ესკალაცია საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოხდა და ეს არ შეესაბამება უსაფრთხოების დილემის კონცეფციის „ცენტრალური ხელისუფლების არარსებობას“. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტის ესკალაცია მოხდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკის გატარების შედეგად.

მეცნიერთა ნაწილი კი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს განიხილავს, როგორც უსაფრთხოების დილემის შედეგს. ეს არის სიტუაცია, რომელშიც კონფლიქტში მონაწილე ერთი მხარე ცდილობს გაზარდოს უსაფრთხოება მოწინააღმდეგესთან შედარებით; დგავს ნაბიჯებს, რომელსაც მეორე მხარე საფრთხედ აღიქვამს. ამას მოჰყვება დამაბულობის ესკალაცია, რაც ძირს უთხრის ორივე მხარის უსაფრთხოებას. უსაფრთხოების დილემა წარმოიქმნა, როდესაც აზერბაიჯანის მცდელობამ სამხედრო ძალის გამოყენებით დაეცვა სტატუს ქვო და დაებრუნებინა ოკუპირებული ტერიტორიები, სომხებს გაუძლიერა თავისი ტერიტორიის დაცვის და უსაფრთხოების ინტერესები.

ფაქტების განხილვა და ანალიზი ცხადყოფს, რომ უსაფრთხოების დილემა ნაწილობრივ ხსნის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს. კონფლიქტი გაძლიერდა მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობისთვის მიუღებელი პოზიციის გამო, ვიდრე მათი დაუცველობის განცდით. კონფლიქტი ესკალაცია მოხდა სომხეთის უმცირესობათა

ჯგუფების მიერ, რომლებიც მხარს უჭერენ სომხეთის ტერიტორიულ მოთხოვნებს, ვიდრე უსაფრთხოების დილემის შედეგად. მაგრამ, უსაფრთხოების დილემა წარმოიქმნა, როდესაც აზერბაიჯანის მცდელობამ სამხედრო ძალის გამოყენებით დაეცვა სტატუს ქვო და დაებრუნებინა ოკუპირებული ტერიტორიები, სომხებს გაუძლიერა თავისი ტერიტორიის დაცვას და უსაფრთხოების ინტერესები.

ამრიგად, ეთნიკური ომისთვის სამი ფაქტორია საჭირო: მტრული მასები, აგრესიული ელიტები და შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა. პოლიტიკურ არენაზე კონკურენტული ელიტები მობილიზაციას უკეთებენ თავიანთ მიმდევრებს. უკიდურეს ნაციონალიზმს ეთნიკური ჯგუფები მიჰყავს ერთმანეთის ლანძღვისკენ, შიშისა და უნდობლობის მომატებისკენ. ექსტრემიზმი ვითარდება ორივე მხარეს. ჯგუფების გადაშენების შიში იწვევს უკიდურესი ზომების მიღების აუცილებლობას. შედეგი არის შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა, სადაც ერთი ჯგუფის ძალისხმევა, უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება, სხვა ჯგუფებს ნაკლებად უსაფრთხოდ წარმოაჩენს. სამივე ფაქტორი ორმხრივად აძლიერებს მტრობას, რასაც მივყავართ ეთნიკურ ომამდე.

3.4. კონსტრუქტივიზმის ძირითადი დებულებების თავსებადობა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებთან მიმართებაში

კონსტრუქტივიზმი ავსებს და ამყარებს კაუფმანის - ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის ვარაუდებს. კაუფმანის თეორია - შერწყმული კონსტრუქტივიზმთან, ხსნის თუ რა შეიძლება გახდეს შიდა დონეზე ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი.

კონსტრუქტივიზმის ჭრილში მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი გახდა:

1. ისტორიული მეხსიერება.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი თურქეთი კატეგორიულად უარყოფს ისტორიულ ფაქტს სომეხთა გენოციდის შესახებ, გენოციდი აღიარებულია ბევრი

ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. საუბარია ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე 1915-1918 წლებში, რასაც მილიონზე მეტი სომეხის დაღუპვა მოჰყვა. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. აზერბაიჯანელები და თურქეთის ჯარები გვერდიგვერდ იბრძოდნენ სომეხების წინააღმდეგ. ერევანში, სომეხების გენოციდისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსია აღმართული.

ზემოთ ნახსენები ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმის ჭრილში, ისტორიული გამოცდილება გახდა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. სომეხები აზერბაიჯანელებს აღიქვამენ თურქების მონათესავე ხალხად, „ისტორია მნიშვნელოვანი ფაქტორია და ორივე ერისთვის მტკივნეული ისტორიული მოვლენები ფართოდ გამოიყენება ეთნიკური სიძულვილის, ძალადობისა და ტერიტორიებზე პრეტენზიის გასამართლებლად“. (მალაშხია, 2011, გვ. 206) სომეხებმა ისტორიული გარემოებების გამო გამოიმუშავეს „ეთნიკური იმუნიტეტი“. რელიგიური განსხვავებულობის გამო კი ისლამი და თურქულენოვნება იქცა მათთვის „მტრის“ ხატად. სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს საუკუნეების მანძილზე მიმდინარე სომხურ-თურქული დაპირისპირების ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნევს. თითქოს სომეხი ერი უპირისპირდებოდა მტერ „თურქებს“; როგორც ერთ-ერთი დევნილი აცხადებს: „მე მაქვს ძალიან მძიმე განცდები, რომელიც დაკავშირებულია 1915 წლის სომეხების გენოციდთან, როდესაც სომეხები იყვნენ დაუცველები და დაზარალდნენ თურქების მიერ“. (Kuntzsch, p. 15)

კონსტრუქტივიზმის ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ ადამიანები ობიექტების მიმართ იქიდან გამომდინარე მოქმედებენ, თუ რა მნიშვნელობა გააჩნიათ ამ ობიექტებს მათთვის. სოციალური სტრუქტურა სამი ელემენტისგან შედგება: საერთო ცოდნა, მატერიალური რესურსები და პრაქტიკული გამოცდილება. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ისტორიული გამოცდილება და ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრატეგიული პრიორიტეტები დიდ გავლენას ახდენს სტრატეგიულ არჩევანზე.

2. ეთნიკური კუთვნილების პრობლემა.

მთიან ყარაბაღში არსებობდა ყველა წინაპირობა ეთნიკური კონფლიქტის გასაჩაღებლად; სომხები საბჭოთა პერიოდში, ყარაბაღში აზერბაიჯანის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ძალიან სწრაფად, ყარაბაღი გახდა სიმბოლური საკითხი ორივე ჯგუფისთვის, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი სტერეოტიპები : სომხური მხარე პრეტენზიას აცხადებდა ამ ტერიტორიაზე და აზერბაიჯანელებს წარმოაჩენდნენ „სისხლიან მოაზროვნეებად“. (Kaufman, 1996) იყო ეთნიკური კუთვნილების პრობლემა. აზერბაიჯანელები თვლიდნენ, რომ „მთიანი ყარაბაღი იყო იგივე აზერბაიჯანი, მაგრამ ეს ჯერ არ იყო გაცნობიერებული სომხების მიერ“. (Lynch, 2012). ნორმები ეხმარება ადამიანს მიიღოს ის, რაც სურს და მაქსიმალურად გაზარდონ სარგებელი. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში, დამოუკიდებლობის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვა იძლეოდა კონფლიქტის ესკალაციის საფუძველს. ორივე მხარეს განსხვავებული პასუხი ჰქონდათ კითხვაზე, თუ რომელი ქვეყნის ნაწილია მთიანი ყარაბაღი. სომხებს ყარაბაღი მიაჩნდათ თავიანთ მიწად და აზერბაიჯანელებს პირიქით.

აზერბაიჯანული მხარე თვლის, რომ სომხეთი აგრესორია და საერთაშორისო საზოგადოებამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს. სომხური მხარეს კი მიაჩნია, რომ აზერბაიჯანმა უნდა აღიაროს, რომ ომი წააგო და შეეგუოს რეალობას. სომხებს მიაჩნიათ, რომ მთიანი ყარაბაღი არასოდეს ყოფილა და არც არასდროს იქნება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნაწილი.

კონსტრუქტივიზმის ჭრილში, აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებული ეთნიკური განსხვავება ართულებს ურთიერთკომპრომისზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას. სომხები არ ენდობიან თურქულენოვან მუსლიმანებს და ყველას აღიქვამენ „თურქებად“. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, უფრო მეტად ორ ხალხს შორის დაპირისპირებად შეიძლება იქნეს განხილული, ვიდრე ორ მთავრობას შორის დაპირისპირებად. (მალაშხია, 2011).

3. განსხვავებული იდენტობა/კულტურა

კონსტრუქტივიზმის ჭრილში, კონფლიქტის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყო განსხვავებული იდენტობა.

კონსტრუქტივისტების მიხედვით, იდენტობები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ იდენტობები აყალიბებენ ინტერესებს და შემდეგ ქმედებებს. ეთნიკური იდენტურობა, კონფლიქტში უშუალო მონაწილე ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტის ესკალაციაში. კონსტრუქტივიზმი საფრთხის შეფასებას ახდენს ქვეყნებს შორის არსებული იდენტობების გათვალისწინებით. აზერბაიჯანლებს სომხები აღიქვამენ, როგორც თურქების მონათესავე ხალხად და იმ პერიოდში უფრო წინ იყო წამოწეული აზერბაიჯანელებისთვის თურქული იდენტობა. კონსტრუქტივიზმის ჭრილში შეიძლება იმისი თქმა, რომ სომხებს და აზერბაიჯანელებს ჰქონდა ყველანაირი საფუძველი ერთმანეთი საფრთხედ აღიქვათ და საკუთარი ტერიტორიისა და მოსახლეობის დასაცავად ემოქმედათ სამხედრო ჩარევით.

კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპია სოციალური ურთიერთქმედების კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული შემეცნება, რომელიც სწორედ ამ ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება.

მეცნიერები, რომლებიც აქცენტს აკეთებენ კულტურაზე, თვლიან რომ საერთაშორისო და საშინაო გარემოს ნორმები, ინსტიტუციები და სხვა კულტურული მახასიათებლები დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკასა და ინტერესებზე. როგორც სტრატეგიული კულტურის დამცველები აცხადებენ, სხვადასხვა სტრატეგიულ კულტურულ გარემოში სოციალიზირებული ლიდერები ერთი და იგივე გარემოში სხვადასხვა გადაწყვეტილებებს იწყებენ. ასევე განსხვავებული კულტურული ტრადიციების არსებობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე რეალობა სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძენს. კონსტრუქტივიზმი ფოკუსირდება იდეებზე, ნორმებსა და კულტურაზე.

სომხები და აზერბაიჯანელები განსხვავდებიან არა მარტო ეთნიკურად, არამედ არსებობს რელიგიური, კულტურული და ლინგვისტური ბარიერებიც. საუკუნეების მანძილზე სომხებს თავიანთი მონოფიზიტური ქრისტიანობის დაცვა, უპირველესად

მაჰმადიანებისგან უწევდათ. (აზერბაიჯანელების უმრავლესობა შიიტია და თანაც თურქულენოვანი). თურქები და აზერბაიჯანელები ერთმანეთის მონათესავე ხალხებია და სწორედ მათთან არის დაკავშირებული სომეხი ერის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მოვლენები.

კონსტრუქტივიზმის ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ ადამიანები ობიექტების მიმართ იქიდან გამომდინარე მოქმედებენ, თუ რა მნიშვნელობა გააჩნიათ ამ ობიექტებს მათთვის. ამ ორ განსხვავებულ ეთნოსს შორის არსებობდა ისტორიული სიძულვილი, ეთნიკური კუთვნილების პრობლემა, განსხვავებული იდენტობა, რელიგია და კულტურა. შესაბამისად, აზერბაიჯანული და სომხური თემის წარმომადგენლებს შორის დაბალი ინტეგრაცია იყო; დაბალი იყო შერეული ქორწინების მაჩვენებელი. არ არსებობდა საერთო წარმოშობა, გაზიარებული ისტორია, კულტურა და სოლიდარობის განცდა.

კონსტრუქტივიზმის ჭრილში აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდა:

1. ეთნიკური სიმბოლოები - ელიტების როლი

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ელიტები ახერხებენ მასების მობილიზებას, უგზვნიან სლოგანებს, რომელსაც მასა იზიარებს. ელიტები უბიძგებენ მასებს ეთნიკურ საკითხებზე უფრო მწვავე პოზიციების მიღებას. აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტები წამოწყებული იყო ეთნიკური ჯგუფების ლიდერების მიერ, საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის. ელიტამ შეძლო მასზე ზემოქმედება, ნაციონალისტური იდენტობის გამოყენებით. ხალხი არ ჩაერთვება ეთნიკურ ძალადობაში, თუ არ არიან მტრულად განწყობილნი და არ სურთ ზიანის მიყენება სხვა ჯგუფისთვის. ელიტები მობილიზებას უწევენ თავიანთ მომხრეებს ძალადობისთვის, რომ უფრო და უფრო მეტი უკიდურესი მოთხოვნები გააჟღერონ სხვა ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ.

1. მტრული რიტორიკა

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მტრული რიტორიკა შეიძლება გამხდარიყო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი. ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულმა მოძრაობამ აღნიშნული რეგიონების და ეთნიკური უმცირესობების

გაუცხოება გამოიწვია ეთნო-ცენტრისტული ლოზუნგებით. ქართული ნაციონალიზმი იყო საფრთხედ აღქმული ეთნიკური უმცირესობების მიერ. კონსტრუქტივიზმის ჭრილში შეიძლება იმისი თქმა, რომ აფხაზებს და ოსებს ჰქონდათ საფუძველი ქართველები საფრთხედ აღექვა და საკუთარი ტერიტორიისა და მოსახლეობის დასაცავად ემოქმედა მის წინააღმდეგ სამხედრო ჩარევით. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტი შეიძლებოდა თავიდან აცილებული ყოფილიყო, რიტორიკა რომ ყოფილიყო სხვანაირი. ძალადობრივმა შეტაკებებმა დაადასტურა ნაციონალისტური რიტორიკა და დაადგინა ეთნიკური საზღვრები. ანტაგონიზმის ზრდამ ხელსაყრელი პირობები შექმნა კოლექტიური მობილიზაციისთვის, რაც იყო გამოწვეული შიშისა და მტრული ემოციებისგან.

შეიძლება პარალელის გავლება 2008 წლის მოვლენებთან, როდესაც მტრულმა რიტორიკამ ასევე მნიშვნელოვანწილად განაპირობა 2008 წლის აგვისტოს ომი, რის შედეგადაც მოხდა რუსეთის მიერ აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ომის გამომწვევ მიზეზად შეიძლება დასახელდეს რიტორიკა, რომელსაც რუსეთ-საქართველოს შორის ჰქონდა ადგილი. ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალიან იმატა მწვავე და მტრულმა რიტორიკამ ამ ორ სახელმწიფოს შორის. ზოგი მიიჩნევს, რომ რუსეთის პოლიტიკა საქართველოსადმი ხშირად სააკაშვილის მიმართ ვლადიმერ პუტინის პიროვნული ზიზღით იყო ნაკარნახევი. კონსტრუქტივიზმის თანახმად, პიროვნებების როლი გავლენას ახდენს სახელმწიფოების ქცევაზე. ომი შეიძლებოდა თავიდან აცილებული ყოფილიყო, რიტორიკა, რომ ყოფილიყო სხვანაირი.

2. წინასწარ განსაზღვრული აღქმები; უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპები

კონსტრუქტივიზმისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის არსებული სოციალური იდენტობა და აღქმები. აქტორები წინასწარ განსაზღვრული ნორმების და იდენტობების საფუძველზე ურთიერთქმედებენ. რუსების მიერ აფხაზეთში და ოსეთში მიდიოდა სიგნალი რომ მათ ჰქონდათ სხვა იდენტობა. კონსტრუქტივიზმის ჭრილში, კონფლიქტების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყო აღქმა განსხვავებული იდენტობისა. კონსტრუქტივისტების მიხედვით, იდენტობები ძალიან

მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ იდენტობები აყალიბებენ ინტერესებს და შემდეგ ქმედებებს.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, იდეებისა და ფაქტების შეცვლის შემდეგ შეიცვლება სისტემის არსიც, რადგან სისტემას სწორედ იდეები და ფიქრები შეადგენენ. როდესაც ადამიანები დაიწყებენ ახლებურად ფიქრს ერთმანეთის შესახებ, შედეგად ახალი ნორმები შეიქმნება, რომლებიც რადიკალურად განსხვავებული იქნება ძველი ნორმებისა და შეხედულებებისგან.

3. ტერიტორიის კუთვნილების პრობლემა

ასევე, აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში, დამოუკიდებლობის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვა იძლეოდა კონფლიქტის ესკალაციის საფუძველს. ორივე მხარეს განსხვავებული პასუხი ჰქონდათ კითხვაზე, თუ რა არის აფხაზეთი.

აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების შიდა დონეზე ასახსნელად კონსტრუქტივიზმი ნაკლებად შესაფერისად მიმაჩნია გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული თეორიის ძირითადი დებულებები საქართველოს კონფლიქტების დროს განვითარებულ მოვლენებთან შეუსაბამობაში მოდის.

კონსტრუქტივიზმი ხსნის მთიანი ყარაბაღის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ სრულყოფილად ვერ ხსნის აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტებს, რადგან აღნიშნული კონფლიქტები უფრო მეტად გარე ძალების მიერ იყო პროვოცირებული. ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის კულტურული ბარიერი თითქმის არ არსებობდა. ენობრივი განსხვავებაც ვერ ჩაითვლება ბარიერად, რადგან აფხაზთა და განსაკუთრებით, ოსთა დიდმა ნაწილმა ქართული ენა მეტნაკლებად იცოდა. საუკუნეების მანძილზე აფხაზეთში სახელმწიფო და საეკლესიო ენა სწორედ ქართული იყო. მაღალი იყო შერეული ქორწინების მაჩვენებელი ქართველებსა და აფხაზებს და განსაკუთრებით, ქართველებსა და ოსებს შორის.

აღნიშნული კონფლიქტების კონსტრუქტივიზმის ჭრილში განხილვამ ცხადყო, რომ კონფლიქტი, რომელიც მასების მიერ იყო მართული (მთიანი ყარაბაღი) უფრო მეტად შეესაბამება კონსტრუქტივიზმის დებულებებს. ელიტის მიერ მართული კონფლიქტების (აფხაზეთი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“) ანალიზისას, გამოჩნდა, რომ

კონფლიქტი უფრო მეტად ელიტების და გარე ძალების მიერ იყო პროვოცირებული და ნაკლები იყო ხალხებს შორის ისტორიული მტრობა და სიძულვილი.

ამრიგად, კონსტრუქტივიზმის ჭრილში, A სახელმწიფოსთვის, მხოლოდ მაშინ იქნება საფრთხედ აღქმული B სახელმწიფო, თუ მათი სოციალური იდენტობა იქნება მტრული. სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული მტრული დამოკიდებულება იძლევა იმის საფუძველს რომ ამ ორმა სახელმწიფომ ერთმანეთი საფრთხედ აღიქვას.

დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური თეორიების და ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის დაშვებების გადამოწმების საფუძველზე შეესწავლა აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები. კვლევის შედეგად, ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზები დადასტურდა. დადგინდა, რომ საგარეო დონეზე, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდა რუსეთის სურვილი, არ დაეკარგა გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ნაშრომში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ წამოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებიდან, რუსეთის ქმედებებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე უკეთ თავდასხმითი რეალიზმი ხსნის, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს ძალაუფლების გაზრდა და რეგიონალური ჰეგემონიის მოპოვება წარმოადგენს. მოსკოვის პოლიტიკა იყო რაც შეიძლებოდა მეტი დაპირისპირება ყოფილიყო ეთნოსებს შორის, მეტი ნაღმი ყოფილიყო ჩადებული. რუსეთმა ისარგებლა კავკასიის ხალხებს შორის არსებული უთანხმოებით და ხელი შეუწყო დაძაბულობის გაღვივებას. კრემლის მხრიდან ხდებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ზეწოლა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან კავკასიის რეგიონში ჩართულობა იყო მისი სტრატეგიული ინტერესი - გაზრდილიყო მისი ძალაუფლება და გავლენა რეგიონში. (Freni, 2013, p.6)

საქართველოს დიდი პოლიტიკური ტაქტი და დიპლომატიური შორსმჭვრეტელობა სჭირდებოდა, რომ არ წამოგებოდა რუსეთის პროვოკაციას. მაგრამ ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო გაეთვალა რუსეთის გეგმები. ეროვნულმა მოძრაობამ ეროვნულ უმცირესობებთან საერთო ენა ვერ გამონახა და დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა: საქართველოში, სადაც ქართველების გვერდით მრავალი ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს, საჭირო იყო ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკის გატარება, იმისათვის რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული მათთან ნებისმიერი სახის კონფლიქტი.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სსრკ-ს დაშლას თან ახლდა ეთნიკური ჯგუფების მიერ თვითგამორკვევის დაწყების პროცესი. საქართველოს სურდა დემოკრატიული რეჟიმი. ქართული ნაციონალიზმი კი იყო საფრთხედ აღქმული ეთნიკური უმცირესობების მიერ. ამ შემთხვევაში ელიტებმა შეასრულეს დიდი როლი კონფლიქტების ესკალაციაში. საქართველოში, 90-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური კლასის განვითარების დონე ძალიან დაბალი იყო და ქვეყანა წამოეგო ეთნონაციონალისტურ რიტორიკას, რამაც ხელი შეუწყო სწორედ ამ კონფლიქტების გაღვივებას, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში. 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ცხინვალისა და ჯავის რაიონების ტერიტორიებზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, იყო გადაწყვეტილება, რომელმაც სათავე დაუდო შეიარაღებულ კონფლიქტებს საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ წრეებში ესმოდათ ის ფაქტი, რომ ოსი სეპარატისტების უკან რუსეთი იდგა, ხელისუფლება მაინც წამოეგო რუსეთის პროვოკაციაზე. საქართველოს უზენაესმა საბჭომ, მოცემულ მომენტში ვერ გათვალა ოლქის გაუქმების მიზანშეწონილობის საკითხი. (უჩა ბლუაშვილი, გვ 304).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიერ აფხაზი და ოსი მოსახლეობა გამოყენებული იყო საშუალებად, რათა გაეტარებინა საკუთარი ეროვნული ინტერესები. რუსეთის მთავარი მიზანი რეგიონში ჰეგემონობაა და საერთაშორისო სისტემამ მას მისცა საშუალება ებრძოლა ძალაუფლების გაზრდისთვის, სწორედ აქედან გამომდინარე, თავდასხმითი რეალიზმი ყველაზე უკეთ ხსნის რუსეთის ქმედებებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

2008 წლის მოვლენების შემდეგ, რუსეთი დაფიქსირდა, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე, როგორც ოკუპანტი და დამპყრობელი სახელმწიფო. განსხვავებით 1992-93 წლებისა, როდესაც თითქოს ის იყო მშვიდობისმყოფელი.

ნაშრომში შემოთავაზებული შედარებითი ანალიზისას, ცხადი გახდა, რომ ასევე ამ გლობალური პროცესების ფონზე დაიწყო ძალადობა ეთნიკურ სომხებს და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის. კრემლმა აამუშავა ყველა საჭირო ბერკეტი, რაც სამოქალაქო დაპირისპირებამდე და „ეთნოკონფლიქტებამდე“ მიიყვანდა

პოსტსაბჭოთა სივრცეს. ამირეკავკასიაში, რომლის ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნება და რთული ისტორიული წარსული „ეთნოკონფლიქტების“ პროვოცირების კარგ ნიადაგს ქმნიდა, რუსეთმა მაქსიმალურად გამოიყენა საკუთარი პოლიტიკური მიზნების გასატარებლად. „1980-იანი წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში - კრემლმა ამირეკავკასიის სამივე რესპუბლიკა „ეთნოკონფლიქტებისა“ და „სამოქალაქო ომების“ ხანძარში გახვია“. (მაღაშხია, 2011, გვ. 199)

კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი საგარეო (სისტემურ) დონეზე იყო რუსეთის ინტერესი, რომ ეს კონფლიქტები გამოეყენებინა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის, მაგრამ ასევე კონფლიქტს ჰქონდა ეთნიკური დაპირისპირების ფაქტორი. ეთნოსებს შორის შუღლის ფორმირებაშიც საბჭოთა კავშირმა თავისი როლი ითამაშა, რაც იმპერიალისტური, დაყავი და იბატონეს პოლიტიკის ნაწილი იყო.

ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის ჭრილში, ეთნიკური ძალადობის გამომწვევი მიზეზების ასახსნელად, აუცილებელია ანალიზის სამივე დონეზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება. თეორიულად, სამივე შემთხვევაში, ეთნიკური ომის გამომწვევი მიზეზი ხდება: ეთნიკური კუთვნილების პრობლემა, ემოციებით მართული და უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპები, სიმბოლური საკითხების დავის პრობლემა. ეს პირობები იწვევს ეთნიკურ მტრობას და ეთნიკური გადაშენების შიშს. ასეთ შემთხვევაში ხშირია ძალადობა.

მტრობა და შიში ეთნიკური ომის ახსნის პირველი დონის ნაწილია. ეთნიკური ძალადობა იწყება, როდესაც მტრობა გააქტიურებულია; მეორე ფაქტორი, ეთნიკური ჯგუფების მობილიზება პოლიტიკოსების მიერ, მათი ინტერესების დაცვის მიზნით; მესამე ფაქტორი, როდესაც ძალადობა და მტრული დამოკიდებულება ქმნის უსაფრთხოების დილემას.

ზოგიერთ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე ესკალაციის პროცესი მასის მიერაა წარმოებული. როგორც მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, მტრული განწყობები და ეთნიკური გადაშენების შიში ერთ მხარეს როცა გავრცელდა, ხალხი სპონტანურად მობილიზდა მათი ეთნიკური ინტერესების გათვალისწინებით, როგორც კი მათ

მიეცათ შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ინტერესის გატარებამ საფრთხე შეუქმნა მათ ეთნიკურ მეზობლებს, მეორე ჯგუფიც მობილიზდა, როგორც აზერბაიჯანში მოხდა. მტრული დამოკიდებულება იზრდება, როცა ერთი მხრიდან ადგილი აქვს ძალადობრივ ქმედებას, ამას მოჰყვება მეორე მხარის მიერ ძალადობის შემდგომი ქმედება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი გახდა ელიტების/მასების ძალადობა და შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემა.

მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, საწყის ეტაპზე ნაკლებად იყო ელიტის მიერ წარმოებული ძალადობის ნიშნები. მტრული დამოკიდებულება და უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა, სანამ მედიის ტონი იქნებოდა მტრული და არა მედიის მტრული ტონის შედეგად. უსაფრთხოების დილემა გაჩნდა მანამ, სანამ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს გააჩნიათ ინსტიტუციონალური ძალა, რათა წამოეწყოთ კონფლიქტი, აქედან გამომდინარე, ძალადობა სპონტანური იყო.

აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების შემთხვევაში, ელიტების მიერ მართული ძალადობის პროცესი დაიწყო მტრული შოვინისტური დამოკიდებულებების ხელშეწყობით, სტრატეგიული მიზეზის შექმნით და მისი გავრცელებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, რომლებიც ამართლებდნენ ამ აგრესიას. ლიდერები ავრცელებდნენ მიზეზს, რომ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს რაიმე სახის საფრთხე ემუქრებოდათ, ვრცელდებოდა აგრესიული გზავნილები. ორგანიზაციულ რესურსს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შესარულოს. ელიტებმა მოახერხეს მასის მობილიზება, იმ სლოგანების გაგზავნით, რასაც მასა იზიარებდა.

ძალადობის ამგვარი აქტივობები ქმნის ექსტრემისტულ შეიარაღებულ ფორმირებებს ან იწვევს ბრძოლას. მას შემდეგ, რაც საბრძოლო მოქმედებები იწყება, უსაფრთხოების დილემა „მომრაობს“: ყოველი ქმედება რომელსაც ერთი მხარე მიმართავს თავის დასაცავად, როგორც იმ საფრთხისგან თავის დაცვა, რომელსაც მეორე მხარე მიმართავს, საშუალებას იძლევა გაამართლონ შემდგომი ესკალაცია, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კონფლიქტის დროს. ეთნიკური ჯგუფის წარმოჩენა მთავარ „დროშად“ აგრესიულ ელიტას უფრო მეტად აძლიერებს.

ლიდერები კომპრომისის ყველა გზას უშლის ხელს. ზოგიერთ შემთხვევაში, მტრული დამოკიდებულება იმდენად უკიდურესი ხდება, რომ ძალადობას მისი ინიციატორიც კი ვეღარ შეაჩერებს.

ემოციები ხელს უწყობს ძალადობის სპონტანურ ეპიდემიას, უსაფრთხოების დილემის გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მტრობას და შიშს, რასაც ადგილი ჰქონდა მთიან ყარაბაღში. აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების შემთხვევაში, მმართველი ელიტების მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ ერთ ეთნიკურ საზოგადოებაში, საფრთხე შეუქმნა სხვა ეთნიკური ჯგუფების უსაფრთხოებას.

ამ მიდგომის მეთოდოლოგიური სარგებლობა ისაა, რომ ჰიპოთეზის გადამოწმების საშუალებას იძლევა. თუ ეთნიკური ძალადობა არის მასის მიერ წარმოებული, მარტივად შეიძლება კითხო ეთნიკურ საზოგადოებას მათი პრეფერენციები. თუ მასა ირჩევს კონფრონტაციას, მაშინ ძალადობა მათ მიერაა წამოწყებული. თუ მასა უპირატესობას კომპრომისს ანიჭებს, მაშინ ძალადობა არის ელიტების მიერ მართული. ელიტის მიერ მართული ძალადობა შესაძლოა შეაჩეროს მესამე მხარემ, ზომიერი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის და წყაროების მიწოდებით. ამის საწინააღმდეგოდ, თუ კონფლიქტი მასის მიერაა მართული ნებისმიერი ძალისხმევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული, მარცხს განიცდის: მასობრივი ვნება არ არის ადვილად შეცვლადი საგარეო საფრთხეებით. მათ, ვისაც სურთ ეთნიკური ძალადობის აღმოფხვრა, უნდა იმოქმედონ სანამ ელიტების მიერ მართული კონფლიქტი წარმოიქმნება და მიიღებს ხალხის აბსოლუტურ მხარდაჭერას (Kaufman, 1996, p.170) კაუფმანის აღნიშნული მოსაზრება და ვილფრედო პარეტოს ვარაუდი, რომ ელიტა ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე „არაორგანიზებული მასა“ (Higley, Pakulski, 1992, p.104). კვლევის შედეგად გაბათილდა. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც მასების, ისე ელიტების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში, პოლიტიკის შედეგები არ განსხვავდება. ელიტების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში (აფხაზეთი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“) დამაბულობა კვლავ დიდი იყო და საომარი მოქმედებები განახლდა 1998 წლის მაისში, აფხაზეთის სამხრეთით, გალის

რეგიონში. ისევე როგორც მასების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში (მთიანი ყარაბაღი) ადგილი ჰქონდა დაძაბულობის ხელახალ ესკალაციას; 2014 წლის აგვისტოში მთიანი ყარაბაღი ომის განახლების ზღვარზე იყო.

კონსტრუქტივიზმის ძირითადი დებულებების ნაშრომში გამოყენებამ, შეავსო და გაამყარა კაუფმანის - ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის ვარაუდები. ნაშრომში შემოთავაზებული კონსტრუქტივისტული ანალიზით და ამ თეორიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა იმის დანახვა, რომ პიროვნების როლი გავლენას ახდენს სახელმწიფოს ქცევაზე. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ელიტები ახერხებენ მასების მობილიზებას, უგზვნიან სლოგანებს, რომელსაც მასა იზიარებს, როგორც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში მოხდა. ნაციონალისტური იდენტობის, პოლიტიკური სიმბოლოებისა და იდეოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება მასობრივი განწყობის მანიპულირება. მეორეს მხრივ, მასები შედიან ერთმანეთთან ინტერაქციაში და ქმნიან ერთ იდეას, რომელსაც მიჰყვებიან, რასაც მთიან ყარაბაღში ჰქონდა ადგილი.

შიდა დონეზე კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების ძიებისას, ქართულ მხარეს თუ შევხედავთ, განსაკუთრებით იმ პერიოდში, იყო ნაციონალისტური განწყობები ქართულ ხელისუფლებაში, რომელიც ბოლომდე ადეკვატურად ვერ აფასებდა იმ რისკებს, რაც ამ ტერიტორიებს უკავშირდებოდა და ვერ აფასებდა გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ გარემოს. ზოგადად ვერ ხვდებოდა იმას, რომ სინამდვილეში ნაციონალიზმი და ეთნიკური ნაციონალიზმი თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოს ორგანიზების პრინციპად როცა ირჩევა ეს არის დამღუპველი. ყველაფერი რაც გამსახურდიას პერიოდში ხდებოდა-ოფიციალური რიტორიკა, გამოსვლები, ნაციონალისტურ/პატრიოტული დისკურსები ხელს უწყობდა უნდობლობის ფაქტორის გაძლიერებას. აფხაზეთში ქართველები აღიქმებოდნენ, როგორც მტრები, რომელიც მათთან შედარებით მეტია რაოდენობრივად და შესაძლებლობებიც მეტი აქვს. ამიტომ ამ ეთნოსმა დაიწყო მოკავშირეების ძიება, რომელიც საფრთხეს დაუბალანსებდა და ამ საფრთხის განეიტრალებაში დაეხმარებოდა. რუსეთმა იკისრა ამ მოკავშირის ფუნქცია.

აფხაზებს და ოსებს უსაფრთხოების და უნდობლობის პრობლემატიკა გაუმწვავა ნაწილობრივ ქართული ხელისუფლების გაუაზრებელმა და არასწორმა რიტორიკამ და პოლიტიკამ. ამ გამწვავებული ურთიერთობების ფონზე ბუნებრივია ისარგებლა რუსეთმა და გამოიყენა არსებული მდგომარეობა. ლოკალური კონტექსტი რომ არ ყოფილიყო და რომ არ ყოფილიყო ელიტებს შორის დაპირისპირება, რომ არ ყოფილიყო ეთნიკური შუღლი, კარგად ფორმირებული უნდობლობის მომენტი, რუსეთს ბევრად უფრო გაუჭირდებოდა მიზნის მიღწევა. მაგრამ მეორე მხრივ, რომ არ ყოფილიყო რუსეთის ფაქტორი შეიძლება კონფლიქტი სხვანაირად გადაწყვეტილიყო. რომ არა რუსეთის ჩარევა ძნელი განსასაზღვრია როგორ განვითარდებოდა ეს დაპირისპირება. ტრანსფორმირდებოდა, უფრო თანამშრომლობისკენ თუ ომს მივიღებდით. რუსეთის ფაქტორი რომ არ ყოფილიყო, კონფლიქტი შეიძლებოდა მაინც მომხდარიყო იმიტომ, რომ თუ ჯგუფის მთავარი ამოცანა არის გადარჩენა, ეს ჯგუფი აკეთებს ყველაფერს იმისთვის რომ გადარჩეს მაშინ ამ ვითარებაში მას ჰქონდა ორი ალტერნატივა, ორი სცენარი - პირველი სცენარი - თუ რუსეთი იქნებოდა მათი მოკავშირე მიეტმასნებოდნენ რუსეთს, იმისთვის, რომ საქართველოსგან წამოსული საფრთხე დაებლანსებინა. მეორესცენარი - თუ რუსეთი არ იქნებოდა მათი მოკავშირე და არ ექნებოდათ გარანტია, რომ ვიღაც დაიცავდა, მაშინ დიდი ალბათობით ისინი წამოვიდოდნენ პირიქით, საქართველოსთან მიტმასნებაზე. თუ არჩევანი არ გაქვს და ხედავ რომ დიდთან დაპირისპირებაში ყველა შემთხვევაში დამარცხდები, მაშინ ეს დაპირისპირება არ არის რაციონალური. ამიტომ დიდი ალბათობით აფხაზები სუსტის პოზიციიდან დაიწყებდნენ საქართველოსთან კომუნიკაციას და კონფლიქტი შეიძლება არ მომხდარიყო, სამხედრო დაპირისპირება არ მომხდარიყო. კონფლიქტი აღიქმება უფრო ფართო ცნებად ვიდრე მხოლოდ სამხედრო დაპირისპირებად. კონფლიქტი არის შუღლი რომელიც არსებობს რაღაც ჯგუფებს შორის, მაგრამ ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში არ გადაზრდილა. რუსეთის ფაქტორი რომ არ მოიხსნა, ამან ზუსტად ის მიმართულება მისცა ამ კონფლიქტს რა მიმართულებაც მან მიიღო.

ამიტომ ინტერაქციაა ამ ფაქტორებს შორის. გაუჭირდებოდა რუსეთს კონფლიქტის გაღვივება, რომ არ ყოფილიყო შიდა ფაქტორი, მაგრამ საგარეო

ფაქტორი რომ არ ყოფილიყო შედეგი შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო. ფაქტია, რომ ეს ორი შრე, შიდა და გარე ფაქტორი ერთმანეთთან ინტერაქციაში იყო.

ჩალრმავებული ინტერვიუები:

1. ნინო ფავლენიშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
2. ავთანდილ ტუკვაძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
3. ნიკა ჩიტაძე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი; ექსპერტი.
4. დავით მაცაბერიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.
5. თორნიკე თურმანიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
6. ოლივერ რაისნერი. ისტორიკოსი.
7. ალექსანდრე დუღევა. სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაციის კვლევის ცენტრის დირექტორი.
8. გიორგი ხელაშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.
9. ეკა აკობია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
10. გიორგი გვალია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
11. გაია სიამაშვილი. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ბიბლიოგრაფია:

1. Bishku, M. (2011). *The South Caucasus Republics and Russia's Growing Influence: Balancing On a Tightrope* Gloria Center, Global Research in International Affairs, <http://www.gloria-center.org/2011/08/the-south-caucasus-republics-and-russia%E2%80%99s-growing-influence-balancing-on-a-tightrope/>. (წვდომა, 30.01.2018).
2. Cotter, J. (1999). *Cultural Security Dilemmas and Ethnic Conflict in Georgia*. Vol. XIX No.1.
3. Darchiashvili, D.(2012). *The August War: A Case for International Relations Theory and an Understanding of Modern Threat*.
<http://home.unet.nl/georgica/The%20August%20War,%20David%20Darchiashvili.pdf>
4. Doyle, M.(1986). *Liberalism and World Politics*. Johns Hopkins University: JSTOR. The American Political Science Review.
5. Finnemore, M. (1996). *Constructing Norms of Humanitarian Intervention*. The culture of national security: norms and identity in world politics.
6. Freni, S. (2013). *Causes of Violent Conflict in the Caucasus Since the Collapse of Communism*. Inquires Journal/student Pulse.
7. Gagnon, V.P (2010). “*Yugoslavia in 1989 and after*”, Nationalities Papers; N.1.
8. German, T. (2007). *Visibly Invisible: EU Engagement in Conflict Resolution in the South Caucasus, European Security*, Vol. 16.
9. German, T. *Russia and the Competition for Influence in the South Caucasus*(London: King's College London at the Joint Services Command and Staff College), 1
10. Goldstein, J. (2014). *International Relations*. New York: Longman Publishers.
11. Gvalia, G. Lebanidze, B. Iashvili, Z. (2011) *Political Elites, Ideas and Foreign Policy: Explaining and understanding the International Behavior of Small States in the Former Soviet Union*. Ilia State University.
12. Higley, J., & Pakulski, A. (1992). *Revolution and Elite Transformation in Eastern Europe*. Australian Journal of Political Science, vol. 27.

13. Katzenstein, P. (1996). *the Culture of National Security: Norms and Identity in World Politics*. New York: Columbia University Press.
14. Kaufmnan, J. (1996). *Spiraling to Ethnic War* Stuart J. Kaufmnan. *Elites, Masses, and Moscow in Moldova's Civil War*. The MIT Press.
15. Kaufman, B. (1996). *An "International" Theory of Inter-Ethnic War*.
16. Layne, C. (1994). *Kant or Cant, the Myth of the Democratic Peace*. *The Mit Press: International Serurity*.
17. Kuntzsch, F. *Drawing Boundaries: The Politics of Ethnic Violence and the Case of Nagorno-Karabakh* - <https://www.cpsa-acsp.ca/papers-2009/Kuntzsch.pdf>
18. Lynch, D. (2012). *Separatist States and Post-Soviet Conflicts*. JSTOR.
19. Melvin, J. Klimenko, E. (2016). *Shifting conflict and security dynamics in the Caucasus: The role of regional powers*. SIPRI.
20. Mearsheimer, J. (1998). *Realist Reply, In: Theories of War and Peace*. Cambridge: The MIT Press.
21. Mearsheimer, J. (1998). *Back to the Future: Instability in Europe after the Cold War, In: Theories of War and Peace*. Cambridge: The MIT Press.
22. Mearshaimer, J. (2001). *The Tragedy of Great Power Politics*. New York and London: W.W. Norton and Company.
23. Mearsheimer, J. (2002). *Realism, the Real World, and the Academy*. Michigan: The University of Michigan Press.
24. Maliniak, D. Oakes, A. Peterson, S. Tierney, M. (2011). *International Relations in the US Academ. U.S: International Studies Quarterly*.
25. Nodia, G. (1998). *The Conflict in Abkhazia: National Projects and Political Circumstances*, Koln: Bundesinstitut fur ostwissenschaftliche und internationale Studien;
26. Nygren, B. (2007). *The Rebuilding of Greater Russia*. Routledge.
27. Okhanashvili, N. (2018). *Causes of the Nagorno-Karabakh Conflict in the Perspective of Constructivism*. International Journal of Science and Research, Volume 7 Issue 4.
28. Owen, J. (1994). *How liberalism Produces Democratic Peace*. The Myth Press: International Security.

29. Onuf, N. (1989). *World of Our Making: rules and rule in social theory and international relations*. South Carolina: University of South Carolina Press.
30. Onuf, N. (2002). *The Strange Career of Constructivism in International Relations*. Southern California: Center of International Studies: University of Southern California.
31. Ozkan, B. (2008). *Who Gains from the “No War No Peace” Situation? A Critical Analysis of the Nagorno-Karabakh Conflict*. Routledge.
32. Posen, B. (1993). *The Security dilemma and Ethnic Conflict*. *Survival*. Vol 35, No 1.
33. Rosato, S. (2003). *The Flawed Logic of Democratic Peace Theory*. *American Political Science Review*. Chicago: The University of Chicago.
34. Rose, G. (1998). *Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy*. Cambridge: Cambridge University Press and Trustees of Princeton University.
35. Sheehan, M. (1996). *The Balance of Power: History and Theory*. New York: Routledge.
36. Sammut, D and Paul, A. (2011). *Addressing the security challenges in the South Caucasus .The case for a comprehensive, multilateral and inclusive approach*. EPC.
37. Sheehan, M. (1996). *The Balance of Power: History and Theory*. New York: Routledge.
38. Singer, D. (1960). *International Conflict: Three Levels of Analysis*. *World Politics*.
39. Snyder, G. (2001). *Mearsheimer’s World – Offensive Realizm and the Struggle for security*. New York: Norton.
40. Sutch, P. Elias, J. (2007). *International relations, the basics*. Routledge.
41. Taliaferro, J. (2006). *State Building for Future Wars: Neoclassical Realism and the Resource-Extractive State*. *Security Studies*.
42. Waal, T. (2003). *Black Garden*. New York University Press.
43. Waal, T. Article. (2016). *Prisoners of the Caucasus : Resolving the Karabakh Security Dilemma*. Carnegie Europe.
44. Waltz, K. (1988). *The Origins of War in Neorealist Theory*. *The MIT Press*.
45. Walt,S. (1998). *International Relations: One World, Many Theories*. *Foreign Policy*. J. Store.
46. Wendt, A. (1995). *Constructing International Politics, In: Theories of War and Peace*. An International Security Reader, The MIT Press.

47. Wendt, A. (1992). *Anarchy Is What States Make of It: the Social Construction of Power Politics*. International Organization, Vol. 46, No. 2
48. Welzel, C. (2003). *The theory of human development: A crosscultural analysis*. European Journal of Political Research
49. Weir, F. (2008). *Kosovo independence: Russia warns of separatist storm*. The Christian Science Monitor. <http://www.csmonitor.com/World/Europe/2008/0220/p06s01-woeu.html> (accessed 15.04.2018)
50. Червонная, С. (1993). Абхазия – 1992: Посткоммунистическая Грузинская Вандея.
51. აბაშიძე, ზ. (2012). *დანგრეული კედლის ჩრდილში. 1990 1999*. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
52. აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
53. ალბოროვა, დ. (2016). *სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ინსტიტუციონალური საფასური: პოლიტიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია სამხრეთ ოსეთში*. ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, აშშ. ATC- Alliance for Conflict Transformation.
54. ასმუსი, რ. (2011). *მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა*. (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).
55. ბულისკერია, მ. (2016). *რუსეთ საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისთვის*. სადისერტაციო ნაშრომი.
56. გამახარია, ჯ. (2004). *ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993წწ)* გამომცემლობა ი/მ „ლიკა“.
57. მალაშხია, შ. (2011). *კონფლიქტების ანატომია*. თბილისი: გამომცემლობა ფორმა.
58. მაკვარლენი, ნ. (2012). *საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება*. (თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი).
59. ნოდია, გ. (1999). *კონფლიქტი აფხაზეთში- მიზეზები და გააზრება*. თბილისი: CIPDD.
60. ნოდია, გ. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი*. CIPDD.

61. ოხანაშვილი, ნ. (2017). *ავვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები თვადაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის კრილში*. თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი: ინტელექტუალი. ნომერი-34.
62. ოხანაშვილი, ნ. (2018). *პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები: მასების და ელიტების ძალადობა*. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, № 6.
63. პიპინაშვილი, დ. (2009). *სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები*. დისერტაცია. თბილისი: თსუ.
64. რადვანი, ჟ. ბერუჩაშვილი, ნ. (2011). *კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი*. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.
65. რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
66. სურგულაძე, სურგულაძე. (1992). *საქართველოს ისტორია*. თბილისი: მერანი.
67. *საქართველო-დასავლეთი, ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან* (თბილისი: საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ).
68. უოლცი, ქ. (2003). *ადამიანი, სახელმწიფო და ომი*. ჯისიაი.
69. ჯონსი, ს. (2013). *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ*. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი.